საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/740
08.08.2024

ბრძანება

740-01-4-202408081103

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 16 თებერვლის N04/121 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის, 17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ზ[2]“ ქვეპუნქტების, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და 29-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს მოკვლევის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით საქმის მოკვლევის დაწყების და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ თავმჯდომარის 2024 წლის 16 თებერვლის N04/121 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე“ - თანდართული სახით.
2. არ დადასტურდეს სს ,,მასტერქარდ იუროფის“ (ბელგიური კომპანიის ნომრით RPR 0448.038.446) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დარღვევა.
3. არ დადასტურდეს შპს ,,თინეთის“ (ს/ნ 402116474) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დარღვევა.
4. საერთაშორისო საბარათე სქემების მეშვეობით განხორციელებული მომსახურების და ლოიალობაზე დაფუძნებული სასტუმროებისა და განთავსების ობიექტებით მომსახურების ონლაინ მიწოდების ბაზარზე ოპერირებად და პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს წარედგინოთ

განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციები ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების მიზნით.

5. დამტკიცებული გადაწყვეტილება 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გადაეგზავნოს წინამდებარე ბრძანების მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრულ ეკონომიკურ აგენტებს, ასევე, ცნობის სახით მიეწოდოს საქართველოს ეროვნულ ბანკს.
6. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვით.
7. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).
8. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: მოკვლევის ჯგუფის 2024 წლის 07 აგვისტოს N03/907 მოხსენებითი ბარათი.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე

საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით საქმის მოკვლევის დაწყების და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 16 თებერვლის N04/121 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული მოკვლევის თაობაზე

თბილისი

2024

სარჩევი

თავი I. აღწერილობითი ნაწილი 4

1. საჩივრის შინაარსი 4

2. მხარეებისგან მიღებული ინფორმაცია 7

2.1. „მასტერქარდისგან“ წერილობით მიღებული ინფორმაცია 7

2.2. შპს „თინეთისგან“ წერილობით მიღებული ინფორმაცია 7

3. მესამე პირებისგან მიღებული ინფორმაცია 8

3.1. შპს „რეშენალ სოლუშენსისგან“ წერილობით მიღებული ინფორმაცია 8

3.2. შპს „პირველი შოპისგან“ წერილობით მიღებული ინფორმაცია 8

3.3. საქართველოს ეროვნული ბანკისგან წერილობით მიღებული ინფორმაცია 9

4. საკონსულტაციო, ახსნა-განმარტებითი შეხვედრები და შემაჯამებელი სხდომა 9

4.1. საკონსულტაციო შეხვედრა შპს „რეშენალ სოლუშენსთან“ 9

4.2. ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრა „მასტერქარდთან“ 10

4.3. ინდივიდუალური ახსნა-განმარტების შეხვედრა შპს „თინეთთან“ 13

4.4. გადაწყვეტილების პროექტის გაცნობა და შემაჯამებელი სხდომა 14

თავი II. ნორმატიული რეგულირება 15

1. ზოგადი მატერიალური რეგულირება 15

2. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები 16

3. საგადახდო სქემების მარეგულირებელი კანონმდებლობა 21

4. პროცედურული რეგულირება 22

თავი III. შესაბამისი ბაზარი 24

1.ზოგადი მიმოხილვა 24

2. საბაზრო ვერტიკალური სტრუქტურა 26

3. შესაბამისი ბაზრის საზღვრები 27

თავი IV. სააგენტოს შეფასება ,,კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე 32

1. ზოგადი მიმოხილვა 32

2. ფილიალის სამართლებრივი ბუნება და მისი მიმართება ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დოქტრინასთან 34

3. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვის ელემენტები 39

3.1. ეკონომიკური აგენტები ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია 40
3.2. ხელშეკრულების დადება, გადაწყვეტილების მიღება ან შეთანხმებული ქმედების განხორციელება.....42
3.3. კონკურენციის საწინააღმდეგო მიზნის ან/და შედეგის არსებობა 43
3.4. კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა 44
4. კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმება.....44
4.1. სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის მიმართება კონკურენციის საწინააღმდეგო ხელშეკრულებებისადმი.....44
4.2. ,,ექსკლუზიური დათქმის“ შემცველი მომსახურების/მიწოდების ხელშეკრულებები 48
4.3. სახელშეკრულებო ურთიერთობები სასტუმროებისა და განთავსების ობიექტებით ონლაინ ვაჭრობის სფეროში.....51
4.4. შპს „რეშენალ სოლუშენსსა“ და მასტერქარდს შორის არსებული წერილობითი კორესპონდენცია.....56
4.5. ვებ-გვერდ www.Swoop.ge-ზე კომერციული აქციის განთავსებისა და მისი აღების ფაქტები.....59
4.6. მომხმარებლის ქცევა, როგორც სავარაუდო კანონდარღვევის ერთ-ერთი მტკიცებულება61
დასკვნა 62
სარეზოლუციო ნაწილი 62
რეკომენდაცია.....63

თავი I. აღწერილობითი ნაწილი

1. საჩივრის შინაარსი

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში - „სააგენტო“) შპს ,,რეშენალ სოლუშენსის“ (ს/ნ: 406054932) მიერ 2024 წლის 10 იანვარს წარმოდგენილ იქნა საჩივარი (რეგ. N 01/107), რომელიც ეხებოდა შპს ,,თინეთისა“ (ს/ნ: 402116474) და უცხოური საწარმოს ფილიალის ,,მასტერქარდის წარმომადგენლობა საქართველოშის“ (ს/ნ: 404552649) (შემდგომში - „მასტერქარდი“)[1] მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტების შესაძლო დარღვევის ფაქტს.

საჩივრის ავტორის მითითებით, კანონის მე-7 მუხლის ზემოთ აღნიშნული პუნქტების დარღვევა გამოიხატა იმაში, რომ მოპასუხეებს შორის არსებობს შეთანხმება, რომლის საფუძველზეც მხოლოდ ერთ სავაჭრო პარტნიორს, კერძოდ, შპს ,,თინეთს“ (რომელიც, ოპერირებს ვებ-პორტალით www.swoop.ge) ენიჭება უპირატესობა სხვა სავაჭრო პარტნიორებთან შედარებით, რაც გამოიხატება მისთვის ექსკლუზიური პირობების მინიჭებაში. აღნიშნული ფაქტი კი შპს ,,რეშენალ სოლუშენსს“ (რომელიც ოპერირებს ვებ-პორტალით www.hotsale.ge) უზღუდავს ბაზარზე საქმიანობას. ამგვარად, მოპასუხეები ბაზარზე ქმნიან არაჯანსაღ კონკურენციას, რაც იწვევს ბაზრიდან კონკურენტის, შპს ,,რეშენალ სოლუშენსის“ განდევნას.

შპს ,,რეშენალ სოლუშენსის“ განცხადებით, უცხოური საწარმოს ფილიალის ,,მასტერქარდის წარმომადგენლობა საქართველოს“ მხრიდან ხდება სუბსიდირება შპს ,,თინეთის“ სასარგებლოდ. ეს სუბსიდია არ არის გამჭვირვალე, არ არის ცნობილი და ხელმისაწვდომი ბაზარზე არსებული სხვა მოთამაშისთვის და იწვევს ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვას. სუბსიდირებასთან დაკავშირებით მომჩივანი მიუთითებს - სუბსიდირება უნდა განხორციელდეს ისე, რომ ბაზარზე მოქმედი ყველა ეკონომიკური აგენტისთვის უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანი პირობები და ბაზარზე არ დამკვიდრდეს არაჯანსაღი კონკურენცია.

შპს ,,რეშენალ სოლუშენსი“, ასევე, მიუთითებს, რომ იგი 10 წელზე მეტია საქმიანობს ელექტრონული კომერციის სფეროში ბრენდული სახელით ,,Hotsale“ და როგორც ტექნოლოგიური, აგრეთვე, გაყიდვების მოცულობით ამ წლების განმავლობაში ინარჩუნებდა ლიდერ პოზიციას, თუმცა, ბოლო ერთი წლის განმავლობაში უცხოური საწარმოს ფილიალის ,,მასტერქარდის წარმომადგენლობა საქართველოშის“ ექსკლუზიურმა თანამშრომლობამ ბრენდ ,,Swoop“-თან (შპს „თინეთი“) საფრთხე შეუქმნა „Hotsale“-ის არსებობას ბაზარზე, კერძოდ, კი მასტერქარდის მარკეტინგულმა კამპანიამ, რომელიც მოიცავს დამატებითი

[1] წინამდებარე გადაწყვეტილებაში როგორც სათავო ოფისი სს ,,მასტერქარდ იუროფი“, აგრეთვე საქართველოში მის მიერ დაფუძნებული ფილიალი, მოხსენიებულნი არიან საერთო ტერმინით - ,,მასტერქარდი“, გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც არგუმენტაციის მიზნებისთვის აუცილებელია სათავო ოფისისა და ფილიალის ერთმანეთისგან გამიჯვნა.

ფასდაკლების შეთავაზებას მომხმარებლისთვის მასტერქარდის ბარათით გადახდის შემთხვევაში.

შპს „რეშენალ სოლუშენსმა“ სააგენტოს წარუდგინა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მომხმარებელთა რაოდენობა, რომელიც სტუმრობს www.hotsale.ge-ს არ არის ნაკლები www.swoop.ge-ს მომხმარებლების რაოდენობაზე. ამასთან, დამატებით მომჩივანი აღნიშნავს, რომ ვინაიდან Hotsale და Swoop პლატფორმები მთლიანად აგებულია ,,ფასდაკლებების ბიზნესზე“, თუ მერჩანტების (Hotsale და Swoop) შეთავაზებულ ფასდაკლებას, რომელიც ამ საიტებზე თავსდება, ემატება მესამე პირის სუბსიდირება და ეს სუბსიდია მხოლოდ ერთი კონკრეტული ბიზნეს სუბიექტისკენ, ამ შემთხვევაში, Swoop-ისკენ არის მიმართული, ეს იწვევს მეორე ბიზნეს სუბიექტის (ამ შემთხვევაში Hotsale-ის) კონკურენტუნარიანობის შემცირებას. მომჩივნის მითითებით, სუბსიდია უნდა იყოს თანაბრად ხელმისაწვდომი ყველასთვის, ღია და გამჭვირვალე პირობებით ბაზარზე მოქმედი სხვა ეკონომიკური აგენტებისთვისაც.

საჩივრის ავტორის მითითებით, „მასტერქარდის“ წარმოებული ექსკლუზიური მარკეტინგული კამპანია ბრენდ Swoop-ისთვის მოიცავდა პლატფორმაზე განთავსებულ შეთავაზებებზე დამატებითი ფასდაკლებების განსაზღვრას, მათ შორის საქართველოს მასშტაბით სასტუმროებზე 25 პროცენტიანი დამატებით დანაზოგით სარგებლობას მასტერქარდის ბარათით გადახდის შემთხვევაში.

შპს „რეშენალ სოლუშენსი“ აღნიშნავს, რომ ტურიზმის მიმართულებით ექსკლუზიური კამპანია, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს დამატებით 25%-იან ფასდაკლებას, იწვევს მომხმარებელთა უმეტესობის მიერ ამ პლატფორმის არჩევას, რადგან მომხმარებელს სურს შეიძინოს იქ, სადაც მეტი დანაზოგი ექნება. ასეთი შეთავაზებები კი დანარჩენ, ოპერირებად კომპანიებს უზღუდავს ბაზარზე საქმიანობის შესაძლებლობას.

მომჩივანი დამატებით აღნიშნავს, რომ ,,ვინაიდან ტურიზმის წილი სეზონის მთლიანი შემოსავლის [redacted] „მასტერქარდის“ ამ კამპანიამ შპს ,,რეშენალ სოლუშენსს“ სრულად დააკარგვინა შემოსავლის აღნიშნული წილი, ამან კი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია (აღნიშნულის დამადასტურებლად კომპანიამ სააგენტოს წარუდგინა შესაბამისი ფინანსური უწყისი).

გარდა ამისა, შპს „რეშენალ სოლუშენსი“ აღნიშნავს, რომ მან წერილობით მიმართა ,,მასტერქარდს“ და ხაზი გაუსვა იმას, თუ რა შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა მის ზემოთ აღნიშნულ ქმედებას Hotsale-ისთვის. თუმცა პასუხად მიიღო, რომ ეკონომიკური აგენტის ქმედებას მიზნად არ ჰქონია Hotsale-ისთვის ზიანის მიყენება. მიუხედავად ამისა, შპს ,,რეშენალ სოლუშენსმა“ საკუთარ მიმართვაზე, ანალოგიური მარკეტინგული კამპანია ეწარმოებინა მასტერქარდს Hotsale-თანაც, მიიღო უარი. ამის მიზეზად კი შპს „რეშენალ სოლუშენსი“ მიუთითებს სწორედ მასტერქარდის ექსკლუზიური პირობით თანამშრომლობაზე Swoop-თან.

„საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული ვადების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის

2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საჩივრის დასაშვებობის ფორმალური სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ საჩივარი არ აკმაყოფილებდა დასაშვებობის ფორმალური სტანდარტის მოთხოვნებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიერ მომჩივანს საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი და განესაზღვრა ვადა, რომლის ფარგლებშიც მას უნდა აღმოეფხვრა ხარვეზი.[2] აღნიშნულზე საპასუხოდ შპს „რეშენალ სოლუშენსმა“ სააგენტოს აცნობა, რომ ვინაიდან მასტერქარდმა ყველა აქცია აიღო ვებ-გვერდ Swoop-დან, შესაბამისად, მომჩივანმა შეაჩერა საჩივრის შემოტანის საკითხი.[3]

კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო ეკონომიკურ აგენტთან მიმართებით უფლებამოსილია განახორციელოს საქმის მოკვლევა წარდგენილი საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. აგრეთვე, „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის N40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-5 მუხლის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია დაიწყოს საქმის მოკვლევა საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. 2024 წლის 10 იანვრის საჩივარში მითითებული გარემოებების ერთობლიობით და მასზე თანდართული მტკიცებულებების გათვალისწინებით, მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მხრიდან კონკურენციის კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით წარმოიშვა გონივრული ეჭვი კანონის მე-7 მუხლის შესაძლო დარღვევის შესახებ, შესაბამისად, სააგენტოს 2024 წლის 16 თებერვლის N04/121 ბრძანებით დაიწყო საქმის მოკვლევა უცხოური საწარმოს ფილიალის ,,მასტერქარდის წარმომადგენლობა საქართველოსა“ (ს/ნ: 404552649) და შპს ,,თინეთის“ (ს/ნ: 402116474) მხრიდან კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე.

სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 16 თებერვლის N04/121 ბრძანება გაეგზავნათ შპს ,,რეშენალ სოლუშენსს“, ასევე, შპს ,,თინეთსა“ და უცხოური საწარმოს ფილიალს ,,მასტერქარდის წარმომადგენლობა საქართველოს“.[4] იმის გათვალისწინებით, რომ შპს ,,რეშენალ სოლუშენსმა“ სააგენტოში არ წარმოადგინა განახლებული საჩივარი, სააგენტოს მიერ ზემოთ მითითებულ წერილებთან ერთად, შპს ,,თინეთსა“ და უცხოური საწარმოს ფილიალს ,,მასტერქარდის წარმომადგენლობა საქართველოს“ გაეგზავნათ დახარვეზებული საჩივრის ფარგლებში არსებული ინფორმაცია (კონფიდენციალურობის დაცვით). ასევე, ინფორმაცია მოკვლევის დაწყების შესახებ გაეგზავნა საქართველოს ეროვნულ ბანკს.[5]

მოგვიანებით, სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 13 მაისის N04/428 ბრძანებით ცვლილება შევიდა 2024 წლის 16 თებერვლის N04/121 ბრძანებაში (აღნიშნული მოკვლევის დაწყების თაობაზე) და მოკვლევის მხარედ ნაცვლად უცხოური საწარმოს ფილიალისა ,,მასტერქარდის წარმომადგენლობა საქართველო“ (ს/ნ 404552649), განისაზღვრა

[2] სააგენტოს 2024 წლის 10 იანვრის N02/105 წერილი.
[3] სააგენტოში შემოსული N01/143 წერილი (თარიღი: 11.01.2024).
[4] სააგენტოს 2024 წლის 16 თებერვლის N02/496, N02/501 და N02/502 წერილები.
[5] სააგენტოს 2024 წლის 10 იანვრის N 01/107 წერილი.

სს ,,მასტერქარდ იუროფ“ (ბელგიური კომპანიის ნომრით RPR 0448.038.446), რის შესახებაც ეცნობათ მოკვლევის მხარეებს.[6]

2. მხარეებისგან მიღებული ინფორმაცია

2.1. „მასტერქარდისგან“ წერილობით მიღებული ინფორმაცია

საქმის მოკვლევის მიზნებისთვის სააგენტომ შპს „თინეთისა“ და მასტერქარდის მხრიდან გამოითხოვა მათ შორის არსებული ყველა ხელშეკრულება/შეთანხმება, რომელიც დადებული ან/და მოქმედი იყო [redacted] ინფორმაციის გამოთხოვის მომენტისთვის.[7] აღნიშნულის საპასუხოდ, მასტერქარდმა სააგენტოს წარუდგინა გამოთხოვილი ინფორმაცია, რომელიც სააგენტოს მიერ დამუშავდა კონფიდენციალურობის დაცვით.[8]

ასევე, საქმის გარემოებების გამოკვლევის მიზნით, მასტერქარდისგან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია, მათ შორის, მისი უფლებამოსილებების ფარგლების შესახებ,[9] რასთან დაკავშირებითაც, მასტერქარდმა სააგენტოს განუცხადა, რომ იგი საქართველოში საქმიანობს სს „მასტერქარდ იუროფის“ (ბელგიური კომპანიის ნომრით RPR 0448.038.446) წესდების და წარმომადგენლობის დირექტორზე გაცემული შეზღუდული მინდობილობის ფარგლებში, ხოლო ცალკე სადამფუძნებლო დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მასტერქარდის უფლებამოსილებებს, არ არსებობს. ამავე წერილში ეკონომიკური აგენტი განმარტავს, რომ მის კომპეტენციაში არ შედის რომელიმე სუბიექტისთვის რაიმე სახის ექსკლუზიური უფლების მინიჭება.[10]

2.2. შპს „თინეთისგან“ წერილობით მიღებული ინფორმაცია

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქმის მოკვლევის მიზნებისთვის სააგენტომ შპს „თინეთისა“ და „მასტერქარდის" მხრიდან გამოითხოვა მათ შორის არსებული ყველა ხელშეკრულება/შეთანხმება, რომელიც დადებული ან/და მოქმედი იყო [redacted] ინფორმაციის გამოთხოვის მომენტისთვის.[11] შპს „თინეთმა“ აღნიშნულ მოთხოვნაზე საპასუხოდ სააგენტოში წერილობით წარმოადგინა ინფორმაცია.[12]

---

[6] სააგენტოს 2024 წლის 14 მაისის N 02-1872 და N 02-1873 წერილები.

[7] სააგენტოს 2024 წლის 22 თებერვლის N02/613 და 2024 წლის 4 მარტის N02/866 წერილები.

[8] სააგენტოში შემოსული N01/1224 (თარიღი: 01.03.2024), N01/1737 (თარიღი: 28.03.2024) და N01/2572 (თარიღი: 08.05.2024) წერილები.

[9] სააგენტოს 2024 წლის 2 აპრილის N02/1245 წერილი.

[10] სააგენტოში შემოსული N01/2249 (თარიღი: 17.04.2024) და N01/2310 (თარიღი: 19.04.2024) წერილები.

[11] სააგენტოს 2024 წლის 22 თებერვლის N02/614, 2024 წლის 7 მარტის N02/960 და 2024 წლის 1 აპრილის N02/1242 წერილები.

[12] სააგენტოში შემოსული N01/1707 (თარიღი: 27.03.2024) და N01/2273 (თარიღი: 18.04.2024) წერილები.

აღნიშნულ ინფორმაციასთან ერთად, ასევე, შპს „თინეთი“ სააგენტოსთვის გამოგზავნილ კორესპონდენციაში აღნიშნავს, რომ ონლაინ ვაჭრობის ობიექტების მიმართულებით თავის კონკურენტებად მოიაზრებს შემდეგ სუბიექტებს: Hotsale.ge, vouchers.pirveli.com, ასევე, ბანკები და ყველა ის კომპანია, რომელიც რაიმე სახით (ქეშბექი, ფასდაკლება, ვაუჩერები ან სხვა) მომხმარებელს სთავაზობენ სასტუმროებისა და განთავსების ობიექტების შეთავაზებებს.[13]

3. მესამე პირებისგან მიღებული ინფორმაცია

3.1. შპს „რეშენალ სოლუშენსისგან“ წერილობით მიღებული ინფორმაცია

შპს ,,რეშენალ სოლუშენსის“ მიერ 2024 წლის 10 იანვარს სააგენტოში წარმოდგენილი, შემდგომში დახარვეზებული საჩივრის დანართი N1 შეეხება მომხმარებელთა რაოდენობის შესახებ მონაცემებს ვებ-გვერდებზე. სააგენტომ მოკვლევის დაწყების შემდგომ, განახლებული მონაცემები გამოითხოვა კომპანიისგან,[14] რასთან დაკავშირებითაც მიიღო შესაბამისი ინფორმაცია.[15]

ასევე, შპს „რეშენალ სოლუშენსისგან“ სააგენტომ გამოითხოვა ინფორმაცია, სასტუმროებისა და განთავსების ობიექტების მომსახურებით ონლაინ ვაჭრობის სფეროში კომპანიის მიერ კონკურენტებად მიჩნეული ეკონომიკური აგენტების შესახებ.[16] როგორც კომპანია სააგენტოსთვის წარმოდგენილ საპასუხო წერილში მიუთითებს, შპს „რეშენალ სოლუშენსი“ კონკურენტებად მიიჩნევს შპს „თინეთსა“ და შპს „პირველი შოპს“ (ს/ნ: 405431714).[17]

3.2. შპს „პირველი შოპისგან“ წერილობით მიღებული ინფორმაცია

სააგენტომ ინფორმაცია გამოითხოვა შპს ,,პირველი შოპისგან“ (ს/ნ: 405431714), რომელიც მოკვლევის ფარგლებში შპს ,,თინეთმა“ და შპს ,,რეშენალ სოლუშენსმა“ დაასახელეს თავიანთ კონკურენტად. სააგენტოს მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია შეეხებოდა სასტუმროებისა და განთავსების ობიექტების მომსახურებით ონლაინ ვაჭრობის ფარგლებში მოქმედ კონკურენტებს და ეკონომიკური აგენტის მიერ პლატფორმიდან მიღებული წლიური შემოსავლის შესახებ მონაცემებს.[18]

---

[13] სააგენტოში შემოსული N01/1361 (თარიღი: 07.03.2024) და N01/1490 (თარიღი: 15.03.2024) წერილები.
[14] სააგენტოს 2024 წლის 16 თებერვლის N02/500 წერილი.
[15] სააგენტოში შემოსული N01/1011 (თარიღი: 21.02.2024) წერილი.
[16] სააგენტოს 2024 წლის 22 თებერვლის N02/615 წერილი.
[17] სააგენტოში შემოსული N01/1600 წერილი (თარიღი: 21.03.2024).
[18] სააგენტოს 2024 წლის 29 მარტის N02/1213 წერილი.

აღნიშნული ეკონომიკური აგენტისგან სააგენტომ მიიღო შესაბამისი ინფორმაცია. შპს „პირველი შოპის“ წერილობითი პასუხის მიხედვით, იგი თავის კონკურენტად თვლის hotsale.ge-ს და swoop.ge-ს.[19]

3.3. საქართველოს ეროვნული ბანკისგან წერილობით მიღებული ინფორმაცია

მოკვლევის პროცესისთვის რელევანტური ინფორმაციის მიღების მიზნით, სააგენტომ მიმართა საქართველოს ეროვნული ბანკს საქართველოში საგადახდო მომსახურების პროვაიდერების საერთაშორისო საბარათე სქემების, კერძოდ 2022-2023 წლების განმავლობაში Visa, MasterCard, UnionPay და American Express-ის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ემიტირებული აქტიური საბარათე ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაციის მისაღებად.[20]

ასევე, სააგენტომ საქართველოს ეროვნულ ბანკს მიმართა ამერიკან ექსპრესის, ვიზას, იუნიონ ფეი ინტერნეშიონალის და მასტერქარდის საქართველოში არსებული ფილიალების (წარმომადგენლობების) წლიური ერთობლივი შემოსავლის (წლიური ფინანსური ბრუნვის) თაობაზე 2021, 2022 და 2023 წლების განმავლობაში ცალ-ცალკე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ინფორმაციის მიღების მიზნით.[21]

საქართველოს ეროვნული ბანკისგან სააგენტოში შემოსული საპასუხო წერილებით სააგენტომ მიიღო ბანკის ხელთ არსებული ინფორმაცია.[22]

4. საკონსულტაციო, ახსნა-განმარტებითი შეხვედრები და შემაჯამებელი სხდომა

4.1. საკონსულტაციო შეხვედრა შპს „რეშენალ სოლუშენსთან“

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის მიზნით, 2024 წლის 15 აპრილს სააგენტოში გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა შპს „რეშენალ სოლუშენსთან“ (ს/ნ: 406054932).[23]

აღნიშნულ შეხვედრაზე ეკონომიკურმა აგენტმა დააზუსტა, რომ მომსახურებების გარკვეულ მიმართულებებზე ბანკებიც შეიძლება ჩაითვალოს მის კონკურენტებად (მაგ. „კონცეპტ“ და „სოლო ბარათებზე“ გამოყენებული ფასდაკლებებით). მაგალითად, თუ „სოლო“ ან „კონცეპტი“ კომპანიებს სხვა პლატფორმებთან თანამშრომლობას შეუზღუდავს, ამ შემთხვევაში ისინი Hotsale-ის პირდაპირი კონკურენტები იქნებიან. ზოგადად, აღნიშნული ბარათების მომხმარებლების წრე ისედაც შეზღუდულია, მაშინ როცა ასეთი შეზღუდვა არ

[19] სააგენტოში შემოსული N01/2671 და N01/2727 (თარიღი: 22.05.2024) წერილები.
[20] სააგენტოს 2024 წლის 20 თებერვლის N02/555 წერილი.
[21] სააგენტოს 2024 წლის 1 აპრილის N02/1241 წერილი.
[22] სააგენტოში შემოსული N01/1701 (თარიღი: 27.03.2024) და N01/2433 (თარიღი: 26.04.2024) წერილები.
[23] 2024 წლის 15 აპრილის N03/434 მოხსენებითი ბარათი.

არსებობს Hotsale-ის შემთხვევაში და ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია მისით სარგებლობა.[24]

შპს „რეშენალ სოლუშენსი“ დახარვეზებულ საჩივარში მიუთითებდა, რომ პრობლემა არსებობდა ტურიზმის (სასტუმროები და განთავსების ობიექტები) მიმართულებით. აღნიშნულთან დაკავშირებით შეხვედრაზე განმარტა, რომ ამ მიმართულებაზე ხაზგასმა მოხდა იმის გამო, რომ მომხმარებელს ჰქონდა დამატებითი დანაზოგის შესაძლებლობა მასტერქარდის ბარათის ქონის შემთხვევაში, რაც ავტომატურად გულისხმობდა ექსკლუზიურ პირობას. კომპანიის განცხადებით, როდესაც ორ პლატფორმაზე განთავსებულია ერთი და იგივე ობიექტები და მომხმარებელი ერთ-ერთ პლატფორმაზე უფრო მეტ დანაზოგს იღებს, ლოგიკურია, რომ იქ შეიძენს მომსახურებას, სადაც უფრო მეტ თანხას დაზოგავს.[25]

კომპანიამ შეხვედრაზე ასევე, აღნიშნა, რომ ექსკლუზივის პირობა არსებობდა დაახლოებით 2022 წლის ბოლო კვარტლიდან - სწორედ ამ პერიოდიდან ჩნდება დამატებითი ფასდაკლებები მის კონკურენტ პლატფორმაზე.[26]

[redacted][27]

საკონსულტაციო შეხვედრაზე შპს „რეშენალ სოლუშენსმა“ აღნიშნა, რომ გარდა წერილობითი ფორმით მიმართვისა, მას სატელეფონო კომუნიკაცია ჰქონდა „მასტერქარდთან“ დამატებითი ფასდაკლების კამპანიის განხორციელების თაობაზე, რაზეც „მასტერქარდისგან“ მიიღო უარი [redacted] აღნიშნულთან დაკავშირებით, კომუნიკაციის სხვა შემთხვევა, გარდა იმისა, რაც უკვე სააგენტოს წარუდგინა წერილობით, კომპანიას არ გააჩნია, ხოლო შპს „თინეთთან“ დაკავშირება მათი მხრიდან საერთოდ არ მომხდარა. ასევე, შპს „რეშენალ სოლუშენსი“ არ ფლობს ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რატომ მოხდა Swoop-ის პლატფორმიდან დამატებითი ფასდაკლების აქციის აღება, თუმცა მისი ვარაუდით, მასტერქარდთან სატელეფონო კომუნიკაციის შემდგომ შპს „თინეთისთვის“ მიწოდებულ იქნა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ იგეგმებოდა საჩივრის შემოტანა.[28]

4.2. ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრა „მასტერქარდთან“

საქმის გარემოებების დადგენა-დაზუსტების მიზნით, 2024 წლის 26 აპრილს გაიმართა ინდივიდუალური ახსნა-განმარტების შეხვედრა „მასტერქარდთან“.

---

[24] შპს „რეშენალ სოლუშენსთან“ საკონსულტაციო შეხვედრის აუდიო ჩანაწერი I - 3:54-5:25; 6:35- 6:56.
[25] შპს „რეშენალ სოლუშენსთან“ საკონსულტაციო შეხვედრის აუდიო ჩანაწერი I - 7:38-8:20.
[26] შპს „რეშენალ სოლუშენსთან“ საკონსულტაციო შეხვედრის აუდიო ჩანაწერი I - 11:15-11:45.
[27] შპს „რეშენალ სოლუშენსთან“ საკონსულტაციო შეხვედრის აუდიო ჩანაწერი I - 13:50-14:10.
[28] შპს „რეშენალ სოლუშენსთან“ საკონსულტაციო შეხვედრის აუდიო ჩანაწერი I - 18:02-19:31.

შეხვედრაზე, პირველ რიგში, სააგენტოს მხრიდან დაისვა შეკითხვა ფილიალის („მასტერქარდი“) და სათავო ოფისის (სს „მასტერქარდ იუროფი“) უფლებამოსილებების, კერძოდ, ხელშეკრულებების გაფორმების უფლებამოსილების (ამ შემთხვევაში მარკეტინგული მომსახურების (MA) ხელშეკრულების) შესახებ. როგორც ფილიალის წარმომადგენელი მიუთითებს, მარკეტინგული ხელშეკრულებები შპს „თინეთთან“ დადებულია სათავო ოფისის მიერ, რაც განპირობებულია იმით, რომ ნებისმიერი ხელშეკრულების დადებას პარტნიორებთან ახორციელებს სათავო ოფისი (სს „მასტერქარდ იუროფი“), რომელიც მდებარეობს ბელგიაში. „მასტერქარდის“ მითითებით, ზოგადად, კომპანიის სტრუქტურა არის შემდეგნაირად მოწყობილი - არსებობს ერთი იურიდიული პირი, რომლის ადგილსამყოფელია ბელგია, ვატერლოო და მას აქვს წარმომადგენლობითი ოფისები სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის საქართველოში. აღნიშნულ წარმომადგენლობებს გააჩნიათ ერთი და იგივე სტრუქტურა. ნებისმიერი ხელშეკრულების ხელმომწერი მხარე არის ბელგიაში მდებარე იურიდიული პირი (სს „მასტერქარდ იუროფი“/სათავო ოფისი). ამ შემთხვევებში მნიშვნელობა არ აქვს, თუ რომელ ქვეყანაშია წარმომადგენლობითი ოფისი, ხელშეკრულების მხარედ ყოველთვის აღნიშნული იურიდიული პირი გამოდის. წარმომადგენლობითი ოფისები ადგილობრივ კომპანიებთან ამყარებენ ურთიერთობას და წარმოადგენენ სს „მასტერქარდ იუროფს“, მათ კომპეტენციაში არ შედის უშუალოდ ხელშეკრულების დადება. კომპანიის განცხადებით ფილიალი არც არასდროს არ ყოფილა ხელმომწერი მხარე მსგავს სახელშეკრულებო ურთიერთობებში.[29] ასევე, კომპანია აცხადებს, რომ ექსკლუზიურ ხელშეკრულებებს საქართველოში საერთოდ არ დებს, არათუ ფილიალს არ აქვს უფლება დადოს ასეთი ხელშეკრულება.[30]

„მასტერქარდის“ განცხადებით, იგი სხვადასხვა დროს ახორციელებდა კამპანიებს ელექტრონული კომერციის პლატფორმებთან. კომპანიამ შპს „თინეთთან“ თანამშრომლობა დაიწყო [redacted], ხოლო შპს „რეშენალ სოლუშენსთან“ [redacted][31] [redacted][32] ზოგადად აღნიშნული კამპანიები გარკვეული პერიოდულობით ხორციელდება და სახეზე არ გვაქვს ერთი გრძელვადიანი კამპანია.[33] ასევე, ხელშეკრულების დადებისა და თანამშრომლობის ინიციატივა შესაძლებელია მოდიოდეს როგორც მერჩანტისგან (პლატფორმისგან), ასევე მასტერქარდისგან.[34]

Swoop-ზე განთავსებული დამატებითი ფასდაკლების აქციაზე, რომელზეც შპს „რეშენალ სოლუშენსი“ დახარვეზებულ საჩივარში მიუთითებდა, „მასტერქარდი“ აღნიშნავს, რომ კამპანიის შეწყვეტის მიზეზი, სავარაუდოდ, იქნებოდა ხელშეკრულების ვადის ამოწურვა, რადგან აქცია ხორციელდება კონკრეტული პერიოდით. შესაძლოა, ბიუჯეტიც ამოიწურა

[29] მასტერქარდთან ინდივიდუალური ახსნა-განმარტების აუდიო ჩანაწერი - 7:07-10:20.
[30] მასტერქარდთან ინდივიდუალური ახსნა-განმარტების აუდიო ჩანაწერი - 53:31-53:44.
[31] მასტერქარდთან ინდივიდუალური ახსნა-განმარტების აუდიო ჩანაწერი - 15:56-16:52.
[32] მასტერქარდთან ინდივიდუალური ახსნა-განმარტების აუდიო ჩანაწერი - 17:05-17:32.
[33] მასტერქარდთან ინდივიდუალური ახსნა-განმარტების აუდიო ჩანაწერი - 11:37-14:07.
[34] მასტერქარდთან ინდივიდუალური ახსნა-განმარტების აუდიო ჩანაწერი - 18:00-18:30.

უფრო ადრე და მიზეზი ეს იყო. თუმცა კომპანიას უფრო ზუსტი პასუხი აღნიშნულთან დაკავშირებით არ აქვს.[35]

„მასტერქარდმა“ ახსნა-განმარტებით შეხვედრაზე დაადასტურა შპს „რეშენალ სოლუშენსთან“ სატელეფონო კომუნიკაციის და მათ პლატფორმაზე სასტუმროების მიმართულებით დამატებითი ფასდაკლების განთავსებაზე უარის თქმის ფაქტი. როგორც ,,მასტერქარდი“ აღნიშნავს, მას შპს „რეშენალ სოლუშენსთან“ თანამშრომლობის გამოცდილება უკვე აქვს, ამ ეტაპზე კი გადაწყდა Swoop-თან თანამშრომლობა, რის მიზეზადაც კომპანია უთითებს იმაზე, რომ [redacted] „მასტერქარდმა“ შეხვედრაზე არაერთხელ გაიმეორა, რომ ზოგადად სს „მასტერქარდ იუროფს“ აქვს გლობალური სტრატეგია, რომლის შესაბამისადაც მოქმედებენ სხვადასხვა რეგიონული წარმომადგენლობითი ოფისები. აღნიშნული სტრატეგიის არსებობით ხსნის პარტნიორების შერჩევის კრიტერიუმებსაც და შპს ,,თინეთთან“ თანამშრომლობაც მის შესაბამისად გადაწყდა.[36]

„მასტერქარდი“ საქართველოში არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე, ხოლო გლობალურ სტრატეგიას გეგმავს ბელგიური ოფისი, ეს სტრატეგია იგეგმება ადრევე და მისგან გამომდინარე იცვლება ინტერესის სფერო. მაგალითად, შესაძლოა კომპანია მიზნად ისახავდეს ტურიზმის მხარდაჭერას და აქედან გამომდინარე, იგი ცდილობს ინვესტიციების განხორციელებას ამ მიმართულებით. პარტნიორების შერჩევაც ხდება იმის მიხედვით, რამდენად მოხდება მათი მეშვეობით მსგავსი მხარდაჭერის განხორციელება.[37] [redacted] არ არსებობს ერთი კონკრეტული მიზეზი, არამედ კომბინირებულად ხდება გარემოებების შეფასება, თუ როგორ წაადგება ფინანსურ ეკოსისტემას პარტნიორის შესაძლებლობები და ა.შ. ამ ყველაფერს, ასე ვთქვათ, ფილტრებს, პარტნიორის შესარჩევად ადგენს სათავო ოფისი და არა ადგილობრივი წარმომადგენლობა.[38]

პარტნიორების შერჩევის პირობებზე საუბრისას მასტერქარდმა ასევე, განაცხადა, რომ შპს „თინეთთან“ თანამშრომლობა გადაწყდა „შიდა იდენტიფიკატორებით, ფილტრებით და ა.შ.“ [redacted] მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ პარტნიორების მხრიდანაც ხორციელდება ინვესტიცია - [redacted],[39] [redacted][40] უშუალოდ შპს „რეშენალ სოლუშენსისთვის“ დეტალური მიზეზის განმარტება არ მომხდარა. [redacted][41] ამასთან

[35] მასტერქარდთან ინდივიდუალური ახსნა-განმარტების აუდიო ჩანაწერი - 14:45 - 15:21; 1:17:20 -1:18:50.
[36] მასტერქარდთან ინდივიდუალური ახსნა-განმარტების აუდიო ჩანაწერი - 21:30 - 23:07; 34:50-36:42.
[37] მასტერქარდთან ინდივიდუალური ახსნა-განმარტების აუდიო ჩანაწერი - 25:46 - 28:12.
[38] მასტერქარდთან ინდივიდუალური ახსნა-განმარტების აუდიო ჩანაწერი - 34:50-36:41; 45:25-47:48.
[39] მასტერქარდთან ინდივიდუალური ახსნა-განმარტების აუდიო ჩანაწერი - 57:00 - 57:42.
[40] მასტერქარდთან ინდივიდუალური ახსნა-განმარტების აუდიო ჩანაწერი - 58:50-59:24; 1:21:25-1:21:33.
[41] მასტერქარდთან ინდივიდუალური ახსნა-განმარტების აუდიო ჩანაწერი - 29:01 - 29:25; 31:03 - 34:46; 48:00-49:00.

მასტერქარდს შპს „რეშენალ სოლუშენსისთვის“ არ უთქვამს, რომ არასოდეს ითანამშრომლებდა მასთან.[42]

4.3. ინდივიდუალური ახსნა-განმარტების შეხვედრა შპს „თინეთთან“

საქმის გარემოებების დადგენა-დაზუსტების მიზნით, 2024 წლის 28 მაისს გაიმართა ინდივიდუალური ახსნა-განმარტების შეხვედრა შპს „თინეთთან“.

შპს „თინეთმა“ პირველ რიგში, მიუთითა, რომ იგი თავის კონკურენტებად მოიაზრებს კომერციულ ბანკებსაც. Swoop-ის ბიზნეს მოდელი აწყობილია ვაუჩერებზე და ფასდაკლებებზე, იდენტურად არის ბანკების შემთხვევაშიც, მაგალითად, „სუპერ აპი“ ინტერნეტბანკია, რომელზეც განთავსებულია სხვადასხვა შეთავაზებები, მათ შორის, დასვენების მიმართულებით ფასდაკლებები - შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც მეორდება იგივე მოდელი, რაც Swoop-ის შემთხვევაში არსებობს. განსხვავებული კამპანიებია, მაგრამ რეალურად მომხარებლებს „ართმევენ“ ერთმანეთს.[43] ასევე, კონკურენტად მიიჩნევს booking.com-საც, თუ მათაც იმავე სასტუმროებზე აქვთ შეთავაზება განთავსებული.[44]

შპს „თინეთი“ მიუთითებს, რომ „მასტერქარდთან“ სხვადასხვა მიმართულებით თანამშრომლობს. ზოგჯერ კონკრეტული სფერო უფრო პრიორიტეტულია, მაგალითად სეზონების მიხედვით.[45] ამასთან, თანამშრომლობის სურვილი შესაძლოა მოდიოდეს როგორც მერჩანტისგან, ასევე, მასტერქარდისგან - მაგალითად, თუ მასტერქარდს აქვს გეგმა, რომ ზაფხულის სეზონზე გაიზარდოს მათი ბარათის წილი 20%-ით, ამ დროს თვითონ აქტიურობენ და უკავშირდებიან პლატფორმას ან შეიძლება მერჩანტს ჰქონდეს ახალი პროდუქტი და დახმარებისთვის მიმართოს „მასტერქარდს“ შესაბამისი რესურსების მისაღებად. კონკრეტულ დამატებით ფასდაკლებაზე თანამშრომლობის სურვილი ვისგან მოდიოდა, შპს „თინეთი“ ვერ აზუსტებს, რადგან ეს მუდმივი სამუშაო პროცესია და ორივე მხარისგან შესაძლოა მოხდეს შეთავაზება.[46]

Swoop-ზე დამატებითი ფასდაკლების აქციის აღებასთან დაკავშირებით შპს „თინეთის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ზუსტი მიზეზის თქმა არ შეუძლიათ, თუმცა შეიძლება ეს ყოფილიყო დაგეგმილი კამპანიის ვადაზე ადრე შესრულება ან ხელშეკრულების ვადის გასვლა.[47]

შესაბამის ბაზართან დაკავშირებით შპს „თინეთმა“ შეხვედრაზე აღნიშნა, რომ იგი ბაზრად მიიჩნევს მთლიანად ვაუჩერების/ფასდაკლებების/ინსენტივების[48] ბაზარს, რადგან არ

---

[42] მასტერქარდთან ინდივიდუალური ახსნა-განმარტების აუდიო ჩანაწერი - 51:21-51:30.
[43] შპს „თინეთთან“ ინდივიდუალური ახსნა-განმარტების აუდიო ჩანაწერი I - 2:58 - 4:35; 6:51 - 8:30.
[44] შპს „თინეთთან“ ინდივიდუალური ახსნა-განმარტების აუდიო ჩანაწერი I - 4:50 - 5:52.
[45] შპს „თინეთთან“ ინდივიდუალური ახსნა-განმარტების აუდიო ჩანაწერი I - 9:08 - 10:12.
[46] შპს „თინეთთან“ ინდივიდუალური ახსნა-განმარტების აუდიო ჩანაწერი I - 10:51 - 13:00.
[47] შპს „თინეთთან“ ინდივიდუალური ახსნა-განმარტების აუდიო ჩანაწერი I - 16:04 - 17:15.
[48] ინსენტივები - წამახალისებელი/მასტიმულირებელი ხასიათის ღონისძიებები, რომლის მიზანიცაა გავლენა მოახდინოს მომხმარებლისათვის კომერციულად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაზე, მაგალითად, მისთვის სასურველი პროდუქტის/მომსახურების შეძენასთან დაკავშირებით.

არსებობის პლატფორმა, სადაც მარტო სასტუმროებია განთავსებული. Booking.com-ზეც სასტუმროების გარდა სხვა მომსახურებებიც არის განთავსებული.[49] ამ ბაზარს განსაზღვრავს არა სასტუმროების მიმართულება, არამედ ზოგადად ფასდაკლებების და ვაუჩერების არსებობა.[50]

4.4. გადაწყვეტილების პროექტის გაცნობა და შემაჯამებელი სხდომა

„საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის N40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის 27-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, მოპასუხეებს გაეგზავნათ სააგენტოს შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტი და საქმის მასალები (კონფიდენციალურობის დაცვით) და ეთხოვათ საკუთარი პოზიციისა და მოსაზრებების წარმოდგენა 2024 წლის 2 აგვისტოს ჩათვლით.

გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით სს „მასტერქარდ იუროფმა“ სააგენტოში საკუთარი პოზიცია წარმოადგინა სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადებში. იგი დაეთანხმა სააგენტოს მიერ მომზადებულ გადაწყვეტილების პროექტს და მასთან დაკავშირებით შენიშვნები არ ჰქონია.[51] რაც შეეხება შპს „თინეთს“, მას საკუთარი წერილობითი პოზიცია გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით სააგენტოსთვის არ წარმოუდგენია შესაბამის ვადებში. შპს „თინეთმა“ სააგენტოს მხოლოდ დაუდასტურა სხდომაზე დასწრება.[52]

მხარეთათვის გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით წერილობითი პოზიციების წარმოდგენის შესაძლებლობის მიცემის შემდგომ, სააგენტოში საქმის მოკვლევის პროცედურის შესაბამისად, 2024 წლის 7 აგვისტოს გაიმართა შემაჯამებელი სხდომა მოპასუხეების მონაწილეობით. სხდომა ჩატარდა შერეული ფორმატით, კერძოდ, სს „მასტერქარდ იუროფის“ წარმომადგენლები შემაჯამებელ სხდომას ესწრებოდნენ სააგენტოს ოფიციალურ მისამართზე (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N154), ხოლო შპს „თინეთის“ წარმომადგენლები სხდომას დაესწრნენ ვიდეო კონფერენციის გამოყენებით.

შემაჯამებელ სხდომაზე მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელმა კიდევ ერთხელ მოკლედ გააცნო მხარეებს სააგენტოს გადაწყვეტილების პროექტის შინაარსი, შუალედური დასკვნა და სარეზოლუციო ნაწილი. ასევე, მოკლედ მიმოიხილა სააგენტოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შინაარსი, რის შემდგომაც მოპასუხე სს „მასტერქარდ იუროფმა“ განაცხადა, რომ სააგენტოს გადაწყვეტილების პროექტის მიმართ შენიშვნები არ ჰქონია. თუმცა რეკომენდაციებთან დაკავშირებით ითხოვა გარკვეული დაზუსტება, კერძოდ, მოპასუხის წარმომადგენელმა სააგენტოს სთხოვა განმარტება რეკომენდაციის იმ ნაწილში, რომელიც შეეხებოდა შესაბამისი მომსახურების გაწევაზე უარის თქმის კანონასაწინააღმდეგო ხასიათს, რაზეც სააგენტოსგან მიიღო შესაბამისი დასაბუთება. რაც შეეხება რეკომენდაციის დარჩენილ ნაწილს, კომპანიის წარმომადგენლის განცხადებით იგი არარელევანტური იყო მათთვის ამ

[49] შპს „თინეთთან“ ინდივიდუალური ახსნა-განმარტების აუდიო ჩანაწერი II - 4:52 - 6:10.
[50] შპს „თინეთთან“ ინდივიდუალური ახსნა-განმარტების აუდიო ჩანაწერი II - 6:35 - 6:50.
[51] სააგენტოში შემოსული წერილი N01/3449 (01.08.2024)
[52] სააგენტოში შემოსული წერილი N01/3981 (06.08.2024)

შემთხვევაში, რადგან პრაქტიკაში ისედაც არ იყენებენ ექსკლუზიურ დათქმებს. სს „მასტერქარდ იუროფის“ წარმომადგენელმა შემაჯამებელი სხდომის დასასრულს ასევე განაცხადა, რომ კომპანია შეასრულებს სააგენტოს მიერ გაცემულ განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციებს.

რაც შეეხება შპს „თინეთს“, მას კომენტარები/შენიშვნები გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით (მათ შორის, რეკომენდაციებზე) არ გამოუთქვამს.

შემაჯამებელი სხდომა დამსწრე მხარეთა თანხმობით ჩაწერილ იქნა აუდიო ფორმატში და ოქმი აღნიშნულ აუდიო ჩანაწერთან ერთად გაგზავნილ იქნა მხარეებთან.[53]

თავი II. ნორმატიული რეგულირება

1. ზოგადი მატერიალური რეგულირება

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია. აღნიშნულის გათვალისწინებით, მე-2 მუხლით დაკონკრეტებულია კანონის მიზანი - საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა, რომელიც თავის მხრივ მოიაზრებს:

ა) ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვას;

ბ) ბაზარზე ეკონომიკური აგენტის თავისუფალი დაშვებისთვის სათანადო პირობების შექმნის უზრუნველყოფას;

გ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობას, კერძოდ, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების, გადაწყვეტილებისა და შეთანხმებული ქმედების აკრძალვას და იმ კონცენტრაციის დაუშვებლობას, რომელიც არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას, აგრეთვე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აკრძალვას;

[53] სააგენტოს 2024 წლის 07 აგვისტოს N02/2948 წერილი; სააგენტოს 2024 წლის 07 აგვისტოს N02/2949 წერილი.

დ) სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაუშვებლობას;

ე) სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ეკონომიკური აგენტისთვის ისეთი ექსკლუზიური უფლებამოსილების ან/და შერჩევითი ეკონომიკური უპირატესობის მინიჭების დაუშვებლობას, რომელიც არამართლზომიერად ზღუდავს კონკურენციას;

ვ) უფლებამოსილი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას მაქსიმალური საჯაროობის, ობიექტურობის, არადისკრიმინაციულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას.

2. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები

კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, აკრძალულია ეკონომიკურ აგენტებს შორის ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში დაიდოს ისეთი ხელშეკრულება, მიღებულ იქნას ისეთი გადაწყვეტილება ან განხორციელდეს ისეთი შეთანხმებული ქმედება, რომლის მიზანია ან შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა, კერძოდ:

ა) შესყიდვის ან გაყიდვის ფასის ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება);

ბ) წარმოების, ბაზრის, ტექნოლოგიური განვითარების ან ინვესტიციების შეზღუდვა;

გ) ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილება;

დ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;

ე) გარიგების დასადებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობის დადგენა/ვალდებულების დაკისრება, რომელსაც გარიგების საგანთან საგნობრივი და კომერციული კავშირი არ აქვს.

ამ მუხლით გათვალისწინებული აკრძალული შეთანხმება ბათილია, თუ მასზე არ ვრცელდება კანონით დადგენილი გამონაკლისები. კანონის მე-8 მუხლის მიხედვით, მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა არ ვრცელდება ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმებაზე, თუ მონაწილეთა საბაზრო წილი კანონით დადგენილ მინიმალურ ზღვრებში ექცევა (გამონაკლისი არ ვრცელდება მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებზე).

კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის დებულებები შეიძლება არ იქნას გამოყენებული იმ შეთანხმების მიმართ, რომელიც ხელს უწყობს წარმოების ან/და მიწოდების გაუმჯობესებასა და ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესს, ამასთანავე, უზრუნველყოფს მომხმარებლის კეთილდღეობის ზრდას, თუ ეს დებულებები:

ა) შეთანხმების მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს არ უწესებს ისეთ შეზღუდვას, რომელიც არ არის დაკავშირებული ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევასთან;

ბ) შეთანხმების მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს საშუალებას არ აძლევს, აღკვეთონ კონკურენცია შესაბამისი ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე.

შესაბამისი გარემოებების დასაბუთება ევალებათ ეკონომიკურ აგენტებს, ხოლო გამონაკლისები დგინდება განსაზღვრული ვადით, საქართველოს მთავრობის შესაბამისი ნორმატიული აქტით („კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვიდან გამონაკლისები“ განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის N526 დადგენილებით), თუმცა ხსენებული დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად, ეს დადგენილება არ ვრცელდება და კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების გამონაკლისისადმი მიკუთვნება დაუშვებელია, თუ განსახილველი შეთანხმება გულისხმობს მხარეთა შეთანხმებას: ა) შესყიდვის ან გაყიდვის ფასის ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენის (ფიქსირების) შესახებ; ბ) ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილების შესახებ.

კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარეს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი ერთობლივი შემოსავლის 5%-ს. კანონის 33^1 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პირი სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლდება ამ კანონის დარღვევისთვის ჯარიმის დაკისრებისგან, თუ იგი დააკმაყოფილებს ყველა შემდეგ პირობას:

ა) წერილობით აღიარებს ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ შეთანხმებაში მონაწილეობას;

ბ) სააგენტოს ზეპირად ან/და წერილობით წარუდგენს ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების შესახებ მისთვის ცნობილ, საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციასა და მტკიცებულებას მანამ, სანამ ეს ინფორმაცია და მტკიცებულება სააგენტოსთვის სხვა წყაროდან გახდება ცნობილი;

გ) საქმის მოკვლევის პროცესში უწყვეტად და შეუზღუდავად ითანამშრომლებს სააგენტოსთან;

დ) შეწყვეტს კანონის საწინააღმდეგო შეთანხმებაში მონაწილეობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სააგენტო მიიჩნევს, რომ პირის მიერ ამ შეთანხმებაში მონაწილეობის გაგრძელება საქმის მოკვლევას ხელს შეუწყობს;

ე) არ გაანადგურებს საქმისთვის მნიშვნელოვან დოკუმენტსა და მტკიცებულებას;

ვ) არ გაამჟღავნებს ინფორმაციას თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე.

კანონით დაწესებული შეღავათი არ ვრცელდება მე-7 მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების ერთადერთ ორგანიზატორზე ან/და ინიციატორზე, აგრეთვე იმ პირზე, რომელმაც სხვა პირს აღნიშნულ შეთანხმებაში მონაწილეობა აიძულა. თანამშრომლობის პროგრამის პირზე გავრცელებისა და პირის ამ კანონის მე-7 მუხლის დარღვევისთვის ჯარიმის დაკისრებისგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლების გამოყენების წესს განსაზღვრავს სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 22 ოქტომბრის N 33 ბრძანება.

კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულია კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ის ზოგადი ნორმატიული შემადგენლობა, რომელიც თანაბრად ვრცელდება ნებისმიერი სახის შეთანხმებაზე (სპეციალურ ნორმატიულ შემადგენლობაზე). აღნიშნულიდან გამომდინარე, ზოგადი ნორმატიული შემადგენლობით გათვალისწინებული ყველა ელემენტი აუცილებლად უნდა იქნეს თანაბრად დადგენილი ცალკეული შეთანხმების არსებობის მტკიცების პროცესში.

აღნიშნული ნორმატიული ელემენტები შესაძლებელია დაიყოს ოთხ ძირითად კატეგორიად: **სუბიექტები, ქმედება, კონკურენციის შემზღუდველი მიზანი ან შედეგი, შესაბამისი ბაზარი**, **სადაც კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებით კონკურენცია იზღუდება.** განსახილველი ქმედების სამართალდარღვევად კვალიფიკაციის პროცესში აუცილებელია ყველა დასახელებული პირობის კუმულატიურად არსებობა.

სუბიექტები - აღნიშნულ კატეგორიაში, კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოიაზრებიან: 1. ეკონომიკური აგენტები და 2. ეკონომიკურ აგენტთა გაერთიანებები. ევროკავშირის სამართალში ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევა „ნებისმიერი პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, მიუხედავად მისი სამართლებრივი სტატუსისა და დაფინანსების გზისა.“[54] ეკონომიკური საქმიანობა კი განმარტებულია, როგორც „ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც მოიცავს ბაზარზე საქონლის და მომსახურების შეთავაზებას.“[55] შინაარსობრივად ანალოგიურ განმარტებას გვთავაზობს ქართული კანონმდებლობაც, რომელიც, კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ადგენს, რომ „ეკონომიკური აგენტი არის ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, სხვა გაერთიანება ან

[54] შპს „სიტროენ ჯორჯიას“ საქმე - კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N04/166, 06/07/2018; საავტომობილო საწვავის (II) საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N04/117, 10.05.2018 და სხვა გადაწყვეტილებები ასევე, იხ. Case C-41/90, Höfner and Elser, [1991] ECR I-1979, ECLI:EU:C:1991:161, აბზ. 21.

[55] შპს „სიტროენ ჯორჯიას“ საქმე - სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N04/166, 06/07/2018; საავტომობილო საწვავის (II) საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N04/117, 10.05.2018 და სხვა გადაწყვეტილებები ასევე, იხ. - Case 118/85, Commission v Italy [1987] ECR 2599, ECLI:EU:C:1987:283, აბზ. 7.

ასოციაცია, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, განურჩევლად რეზიდენტობისა, იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმისა.“

კანონის მე-7 მუხლი ასევე მოიცავს ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში დადებულ ისეთ ხელშეკრულებებს, მიღებულ გადაწყვეტილებებს ან შეთანხმებულ ქმედებებს, რომელთაც გააჩნიათ კონკურენციის შემზღუდველი მიზანი ან შედეგი. ანალოგიურ მიდგომას ვხვდებით ევროკავშირის კანონმდებლობასა და პრაქტიკაშიც, სადაც შესაბამისი დარღვევის განმახორციელებელ პირებად ასევე მოიაზრებიან სხვადასხვა ტიპის გაერთიანებები, მათ შორის, ბიზნეს გაერთიანებები და პროფესიული/დარგობრივი ასოციაციები.

ქმედება - ნორმის აღნიშნული ელემენტი წარმოდგენილია სამი ალტერნატივის სახით: 1. შეთანხმება; 2. შეთანხმებული ქმედება და 3. გადაწყვეტილება. კანონი არ იძლევა შეთანხმების განმარტებას, თუმცა ევროკავშირის პრაქტიკაში შეთანხმება განმარტებულია, როგორც „ეკონომიკურ აგენტთა ნების თანხვედრა გარკვეული პოლიტიკის განხორციელების, გარკვეული მიზნისაკენ სწრაფვის ან ბაზარზე ქცევის მოცემული კურსის არჩევის შესახებ.“[56] გადამწყვეტია რაიმე ფორმით, პირდაპირი ან არაპირდაპირი მტკიცებულებით დგინდებოდეს ეკონომიკური აგენტების ნებათა თანხვედრა, რაც შეიძლება დოკუმენტურად იყოს დაფიქსირებული, ან გამომდინარეობდეს მხარეთა შემდგომი ქცევიდან.[57]

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში შეთანხმებულ ქმედებას განმარტავს, როგორც „კოორდინირებულ ქცევას, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ მას არ მიუღწევია ფორმალურ შეთანხმებამდე, გაცნობიერებულად ახდენს კონკურენტული რისკების პრაქტიკული თანამშრომლობით ჩანაცვლებას.“[58] ამასთან, აუცილებელია, გაიმიჯნოს გარკვეული ქმედება პრაქტიკული თანამშრომლობის გამოხატულებაა, თუ დამოუკიდებელ ქმედებას წარმოადგენს.[59]

ასოციაციის გადაწყვეტილების კონცეფცია საკმაოდ ფართოდ განიმარტება და შეიძლება გამოიხატოს როგორც ფორმალურ (მაგ. ბრძანების სახით გამოცემულ, წესდებაში დაფიქსირებულ, რეგულაციის სახით მიღებულ), ისე არაფორმალურ ან სარეკომენდაციო

---

[56] შპს ,,დელტა დეველოპმენტ გრუპის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/266, თარიღი: 05.12.2022; შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/31. თარიღი: 09.03.2021. საავტომობილო საწვავის (II) საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/117, თარიღი: 10.05.2018. ასევე იხ. Case T-41/96, Bayer AG v Commission, [2000] ECR II-3383.

[57] შპს ,,დელტა დეველოპმენტ გრუპის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/266, თარიღი: 05.12.2022 Case T-41/96, Bayer AG v Commission, Case T-41/96, [2000] ECR II-3383.

[58] Joined Cases 48, 49, 51-7/69, ICI v Commission (Dyestuffs) [1972] ECR 619, ECLI:EU:C:1972:70. აღნიშნულ განმარტებასთან დაკავშირებით, სააგენტოში დამკვიდრებულია ერთგვაროვანი პრაქტიკა: შპს ,,დელტა დეველოპმენტ გრუპის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/266, თარიღი: 05.12.2022; შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/31, თარიღი: 09.03.2021; შპს „სიტროენ ჯორჯიას“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/166, თარიღი: 06/07/2018; საავტომობილო საწვავის (II) საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/117, თარიღი: 10.05.2018.

[59] ჯონსი, სუფრინი, ევროკავშირის კონკურენციის სამართალი: ტექსტი, გადაწყვეტილებები და მასალები, გვ. 710.

ხასიათის მითითებებში. რეკომენდაცია ჩაითვლება გადაწყვეტილებად, თუ ის მიზნად ისახავს ან სავარაუდოა, რომ გავლენას მოახდენს ეკონომიკურ აგენტთა ქმედებებზე.[60]

კონკურენციის შემზღუდველი მიზანი ან შედეგი - სააგენტოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკით და ასევე შემუშავებული მე-7 მუხლის გზამკვლევის თანახმად, აღნიშნული წინაპირობა ეკონომიკური აგენტის მიერ ჩადენილ ქმედებასა და კონკურენციის შეზღუდვას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დასადგენად გამოიყენება.[61] კონკრეტული შეთანხმებები მხოლოდ მაშინ ხვდება შესაბამისი ნორმის მოქმედების სფეროში, თუ მათ აქვთ კონკურენციის შეზღუდვის მიზანი ან შედეგი.[62]

ევროკავშირის სამართლის მიხედვით, კონკურენციის შეზღუდვის დასადგენად აუცილებელ წინაპირობას არ წარმოადგენს, რომ ქმედება ჩადენილი იყოს კონკურენციის შეზღუდვის განზრახვით თუ ცოდნით.[63] გადამწყვეტია გაუფრთხილებლობითი ბრალის - „არ შეეძლოთ, რომ არ სცოდნოდათ“ - სტანდარტის დაკმაყოფილება.[64] მაგალითად, „საავტომობილო საწვავის" (II) საქმეში, სააგენტო მე-7 მუხლით გათვალისწინებული მიზნის და შედეგის მქონე დარღვევის კატეგორიების დიფერენციაციას ბრალეულობასთან კავშირში განიხილავს და დარღვევის შედეგის „გაუფრთხილებლობით“ დადგომის შესაძლებლობაზე უთითებს.[65]

შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა - კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების გამოვლენისას, შესაძლებელია განისაზღვროს ის ბაზარი, სადაც შესაბამისი შეთანხმების შედეგად ადგილი აქვს კონკურენციის შეზღუდვას, დაუშვებლობას ან/და აკრძალვას.[66] თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ კონკურენციის შემზღუდველი მიზნის მქონე შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, შეზღუდვის ეფექტი ცალკე მტკიცებას არ საჭიროებს.[67]

---

[60] Case C-309/99, Wouters v Algemene Raad van de Nederlandse Orde van Advocaten [2002] ECR I-1577, ECLI:EU:C:2002:98; Case C-136/12, Consiglio nazionale dei geologi v Autorità garante della concorrenza e del mercato, [2013] Digital Reports of the Court, ECLI:EU:C:2013:489. აღნიშნულ განმარტებასთან დაკავშირებით, სააგენტოში დამკვიდრებულია ერთგვაროვანი პრაქტიკა: შპს ,,დელტა დეველოპმენტ გრუპის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/266, თარიღი: 05.12.2022; შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/31. თარიღი: 09.03.2021.

[61] გზამკვლევი დოკუმენტი „ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები, 2017, გვ. 7-8.

[62] ზუკაკიშვილი ქ., ჯაფარიძე ლ., ავტორთა კოლექტივი, საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, გვ. 201.

[63] Case 19/77, Miller International Schallplatten GmbH v Commission [1978] ECR 131, ECLI:EU:C:1978:19.

[64] Case 246/86, BELASCO v Commission [1989] ECR 2117, ECLI:EU:C:1989:301.

[65] საავტომობილო საწვავის (II) საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 51.

[66] შესაბამისი ბაზრის საზღვრების დადგენის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით იხ., სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N 37 ბრძანება „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“.

[67] 5 Joined Cases C-501/06 P, GlaxoSmithKline para 55, Beef Industry Development Society amd Barry Brothers (Carrigmore) Meats), para 16, case C-8/08 T-Mobile Netherland and others {2009} ECR I-4529, paras 29 ff. and others; აღნიშნულ განმარტებასთან დაკავშირებით, სააგენტოში დამკვიდრებულია ერთგვაროვანი პრაქტიკა: შპს ,,დელტა

3. საგადახდო სქემების მარეგულირებელი კანონმდებლობა

„საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კანონის მიზანს წარმოადგენს საქართველოს საგადახდო სისტემის უსაფრთხო, მდგრადი და ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა, საგადახდო მომსახურების სათანადო განხორციელების უზრუნველყოფა და საგადახდო მომსახურების მომხმარებლების უფლებების დაცვა. ამასთან, ამავე პუნქტის მიხედვით, კანონი განსაზღვრავს საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების რეგულირებისა და ზედამხედველობის პრინციპებს, საგადახდო სისტემის მონაწილეების, საგადახდო მომსახურების განხორციელებაში ჩართული მხარეების, საგადახდო მომსახურების მომხმარებლების უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს.

კანონის მე-2 მუხლის „ჰ[29]“ პუნქტით, განმარტებულია ტერმინი „საგადახდო სქემა“, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს საერთო წესებისა და სტანდარტული პროცედურების ერთობლიობას, რომელიც განსაზღვრავს საგადახდო ინსტრუმენტით[68] განხორციელებული გადახდის ოპერაციების დამუშავების წესებს და რომელსაც მართავს (მართავენ) შესაბამისი პასუხისმგებელი იურიდიული პირი (პირები). ასევე, ამავე პუნქტში მითითებულია, რომ საგადახდო სქემა არ მოიცავს ამ წესების საფუძველზე მოქმედ ინფრასტრუქტურასა და საგადახდო სისტემას.

თავის მხრივ, კანონის მე-2 მუხლის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, საგადახდო სისტემას წარმოადგენს ფულადი სახსრების საგადახდო სისტემა, ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორების სისტემა და კლირინგის სისტემა. ფულადი სახსრების საგადახდო სისტემაა საერთო წესებისა და სტანდარტული პროცედურების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ფულადი სახსრების გადარიცხვის ოპერაციების ან ტრანსფერორდერების დამუშავებას. ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორების სისტემა – სისტემის სამ ან მეტ მონაწილეს შორის საერთო წესებისა და სტანდარტული პროცედურების ერთობლიობა, რომლის საფუძველზედაც ხორციელდება ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორება, ხოლო, კლირინგის სისტემას წარმოადგენს – სისტემის სამ ან სამზე მეტ მონაწილეს შორის საერთო წესებისა და სტანდარტული პროცედურების ერთობლიობა, რომლის საშუალებითაც ხდება კლირინგი და ნეტპოზიციების გამოთვლა ან/და დადგენა მონაწილეებს შორის შემდგომი ანგარიშსწორებისთვის და რომელშიც ნეტპოზიციების გამოთვლა შეიძლება ემყარებოდეს პრინციპს, რომლის დროსაც სისტემის ოპერატორი მოქმედებს გამყიდველის სახელით ყველა მყიდველის მიმართ და მყიდველის სახელით ყველა გამყიდველის მიმართ.

დეველოპმენტ გრუპის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/266, თარიღი: 05.12.2022; შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/31, თარიღი: 09.03.2021.

[68] მაგ. საკრედიტო გადარიცხვა, პირდაპირი დებეტი, საბარათე ინსტრუმენტი და სხვა.

დამატებით, კანონის 5[1] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ოპერატორი, მათ შორის, პროვაიდერი, როგორც საგადახდო სისტემის ოპერატორი, ვალდებულია დაადგინოს მის საგადახდო სისტემაზე პროვაიდერების წვდომის, აგრეთვე საგადახდო სისტემაში მონაწილეობის წესები და პირობები. საგადახდო სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნები ვრცელდება **საგადახდო სქემაზედაც (მათ შორის, უცხოურ სქემაზე),** გარდა ისეთი საგადახდო სქემისა, რომლის ფარგლებში გამოშვებული საგადახდო ინსტრუმენტით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული გადახდის ოპერაციების თანხის ჯამური მოცულობა წლიურად არ აღემატება სხვა საგადახდო სქემის იმავე ტიპის საგადახდო ინსტრუმენტით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული გადახდის ოპერაციების თანხის ჯამური მოცულობის 3 პროცენტს.

თავის მხრივ, ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია წვდომის ის მინიმალური პირობები, რომელიც, მათ შორის, უნდა გავრცელდეს საგადახდო სქემაზეც. კერძოდ, წვდომის პირობები ა) უნდა იყოს ობიექტური, პროპორციული და არადისკრიმინაციული; ბ) არ უნდა იწვევდეს საგადახდო სისტემაში მონაწილეობის/საგადახდო სისტემაზე წვდომის შეზღუდვას იმაზე მეტად, ვიდრე ეს საჭიროა საგადახდო სისტემის ფინანსური და საოპერაციო მდგრადობის ან კონკრეტული რისკებისგან (როგორებიცაა: ანგარიშსწორების რისკები, საოპერაციო რისკები, ბიზნესრისკები) დასაცავად.

4. პროცედურული რეგულირება

„საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის N 40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის (შემდგომში - „პროცედურა“) მე-5 მუხლის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია დაიწყოს საქმის მოკვლევა საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

კანონის 25-ე მუხლისა და პროცედურის მე-6 მუხლის თანახმად, საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სააგენტო იწყებს საქმის მოკვლევას და არაუგვიანეს 6 თვისა იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, ამასთან, მოკვლევის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, სააგენტოს გადაწყვეტილებით, საქმის მოკვლევა შეიძლება გაგრძელდეს 18 თვემდე.

კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული ოპერაციის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის) წარდგენა, რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის; ამავე კანონის 32-ე მუხლი კი ითვალისწინებს სანქციას სააგენტოს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის მიუწოდებლობისთვის, არასწორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდებისათვის.

პროცედურის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს ნებისმიერი დოკუმენტი/ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური), რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში და ხელს შეუწყობს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენას.

პროცედურის მე-20 მუხლის მიხედვით, სააგენტო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე სააგენტო უფლებამოსილია:

ა) შეაგროვოს ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით;

ბ) მიიღოს ახსნა-განმარტება ან გამართოს საკონსულტაციო შეხვედრა საქმის გარემოებათა დასადგენად;

გ) მოიწვიოს ექსპერტი;

დ) მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს.

პროცედურის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად სააგენტოს თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეუძლია ახსნა-განმარტების მისაღებად მოიწვიოს მხარე ან/და დაინტერესებული მხარე. პროცედურის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო, ახსნა-განმარტების მიღების მიზნით, ატარებს სხდომას მხარეთა მონაწილეობით, ხოლო 25-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოკვლევის ინტერესების გათვალისწინებით, ახსნა-განმარტების მიღება შესაძლებელია მოხდეს სხდომის ჩატარების გარეშე, ინდივიდუალური ახსნა-განმარტების ჩამორთმევის გზით. „პროცედურის“ მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა შესაბამისად, საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენა-დაზუსტების მიზნით სააგენტო მართავს საკონსულტაციო შეხვედრებს.

კანონის 25-ე მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტების თანახმად, სააგენტო შემაჯამებელი სხდომის გამართვამდე განმცხადებელსა და მხარეს წერილობით უგზავნის სააგენტოს საბოლოო გადაწყვეტილების პროექტსა და საქმის მასალებს. ამასთანავე, განმცხადებელსა და მხარეს განემარტება, რომ მათ უფლება აქვთ, წარმოადგინონ თავიანთი პოზიციები და შესაბამისი დამატებითი ინფორმაცია (მტკიცებულებები). განმცხადებლისა და მხარის მიერ თავიანთი პოზიციების წარმოდგენისათვის განსაზღვრული ვადა არ უნდა იყოს 25 სამუშაო დღეზე ნაკლები. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ წარდგენილი ინფორმაცია სააგენტომ შეიძლება არ გაითვალისწინოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

პროცედურის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და მტკიცებულებების შეგროვების შემდეგ ინიშნება შემაჯამებელი სხდომა

მხარეებისა და სხვა უფლებამოსილი ორგანოების/პირების მონაწილეობით, ხოლო 29-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შემაჯამებელი სხდომის დასრულების შემდგომ მოკვლევის ჯგუფი ამზადებს გადაწყვეტილების პროექტს, რომელიც წარედგინება სააგენტოს თავმჯდომარეს გადაწყვეტილების მისაღებად.

სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევის განხორციელების პროცესში მიღებული გადაწყვეტილებები და კვლევები საჯაროა, გარდა კანონის მე-20 მუხლით განსაზღვრული კონფიდენციალური ინფორმაციისა.

თავი III. შესაბამისი ბაზარი

1. ზოგადი მიმოხილვა

კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონკურენცია არის შესაბამის ბაზარზე მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის მეტოქეობა ამ ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად.

შესაბამისი ბაზარი არის საქონლის, ურთიერთჩანაცვლებადი საქონლის ან მომსახურების მიმოქცევის სფერო გარკვეულ ტერიტორიაზე, რომლის საზღვრებიც დგინდება საქონლის/მომსახურების შეძენის ეკონომიკური შესაძლებლობებისა და მიზანშეწონილობის გათვალისწინებით და შეიძლება მოიცავდეს საქართველოს მთელ ტერიტორიას, საქართველოს ტერიტორიის ნაწილს ან საქართველოს მთელ ტერიტორიას ან მის ნაწილს სხვა ქვეყნის ტერიტორიასთან ან მის ნაწილთან ერთად.[69] კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების (შემდგომში - ,,ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები“) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი პარამეტრების გამოყენებით:

ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;
ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;
გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.

შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების განსაზღვრის ზოგადი მიდგომა ეფუძნება „ჩანაცვლებადობის“ კრიტერიუმს, ანუ შეისწავლება, არის თუ არა კონკრეტული საქონელი ან მომსახურება სხვა პროდუქტებთან/მომსახურებასთან ურთიერთჩანაცვლებადი. „ჩანაცვლებადობის“ განსაზღვრისთვის სავალდებულო არ არის ურთიერთჩანაცვლების სრულყოფილი ხარისხის დადგენა. მის დასადგენად საკმარისად ითვლება პროდუქტის ან

[69] კანონის მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი.

მომსახურების მსგავსი გამოყენება. ურთიერთჩანაცვლებადობის განხილვა წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლოა მოხდეს ბაზრის როგორც მოთხოვნის, ასევე მიწოდების ასპექტის გათვალისწინებით.[70]

შესაბამისი ბაზრის თითოეული გეოგრაფიული საზღვრის დადგენა აუცილებლად მოითხოვს ბაზრის პროდუქციული საზღვრების განსაზღვრას, ვინაიდან შესაბამისი გაყიდვების არეალი არსებითად შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ იმ პროდუქტებისა და სერვისებისთვის, რომლებიც ობიექტურად ურთიერთშემცვლელნი არიან.[71]

შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო წარმოადგენს დროის იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ფუნქციონირებს ბაზარი კონკრეტული პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების პირობებში.[72]

სააგენტო ადასტურებს შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის მნიშვნელობას კონკურენციის საქმეებზე სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აღნიშნული გარემოება, უპირველეს ყოვლისა, ემყარება ევროკომისიის მიერ ჩამოყალიბებულ მიდგომას შესაბამისი ბაზრის საზღვრების დადგენასთან დაკავშირებით, რომლის უპირველესი გამოხატულებაც 1997 წელს ამავე ორგანოს მიერ თანამეგობრობის კონკურენციის სამართლის მიზნებისათვის შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის შესახებ მიღებული შეტყობინებაა (შემდგომში - ,,შეტყობინება").[73] ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ ევროკომისიამ 2024 წელს გამოაქვეყნა აღნიშნული დოკუმენტის განახლებული ვერსია, რომელიც 1997 წლის დოკუმენტის პირველი მოდიფიცირებული ვარიანტია. შეტყობინების განახლებული ვერსია აზუსტებს შესაბამისი ბაზრის პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების დადგენის მეთოდოლოგიის შინაარსს ევროკავშირის კონკურენციის სამართლის ფარგლებში და ასახავს როგორც ევროკომისიის, აგრეთვე ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაში მიღებული გადაწყვეტილებების განზოგადებულ მიდგომებს ბოლო 26 წლის განმავლობაში.[74]

რაც შეეხება უშუალოდ კანონის მე-7 მუხლის მიზნებისათვის შესაბამისი ბაზრის საზღვრების დადგენას - აღნიშნული მუხლის მიხედვით ქცევის შესწავლისას, შესაბამისი ბაზრის განსაზღვრით შესაძლებელია მოქმედი და პოტენციური კონკურენტების იდენტიფიცირება. გარდა ამისა, შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა სააგენტოს საშუალებას აძლევს დაადგინოს, კვალიფიცირდება თუ არა გარკვეული შეთანხმება, როგორც „კონკურენციის უმნიშვნელოდ შემზღუდველი შეთანხმება" კანონის მე-8 მუხლის კონტექსტში, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნება შესაბამის ბაზარზე ამ ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილებს.

---

[70] საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს გზამკვლევი - შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის სახელმძღვანელო მითითებები, თბილისი, 2023, 4.
[71] იქვე., 15.
[72] ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი.
[73] Commission Notice on the Definition of Relevant Market for the Purposes of Community Competition Law (97/C 372/03).
[74] Communication from the Commission – Commission Notice on the Definition of the Relevant Market for the Purposes of Union Competition Law (C/2023/6789).

2. საბაზრო ვერტიკალური სტრუქტურა

შესაბამის ბაზარს შესაძლოა გააჩნდეს ორი ან მეტი დონე. აღნიშნული დონეების რაოდენობას, უპირველეს ყოვლისა, განსახილველი პროდუქციის ან მომსახურების ეკონომიკურ აგენტთა შორის არსებულ ურთიერთობებში მიმოქცევის მიმართულება განსაზღვრავს. კერძოდ, განსახილველი პროდუქტი ან მომსახურება მის საბოლოო რეალიზაციამდე ე.ი. საბოლოო მომხმარებლის მიერ მის შეძენამდე, შესაძლოა გარკვეულ საწარმოო და სავაჭრო სტადიებს გადიოდეს. მაგალითად, წარმოების, გადამუშავების, დისტრიბუციისა და რეალიზაციის სტადიებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სხვადასხვა ბაზრებზე მოქმედი ეკონომიკური აგენტები ერთმანეთს აწვდიან და ერთმანეთისგან იძენენ პროდუქციას/მომსახურებას, რაც განაპირობებს მათ გარკვეულ ეკონომიკურ ურთიერთკავშირს. მაგალითად, ფქვილის მწარმოებელი კომპანიები აღნიშნულ პროდუქტს აწვდიან პურის მწარმოებელ ეკონომიკურ აგენტებს. ასევე, სათამაშო მაგიდების მწარმოებელი ეკონომიკური აგენტები, აღნიშნულ პროდუქციას აწვდიან სათამაშო ბიზნესის წარმომადგენლებს (მაგალითად, სამორინეებს, სლოტ-კლუბებს), რომლებიც მოცემული პროდუქციით მომხმარებლებს მომსახურებას უწევენ. ანალოგიურად, ძრავის მწარმოებელი კომპანიები აღნიშნულ პროდუქტს აწვდიან ავტომობილების მწარმოებელ კომპანიებს და სხვა.

კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულებისას, ზედა დონის ბაზრის განსაზღვრა და მასზე საბაზრო ძალაუფლების არსებობის ფაქტის დადგენა ვერტიკალური შეთანხმებების, ვერტიკალური კონცენტრაციებისა და დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების რიგი შემთხვევების ანალიზის არსებითი ნაწილია.[75] აღნიშნულის საპირისპიროდ, ქვედა დონისაა ბაზარი, რომელზეც მოქმედი ეკონომიკური აგენტები იძენენ „ზედა დონეზე" არსებული ეკონომიკური აგენტების ნაწარმს, რაც აუცილებელია იმ საქონლის დასამზადებლად ან მომსახურების მისაწოდებლად, რომელსაც, თავის მხრივ, საკუთარ კლიენტებზე ყიდიან.[76]

მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში საბაზრო ვერტიკალური სტრუქტურის არსებობა შემდეგი სახით დგინდება:

I. ზედა დონის ბაზარი - სააგენტო განსაზღვრავს შემდეგი სახის შესაბამის ბაზარს: **საერთაშორისო საბარათე სქემების მეშვეობით განხორციელებული მომსახურების ბაზარი**. აღნიშნული ბაზრის სუბიექტები არიან:

1. ამერიკან ექსპრესი;
2. ვიზა;
3. იუნიონ ფეი ინტერნეშიონალი;
4. ლოკალური;
5. მასტერქარდი.[77]

---

[75] Whish & Bailey, Competition Law (9th ed.), 697-784.

[76] კონკურენციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 2019, გვ. 158.

[77] იხ., ლინკი - https://nbg.gov.ge/page/საგადახდო-სქემები [ბოლო ნახვის თარიღი: 26.06.2024].

შესაბამისად, მოპასუხე ეკონომიკური აგენტი - მასტერქარდი, ზედა დონის ბაზარზე მოქმედი სუბიექტია.

II ქვედა დონის ბაზარი - სააგენტო განსაზღვრავს შემდეგი სახის შესაბამის ბაზარს: **ლოიალობაზე დაფუძნებული სასტუმროებისა და განთავსების ობიექტებით მომსახურების ონლაინ მიწოდების ბაზარი.**

შესაბამისად, მოპასუხე ეკონომიკური აგენტი - შპს ,,თინეთი", ქვედა დონის ბაზარზე მოქმედი სუბიექტია.

3. შესაბამისი ბაზრის საზღვრები

სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები

სააგენტოს მიერ განსაზღვრული საბაზრო ვერტიკალური სტრუქტურის მიხედვით, მიზანშეწონილია იდენტიფიცირებული დონეების გათვალისწინებით ცალ-ცალკე შეფასდეს და დადგინდეს შესაბამისი ბაზრის პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრები.

შესაბამისი ბაზრის ზედა დონის პროდუქციული საზღვრები

შესაბამისი ბაზრის ზედა დონის პროდუქციული საზღვრების დადგენისას, სააგენტო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საგადახდო სისტემის ფუნქციონირება და საგადახდო მომსახურების გაწევა მკაცრად რეგულირებული სფეროა.[78]

საგადახდო სისტემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს აწესრიგებს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, ,,საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ" კანონი, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები.

რელევანტური ნორმატიული რეგულირების შინაარსის გათვალისწინებით, საერთაშორისო საბარათე სქემების მეშვეობით საგადახდო მომსახურების სფერო განეკუთვნება ცალკე არსებულ შესაბამის ბაზარს.

შესაბამისი ბაზრის ზედა დონის გეოგრაფიული საზღვრები

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების" მე-11 მუხლის შესაბამისად, სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები წარმოადგენს ტერიტორიას, რომელზეც შერჩეული ჯგუფის მყიდველები იძენენ ან აქვთ ეკონომიკური, ტექნიკური და სხვა სახის შესაძლებლობები, შეიძინონ განსახილველი საქონელი/მომსახურება.

საერთაშორისო საგადახდო სქემების მეშვეობით მომსახურების გაწევა უზრუნველყოფილია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

[78] იხ., წინამდებარე გადაწყვეტილების II თავი, მე-3 ქვეთავი.

შესაბამისად, სააგენტო ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრად მიიჩნევს ეროვნულ დონეს - **მთელი ქვეყნის ტერიტორიას.**

სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები

შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო წარმოადგენს დროის იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ფუნქციონირებს ბაზარი კონკრეტული პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების პირობებში.

საერთაშორისო საგადახდო სქემების მეშვეობით მომსახურების ბაზარი არ წარმოადგენს სეზონური ხასიათის ბაზარს და იგი ფუნქციონირებს მთელი წლის განმავლობაში. ამ ბაზარზე არ შეინიშნება რაიმე სახის წყვეტა წელიწადის დროების მიხედვით. შესაბამისად, მოცემულ ბაზარს არ გააჩნია რაიმე სახის დროითი ჩარჩო.

შესაბამისი ბაზრის ქვედა დონის პროდუქციული საზღვრები

მოკვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს შორის წერილობითი ფორმით პერიოდულად თანხმდება მარკეტინგული მომსახურების შესახებ ხელშეკრულებები სხვადასხვა ონლაინ-გაყიდვების ფარგლებში, მათ შორის სასტუმროებისა და განთავსების ობიექტებით მომსახურების მიმართულებით დამატებითი ფასდაკლებების მომხმარებლებისათვის შეთავაზების მიზნით. სააგენტო აღნიშნავს, რომ მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს შორის დადებული ხელშეკრულების საგანი შესაძლებელია იყოს შესაბამისი ბაზრის საზღვრების დადგენის პირველადი ინდიკატორი, თუმცა აგრეთვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს მოკვლევის ფარგლებში სხვადასხვა ეკონომიკური აგენტის მიერ დაფიქსირებული პოზიცია შესაბამისი ბაზრის საზღვრების დადგენასთან დაკავშირებით.

შესაბამისი ბაზრის სავარაუდო საზღვრებთან (ქვედა დონის საზღვრებთან) დაკავშირებით მოკვლევის მიმდინარეობის პროცესში პოზიციები დააფიქსირეს შპს ,,თინეთმა“ (ს/ნ 402116474), შპს ,,რეშენალ სოლუშენსმა“ (ს/ნ 406054932) და შპს ,,პირველი შოპმა“ (ს/ნ 405431714).

კერძოდ, შპს ,,თინეთის“ წარმომადგენელმა სააგენტოსთან გამართულ ახსნა-განმარტებით შეხვედრაზე განაცხადა, რომ შესაბამისი ბაზრის საზღვრების დადგენა ლოიალობაზე დაფუძნებული სასტუმროებისა და განთავსების ობიექტებით მომსახურების ონლაინ მიწოდების ბაზრის სახით (ანუ შესაბამისი ბაზრის ასეთი ფორმით დავიწროება) არ უნდა იყოს გამართლებული, რადგან შესაბამისი ბაზარი განხილულ უნდა იქნეს ჯამურად, როგორც ვაუჩერების/ფასდაკლებების/ქეშბექების, ზოგადად ინსენტივების ბაზარი. შპს ,,თინეთის“ წარმომადგენლის პოზიციით, აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს ის, რომ არ არსებობს ისეთი პლატფორმა, სადაც მხოლოდ სასტუმროების მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა იქნებოდა შესაძლებელი, მათ შორის Booking.com-ზეც სასტუმროების გარდა სხვა სახის მომსახურებებიც არის განთავსებული და შესაბამისად, ბაზრის საზღვრებს განსაზღვრავს არა სასტუმროების მიმართულების, არამედ ზოგადად ფასდაკლებებისა და

ვაუჩერების არსებობა.[79] გარდა აღნიშნულისა, კომპანიის პოზიციით, მისი კონკურენტები არიან კომერციული ბანკებიც და ყველა სხვა კომპანია, რომელიც რაიმე სახით მომხმარებელს სთავაზობს სასტუმროებისა და განთავსების ობიექტების შეთავაზებებს.[80]

კომპანია შპს ,,რეშენალ სოლუშენსის" პოზიციით, მისი კონკურენტები არიან შპს ,,თინეთი" (ს/ნ: 402116474) და შპს ,,პირველი შოპი" (ს/ნ: 405431714).[81] საკონსულტაციო შეხვედრაზე კომპანიის წარმომადგენლის მიერ დაფიქსირებული პოზიციის თანახმად, გარკვეულწილად კომერციული ბანკებიც შეიძლება ჩაითვალონ შპს ,,რეშენალ სოლუშენსის" კონკურენტებად, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ მათი დანაზოგის პროცენტი ხშირ შემთხვევაში თითქმის [redacted] შპს ,,რეშენალ სოლუშენსის" ანალოგიურ მაჩვენებელს, ისინი ნაკლებად უნდა იქნენ მიჩნეულნი ამავე კომპანიის კონკურენტებად, თუმცაღა, მაგალითად იმ შემთხვევაში, როდესაც კომერციული ბანკები გარკვეული პროდუქციის ან მომსახურების გამყიდველს ექსკლუზიური თანამშრომლობის პირობას შესთავაზებენ და აუკრძალავენ სხვა ონლაინ-გაყიდვის არხებით სარგებლობას, მაშინ შესაძლებელია ისინი მიჩნეულ იქნენ შპს ,,რეშენალ სოლუშენსის" კონკურენტებად.[82] კომპანიის წარმომადგენლის მიერ დამატებით აღინიშნა, რომ მაგალითად SOLO და Concept კონკრეტული მომხმარებლებისკენ არიან მიმართულნი, ხოლო Hotsale-ის მომსახურება ნებისმიერი მომხმარებლისთვისაა განკუთვნილი.[83]

კომპანია შპს ,,პირველი შოპის" (ს/ნ: 405431714) მიერ სააგენტოში წარმოდგენილი პოზიციის თანახმად, მის კონკურენტებად ითვლებიან შპს ,,თინეთი" (ს/ნ: 402116474) და შპს ,,რეშენალ სოლუშენსი" (ს/ნ: 406054932), თუმცა აღნიშნული სუბიექტები მხოლოდ მისთვის ცნობილი კონკურენტები არიან და არ გამორიცხავს, რომ თავისი კონკურენტების შესახებ ინფორმაციას შესაძლოა, სრულად არ ფლობდეს.[84]

შესაბამისი ბაზრის ქვედა დონის პროდუქციული საზღვრების დადგენის პროცესში სააგენტო ყურადღებას ამახვილებს ყველა იმ კომპონენტზე, რომლის მეშვეობითაც ფორმირდება ამავე ბაზრის (ლოიალობაზე დაფუძნებული სასტუმროებისა და განთავსების ობიექტებით მომსახურების ონლაინ მიწოდების ბაზარი) საზღვრები. კერძოდ, აღნიშნული კომპონენტები შემდეგია:

1. **ლოიალობაზე დაფუძნებული -** მოკვლევის ფარგლებში ერთმნიშვნელოვნად დადგინდა, რომ სამეწარმეო საქმიანობა, რომელსაც ეწევა როგორც ერთ-ერთი მოპასუხე ეკონომიკური აგენტი, შპს ,,თინეთი", აგრეთვე დახარვეზებული საჩივრის ავტორი - შპს ,,რეშენალ სოლუშენსი", მომხმარებლების მიმართ ლოიალური კომერციული პოლიტიკის შესაბამისად მომსახურების გაწევას გულისხმობს. კერძოდ, განსახილველ კონტექსტში, ტერმინი ,,ლოიალურობა" ნიშნავს სხვადასხვა სახის პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაციას წამახალისებელი/მასტიმულირებელი ხასიათის ღონისძიებების მეშვეობით, რომლის მიზანიცაა გავლენა მოახდინოს მომხმარებლისათვის კომერციულად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაზე, მისთვის სასურველი

[79] შპს ,,თინეთთან" ინდივიდუალური ახსნა-განმარტების აუდიო ჩანაწერი II - 6:35 - 6:50.
[80] სააგენტოში შემოსული N01/1490 (თარიღი: 15.03.2024) წერილი.
[81] სააგენტოში შემოსული N01/1600 (თარიღი: 21.03.2024) წერილი.
[82] შპს ,,რეშენალ სოლუშენსთან" საკონსულტაციო შეხვედრის აუდიო ჩანაწერი I - 03:46 - 05:03.
[83] შპს ,,რეშენალ სოლუშენსთან" საკონსულტაციო შეხვედრის აუდიო ჩანაწერი I - 05:03 - 05:24.
[84] სააგენტოში შემოსული N01/2671 (თარიღი: 17.05.2024) წერილი.

პროდუქტის/მომსახურების შეძენასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ლოიალურობა გულისხმობს ფასდაკლებების, აქციების, ქეშბექების, ვაუჩერებისა და სხვა მსგავსი ინსენტივების მეშვეობით პროდუქტის/მომსახურების რეალიზაციას. აღნიშნული კომპონენტი **არსებითი ნიშანია** ლოიალობაზე დაფუძნებული ბიზნესის მოდელისთვის, რომლისთვისაც **ინსენტივებით ვაჭრობა** აუცილებელი წინაპირობაა მომხმარებლისთვის შესაბამისი შეთავაზებების გასაკეთებლად.

2. **სასტუმროებისა და განთავსების ობიექტებით მომსახურება** - მოკვლევის ფარგლებში ერთმნიშვნელოვნად დადგინდა, რომ ლოიალობაზე დაფუძნებული პროდუქტისა თუ მომსახურების მიწოდების ბაზრები არ არიან შეზღუდულნი მხოლოდ ტურიზმის მიმართულებით და მით უფრო, სასტუმროებისა და განთავსების ობიექტებით მომსახურების მიწოდებით. მიუხედავად ამისა, არსებული მოკვლევის ფარგლებში, აგრეთვე ერთმნიშვნელოვნად დადგინდა, რომ სავარაუდო ექსკლუზივს შესაძლოა გავლენა ჰქონოდა მხოლოდ სასტუმროებისა და განთავსების ობიექტებით მომსახურების მიმართულებაზე. ბუნებრივია, შესაბამის ვებ-გვერდებს არ სტუმრობენ მხოლოდ აღნიშნული მომსახურების მიღებით დაინტერესებული მომხმარებლები, თუმცა ცალსახაა, რომ მაგალითად, საცურაო აუზების ან ღამის კლუბის მომსახურების შეძენით დაინტერესებული პირი არჩევანს არ გააკეთებს ერთი მხრივ აღნიშნული სახის მომსახურებისა და მეორე მხრივ სასტუმროების/განთავსების ობიექტებით მომსახურების შეძენას შორის. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო ცალკე შესაბამისი ბაზრის სახით გამოყოფს სასტუმროებისა და განთავსების ობიექტებით მომსახურების მიმართულებას.

3. **ონლაინ მიწოდება** - უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სასტუმროების დაჯავშნის ონლაინ პლატფორმები თანამედროვე ტურიზმის განუყოფელი ნაწილია. აღნიშნული ვებ-გვერდები მომხმარებელს საშუალებას აძლევს, ერთ სივრცეში ერთმანეთს შეადაროს სასურველი ტიპისა და ადგილმდებარეობის სასტუმროები და ამის საფუძველზე მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. უნდა აღინიშნოს ასევე ის ფაქტი, რომ ასეთი პლატფორმები უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს სასტუმროებს, წარმოდგენილნი იყვნენ ისეთ ვებ-გვერდებზე, რომელსაც ყოველდღიურად პოტენციური კლიენტების სოლიდური რაოდენობა სტუმრობს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დაჯავშნის ონლაინ პლატფორმები ქმნიან ე.წ. ორმხრივ ბაზარს (two sided market). კერძოდ, მსგავსი ვებ-გვერდები ერთი მხრივ, სასტუმროებს აძლევს შესაძლებლობას, მოახდინონ საკუთარი მომსახურების პოპულარიზაცია და მოსახერხებელი გზით ამ მომსახურების მომხმარებლისათვის შეთავაზება. გარდა ამისა, მსგავსი პლატფორმები მომხმარებლებს აძლევს საშუალებას, ისარგებლონ პლატფორმებზე განთავსებული შეთავაზებებით და არჩევანი გააკეთონ მათთვის მისაღებ სასტუმროზე. აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ, როგორც წესი, დაჯავშნის ონლაინ პლატფორმები თვითონ არ უზრუნველყოფენ მომხმარებელს სასტუმროების მომსახურებით, არამედ ისინი წარმოადგენენ მხოლოდ შუამავალ რგოლს სასტუმროსა და მომხმარებლებს შორის.

სააგენტოს განმარტების მიხედვით, სასტუმროების ონლაინ დაჯავშნის პლატფორმები ქმნიან ცალკე ბაზარს, რომელშიც არ შედის, მაგალითად ჩვეულებრივი ტურისტული

სააგენტოები და დაჯავშნის ოფლაინ (ე.ი. ინტერნეტ სივრცის გარეთ მოქმედი) ოფისები.[85] სასტუმროების ონლაინ დაჯავშნის პლატფორმების ბაზარს გააჩნია თვისობრივად განსხვავებული პროდუქციული საზღვრები და იგი არ მოიცავს ჩვეულებრივ ტურისტულ სააგენტოებსა და ინტერნეტ სივრცის მიღმა არსებული („offline“) სასტუმროების დაჯავშნის სხვადასხვა საშუალებებს.[86]

შესაბამისად, სააგენტო ხელმძღვანელობს მის მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით და წინამდებარე მოკვლევის ფარგლებშიც სასტუმროებისა და განთავსების ობიექტებით მომსახურების ონლაინ მიწოდების ბაზარს მიიჩნევს ცალკე ბაზრად, რომელიც არ მოიცავს ინტერნეტ სივრცის მიღმა არსებული ე.წ. ოფლაინ სასტუმროების დაჯავშნის სხვადასხვა საშუალებებს.

შესაბამისი ბაზრის ქვედა დონის გეოგრაფიული საზღვრები

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-11 მუხლის შესაბამისად, სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები წარმოადგენს ტერიტორიას, რომელზეც შერჩეული ჯგუფის მყიდველები იძენენ ან აქვთ ეკონომიკური, ტექნიკური და სხვა სახის შესაძლებლობები, შეიძინონ განსახილველი საქონელი/მომსახურება.

ლოიალობაზე დაფუძნებული სასტუმროებისა და განთავსების ობიექტებით მომსახურების ონლაინ მიწოდება უზრუნველყოფილია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

შესაბამისად, სააგენტო ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრად მიიჩნევს ეროვნულ დონეს - **მთელი ქვეყნის ტერიტორიას.**

სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები

შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო წარმოადგენს დროის იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ფუნქციონირებს ბაზარი კონკრეტული პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების პირობებში.

ლოიალობაზე დაფუძნებული სასტუმროებისა და განთავსების ობიექტებით მომსახურების ონლაინ მიწოდების მეშვეობით მომსახურების ბაზარი არ წარმოადგენს სეზონური ხასიათის ბაზარს და იგი ფუნქციონირებს მთელი წლის განმავლობაში.

აღსანიშნავია, რომ ზაფხულისა და ზამთრის სეზონებზე განსახილველი მომსახურების მიწოდების მიმართულება, შესაბამის ბაზარზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად, უფრო აქტიურდება, თუმცა ხსენებული გარემოება არც ერთ შემთხვევაში არ გამორიცხავს ამავე მომსახურების შეთავაზებას სხვა სეზონებზეც, როდესაც მოთხოვნა შედარებით ნაკლებია. აქედან გამომდინარე, დასახელებული ფაქტორი არ მიანიშნებს რაიმე სახის წყვეტაზე

[85] სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 09 იანვრის N 05 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, გვ. 11; აგრეთვე იხ., გერმანიის კარტელების ფედერალური სამსახურის გადაწყვეტილება B9-66/10, პარაგრაფი 69.

[86] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მონიტორინგის ანგარიში სასტუმროების დაჯავშნის ონლაინ პლატფორმების ბაზრის შესახებ, 2019, თბილისი, 4.

წელიწადის დროების მიხედვით. შესაბამისად, მოცემულ ბაზარს არ გააჩნია რაიმე სახის დროითი ჩარჩო.

შუალედური დასკვნა

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში სააგენტო ადგენს შესაბამისი ბაზრის შემდეგ საზღვრებს:

ზედა დონის შესაბამის ბაზარზე:

ა) შესაბამისი ბაზრის **პროდუქციული** საზღვრები - **საერთაშორისო საბარათე სქემების მეშვეობით განხორციელებული მომსახურების ბაზარი**;
ბ) შესაბამისი ბაზრის **გეოგრაფიული** საზღვრები - **საქართველოს მთელი ტერიტორია**;
გ) დროითი ჩარჩო - შესაბამის ბაზარს **დროითი ჩარჩო არ გააჩნია.**

ქვედა დონის შესაბამის ბაზარზე:

ა) შესაბამისი ბაზრის **პროდუქციული** საზღვრები - **ლოიალობაზე დაფუძნებული სასტუმროებისა და განთავსების ობიექტებით მომსახურების ონლაინ მიწოდების ბაზარი**;
ბ) შესაბამისი ბაზრის **გეოგრაფიული** საზღვრები - **საქართველოს მთელი ტერიტორია**;
გ) დროითი ჩარჩო - შესაბამის ბაზარს **დროითი ჩარჩო არ გააჩნია.**

თავი IV. სააგენტოს შეფასება ,,კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე

1. ზოგადი მიმოხილვა

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიმდინარე მოკვლევა დაწყებულია სააგენტოს მიერ საკუთარი ინიციატივით, რაც გათვალისწინებულია კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით. კანონის მე-7 მუხლით დადგენილი დარღვევის მტკიცების ტვირთი აწევს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს - სააგენტოს, რასაც საკუთარი ინიციატივით დაწყებული მოკვლევის ფარგლებში დამოუკიდებლად ახორციელებს.

კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების ამკრძალავ საკანონმდებლო საფუძველს წარმოადგენს კანონის მე-7 მუხლი, რომლის პირველი პუნქტის მიხედვით, „აკრძალულია, ეკონომიკურ აგენტებს შორის ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში დაიდოს ისეთი ხელშეკრულება, მიღებულ იქნეს ისეთი გადაწყვეტილება ან განხორციელდეს ისეთი შეთანხმებული ქმედება, რომლის მიზანია ან შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა“.

იმისათვის რომ დადგინდეს კანონის მე-7 მუხლის დარღვევას აქვს თუ არა ადგილი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სააგენტო აფასებს, თუ რამდენად არის დაკმაყოფილებული აღნიშნული მუხლის წინაპირობები. დასახელებული ნორმის წინაპირობები კი დაკმაყოფილებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ეკონომიკური აგენტების ან აგენტთა ასოციაციის მიერ დადებულ ხელშეკრულებას, მიღებულ გადაწყვეტილებას ან განხორციელებულ შეთანხმებულ ქმედებას, მიზნის ან/და შედეგის სახით აქვს კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა. ამასთანავე, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სადავო ქმედება შესაძლოა ჩადენილ იქნეს მინიმუმ ორი აგენტის მიერ განხორციელებული კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებით.

სააგენტო ასევე აღნიშნავს, რომ ზემოთ მოცემული წინაპირობების შეფასებისას განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია ევროკავშირის კონკურენციის სამართალი, ევროკავშირის შესაბამისი ორგანოების მიერ ჩამოყალიბებული საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც პასუხებს საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის მიზნებსა და ამოცანებს.

როგორც ცნობილია, 2016 წლის 1 ივლისს სრულად შევიდა ძალაში ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის[87] (შემდგომში - „ასოცირების შეთანხმება“). შეთანხმების 204-ე მუხლი ადგენს, რომ მხარეებს მათ ტერიტორიაზე უნდა გააჩნდეთ ყოვლისმომცველი კონკურენციის კანონები, რომლებიც ეფექტიანად იქნება მიმართული კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებებზე, შეთანხმებულ ქმედებებსა და დომინანტური საბაზრო ძალაუფლების მქონე ეკონომიკური აგენტების მიერ განხორციელებულ კონკურენციის საწინააღმდეგო ცალმხრივ ქმედებებზე. გარდა ამისა, მხარეებს უნდა გააჩნდეთ კონკურენციის კანონმდებლობის ეფექტიან აღსრულებაზე პასუხისმგებელი და შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანო.

ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების - „ყოვლისმომცველი კონკურენციის კანონმდებლობის“ შექმნისა და აღსრულების პროცესში, არსებითი როლის მატარებელია მსოფლიოს წამყვანი იურისდიქციების, პირველ რიგში, კი, თავად ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი.

საქართველოს კონკურენციის სამართლის ნორმების გამოყენებისა თუ განმარტების მიზნებისათვის ევროკავშირის კონკურენციის სამართლის მიდგომების მნიშვნელობაზე მეტყველებს ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში საქართველოს უზენაესი სასამართლო განჩინების სამოტივაციო ნაწილს უმეტესწილად აფუძნებს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს სხვადასხვა გადაწყვეტილებებში მოცემულ განმარტებებზე.[88]

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში, სააგენტო მოქმედებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის რელევანტური ნორმების განმარტებისას. საჭიროების

[87] ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959

[88] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 28 სექტემბრის განჩინება - ბს-595-592 (კ-17), გვ.9.

შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკური გამოწვევების, საქართველოს კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანი აღსრულების, ქვეყნის შესაბამისი ბაზრების სპეციფიკის, ამ ბაზრებზე ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების/შენარჩუნების/განვითარებისა და საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის მიზნების გათვალისწინებით, სააგენტო მხედველობაში იღებს ევროკავშირის შესაბამისი ორგანოების მიერ ჩამოყალიბებულ მიდგომებს.

2. ფილიალის სამართლებრივი ბუნება და მისი მიმართება ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დოქტრინასთან

კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვის სუბიექტები შეიძლება იყვნენ ეკონომიკური აგენტები. კანონი ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევს ფიზიკურ პირს, იურიდიულ პირს, სხვა გაერთიანებას ან ასოციაციას, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, განურჩევლად რეზიდენტობისა, იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმისა. თავის მხრივ, ეკონომიკური საქმიანობის ლეგალური დეფინიცია მოცემულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლში. ამდენად, კანონი მე-7 მუხლით გათვალისწინებული ქმედების სუბიექტების რიცხვს ვიწროდ არ შემოსაზღვრავს.

განსახილველ შემთხვევაში დახარვეზებულ საჩივარში ქმედების ერთ-ერთ მხარედ მითითებული იყო „მასტერქარდი“. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ჩანაწერებში აღნიშნული სუბიექტის სამართლებრივ ფორმად მითითებულია უცხოური საწარმოს ფილიალი. ამავე რეესტრის მონაცემების შესაბამისად, იგი სს ,,მასტერქარდ იუროფის“ (ბელგიური კომპანიის ნომრით RPR 0448.038.446) წარმომადგენლობაა (ფილიალი) საქართველოში.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მეწარმეს შეუძლია დააარსოს ფილიალი. ფილიალი შეიძლება ჰქონდეს არა მხოლოდ სამეწარმეო საზოგადოებას, არამედ ინდივიდუალურ მეწარმესაც. საქართველოში რეგისტრირებული მეწარმის ფილიალი არ რეგისტრირდება. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-4-მე-6 პუნქტები სრულად ეთმობა საზღვარგარეთ რეგისტრირებული მეწარმის ფილიალის რეგისტრაციის საკითხებს, რომლითაც კანონი უახლოვდება ევროკავშირის 2017/1132 დირექტივის 29-ე-43-ე მუხლებს და ადგენს იმ ინფორმაციის ნუსხას, რომელიც ამ მიზნით მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა მიეწოდოს.

ზოგადი განმარტებით, ფილიალი – ეს არის მეწარმის ადგილსამყოფლის მიღმა არსებული წარმონაქმნი, რომელიც მეწარმეს ეხმარება თავის მომხმარებელთან ურთიერთობის ეფექტიანად განხორციელებაში. ფილიალი განცალკევებული ერთეულია, მისი მიზანია მეწარმის საქმიანობის სფეროს გაფართოება, მისი წარმომადგენლობა. მისი არსებობა მეწარმისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია.

სხვადასხვა ქვეყანაში მიდგომები განსხვავებულია ფილიალის საპროცესოუნარიანობისა და იმის შესახებ, კომპანია და მისი ფილიალი შესაძლებელია თუ არა მიჩნეულ იქნან ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად, რაც ძირითადად განპირობებულია შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის მოწესრიგებით. მაგალითისათვის, უნგრეთის კონკურენციის უწყების პრაქტიკის შესაბამისად, ხშირია შემთხვევები, როდესაც კონკურენციის კანონმდებლობით აკრძალულ ქმედებაში მონაწილეობენ არა ძირითადი კომპანიები, არამედ მათი ფილიალები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან უნგრეთში. ვინაიდან, ასეთ შემთხვევებში ძირითადი კომპანიები არ იყვნენ ქმედების (პირობითად კარტელის) მონაწილეები, უწყებამ ისინი არ ჩართო მოკვლევაში და მათ ნაცვლად თავად ფილიალებს დაეკისრათ სანქციები. ამასთან, უწყებას არცერთ მსგავს შემთხვევაში არ შეუფასებია წარმოადგენდნენ თუ არა ძირითადი კომპანია და მისი ფილიალი ერთიან ეკონომიკურ სუბიექტს.[89] ამისგან განსხვავებული მიდგომა აქვს ბულგარეთის კონკურენციის უწყებას. ვინაიდან, ბულგარეთის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს დათქმას, რომლის თანახმად კომპანია და მისი ფილიალ(ებ)ი ერთიან სამართლებრივ სხეულს წარმოადგენენ, უწყების პოზიციით, ფორმალური გაგებით, ისინი ვერ იქნებიან მიჩნეულნი ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად - ისინი ერთიან კომპანიას წარმოადგენენ. უწყების მიდგომით, თუკი ფილიალის მხრიდან ადგილი აქვს რაიმე სახის დარღვევას, მიიჩნევა რომ ის ერთიანმა კომპანიამ ჩაიდინა, ხოლო, თუკი დარღვევა ჩადენილია ძირითადი ეკონომიკური აგენტის მიერ, ფილიალი ფინანსური კუთხით (ჯარიმის გადახდის ნაწილში) ავტომატურადაა პასუხისმგებელი, რადგან ეს ორი ერთიან სამართლებრივ სხეულს ქმნის.[90] ანალოგიურად, სომხეთის რესპუბლიკაშიც კომპანია და მისი ფილიალი მიიჩნევა ერთიან სხეულად, ფილიალი ან კომპანიის წარმომადგენლობა არ არის წარმოების დამოუკიდებელი სუბიექტი. თუმცა, უცხოური კომპანიის ფილიალი ან წარმომადგენლობა შესაძლოა მიჩნეულ იქნას წარმოების დამოუკიდებელ სუბიექტადაც იმის მიხედვით, თუ ვის მიერაა ჩადენილი სადავო ქმედება. ასეთ სიტუაციაში შესაძლოა ფილიალი და ძირითადი კომპანია, ორივე იქნას მიჩნეული წარმოების დამოუკიდებელ სუბიექტად.[91]

რაც შეეხება ქართულ კანონმდებლობას, საქართველოში მხოლოდ „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებული სუბიექტი წარმოადგენს იურიდიულ პირს და სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდის როგორც კერძო სამართლის სუბიექტი.[92] იგი, როგორც კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობათა სუბიექტი, წარმოიშობა მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან, ამასთან, მხოლოდ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 2.1 მუხლით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. სხვა არც ერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა სამეწარმეო საქმიანობის სფეროში არ ჩაითვლება იურიდიულ პირად[93] (numerus clausus პრინციპი). ამრიგად, როგორც „მეწარმეთა შესახებ“ კანონის პირველ მუხლშიცაა პირდაპირ მითითებული, ფილიალი არ არის იურიდიული პირი

[89] RCC Informal Request for Information (RFI) - უნგრეთი (თარიღი: 27.05.2024).
[90] RCC Informal Request for Information (RFI) - ბულგარეთი (თარიღი: 30.05.2024).
[91] RCC Informal Request for Information (RFI) - სომხეთი (თარიღი: 17.05.2024).
[92] საქართველოს უზენაესი სასამართლო საქმის №ას-282-611-07 (22 თებერვალი, 2008 წელი).
[93] იქვე.

- იგი არც თავისი სახელით გამოდის ურთიერთობებში და არც დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა ეკისრება.[94] „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, მეწარმის არსებობის შეწყვეტით წყდება მისი ფილიალის არსებობაც. იურიდიული პირის ფილიალი საქმიანობას ეწევა იურიდიული პირის მიერ დამტკიცებული შესაბამისი აქტის საფუძველზე. კონკრეტულ შემთხვევაში, საქმიანობაში იგულისხმება იურიდიული პირის მიერ ფილიალისათვის დელეგირებული უფლებამოსილება, რაც უკავშირდება მისი სამეწარმეო მიზნების განხორციელებას.[95] განსახილველ შემთხვევაშიც, საქართველოში მასტერქარდის ფილიალის რეგისტრაციისას რეესტრში წარდგენილია სს „მასტერქარდ იუროფის“ გადაწყვეტილება საქართველოში ფილიალის დაფუძნებისა და მისი საქმიანობის განსაზღვრის შესახებ. მათ შორის, ამავე გადაწყვეტილებითაა განსაზღვრული თუ რა უფლებამოსილებები აქვს დელეგირებული ფილიალს ძირითადი კომპანიისაგან და რა ნაწილში შეუძლია მას გამოვიდეს ურთიერთობებში სს „მასტერქარდ იუროფის“ სახელით.

როგორც აღინიშნა, ფილიალი განცალკევებული ტერიტორიული ქვედანაყოფია, რომელიც მდებარეობს იურიდიული პირის ადგილსამყოფლის გარეთ, თუმცა ემსახურება ძირითადი საწარმოს საქმიანობის განხორციელებას და მის ტერიტორიულ გაფართოებას. შესაბამისად, საწარმოს წარმომადგენლობა სამოქალაქო ბრუნვაში გამოდის საწარმოს სახელით, წარმოადგენს მის ინტერესებს და იცავს მათ. საწარმოს ფილიალი ძირითადი საწარმოსაგან ტერიტორიულად დაშორებულია, მას გააჩნია გარკვეული ორგანიზაციული და ეკონომიკური დამოუკიდებლობა, თუმცა, იგი სამართლებრივად მაინც დამოკიდებულია ძირითად საწარმოზე.[96] შესაბამისად, ფილიალი, განსხვავებით სუბიექტის შვილობილი კომპანიისაგან, არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სამართლებრივ სხეულს მიუხედავად იმისა, რომ სუბიექტის ძირითადი ოფისისაგან ტერიტორიულად და ფიზიკურად გამოყოფილია. ფილიალი არ არის დამოუკიდებელი ერთეული და შეზღუდულია ძირითადი სუბიექტის საქმიანობით, ურთიერთობებში არ გამოდის თავისი სახელით, არც პასუხისმგებლობა ეკისრება დამოუკიდებლად, ფილიალი ასევე არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, განსხვავებით შვილობილი კომპანიისაგან, რომელიც იურიდიული პირია და დამოუკიდებლად შეიძლება იყოს შესაბამისი უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტი. ამდენად, მეწარმის ფილიალს მხოლოდ დამხმარე მნიშვნელობა აქვს, ის არ არის განცალკევებული იურიდიული პირის სტატუსის მატარებელი ან დამოუკიდებელი სამართლებრივი სხეულის მქონე.

შესაბამისად, მაშინაც, როდესაც საწარმოს ფილიალი დამოუკიდებელ მხარედ გამოდის სამართალურთიერთობაში, აღნიშნული დამოუკიდებლობა განპირობებულია ძირითადი საწარმოს უფლებამოსილების დელეგირების ფარგლებით, აქედან გამომდინარე, ასეთი სამართალურთიერთობის დროსაც კი ფილიალი შეიძლება მონაწილეობდეს სამართალწარმოებაში, თუმცა, მხოლოდ ძირითადი საწარმოს წარმომადგენლის სტატუსით,

---

[94] საქართველოს უზენაესი სასამართლო საქმეზე №ას-671-952-05 (27 ივლისი, 2006 წელი).

[95] საქართველოს უზენაესი სასამართლო საქმეზე №ას-671-952-05 (27 ივლისი, 2006 წელი).

[96] თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/5236-13 (10 ოქტომბერი, 2013 წელი); თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/1233-15 (29 ივნისი, 2015 წელი); თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/3342-15 (24 ნოემბერი, 2015 წელი); თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/2535-17 (12 ივლისი, 2017 წელი).

ისიც მხოლოდ საამისო საპროცესო-სამართლებრივი უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში. ამდენად, ძირითადი კომპანია წარმოადგენს სამართალურთიერთობის მხარეს და შესაბამისად, პროცესის სუბიექტს, ხოლო ფილიალი, საამისო უფლებამოსილების არსებობის შემთხვევაში, შეიძლება გამოდიოდეს მხოლოდ იურიდიული პირის წარმომადგენლად.[97] მნიშვნელოვანია, რომ უცხოური საწარმოს ფილიალის რეგისტრაცია არ ემსახურება სამეწარმეო სამართლებრივ კონტექსტში მის ცალკე სამეწარმეო სუბიექტად განხილვის მიზანს. უცხოური საწარმოს ფილიალის რეგისტრაცია ემსახურება ისეთ მიზნებს, როგორიცაა შიდასახელმწიფოებრივი სამართლის რეგულირების რეჟიმში მოქცევა, გადასახადების გადახდა, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფა და ა. შ., მაგრამ არა ფილიალის სამართალსუბიექტად ქცევას. განსხვავებული მიდგომა, გარდა იმისა, რომ ეწინააღმდეგება საკორპორაციო სამართლის ძირითად პრინციპებს, მნიშვნელოვანი რისკის შემცველია სამოქალაქო ბრუნვაში, როგორც ძირითად საწარმოსა და ფილიალს შორის ურთიერთობის ფარგლებში, ასევე მესამე პირებთან ურთიერთობის თვალსაზრისითაც.[98]

უცხოურმა საწარმომ საქართველოს ტერიტორიაზე მისი საქმიანობის განხორციელების მიზნით შეიძლება დააარსოს დამოუკიდებელი საწარმოც ამა თუ იმ დამოუკიდებელი სამეწარმეო სამართლებრივი ფორმით, ასეთ ვითარებაში, საწარმოს სახელწოდებაში შეიძლება ფიგურირებდეს წარმომადგენლობა, თუმცა, სამართლებრივ ფორმაში მითითებული იყოს მაგალითად შპს, სს და ა.შ. ასეთ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ფუნქციურად უცხოური საწარმოს ფილიალთან, თუმცა, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით საქართველოში დაარსებულ მეწარმე სუბიექტთან, რა დროსაც, იგი სამართალურთიერთობის დამოუკიდებელ სუბიექტად განიხილება და მის მიმართ, ფილიალისათვის დაწესებული სამართლებრივი რეჟიმი არ ვრცელდება.[99]

წარმოებაში დამოუკიდებლად გამოსვლა იურიდიული პირის ძირითადი მახასიათებელი ნიშანია. როგორც აღინიშნა, ფილიალი არ არის იურიდიული პირი, იგი იურიდიული პირის განცალკევებული ტერიტორიული ქვედანაყოფია, რომელიც ემსახურება ძირითადი საწარმოს საქმიანობის განხორციელებას და მის ტერიტორიულ გაფართოებას. ძირითადი საწარმო წარმოადგენს მხარეს და შესაბამისად, პროცესის სუბიექტს, ხოლო ფილიალი, საამისო უფლებამოსილების არსებობის შემთხვევაში, შეიძლება გამოდიოდეს მხოლოდ ძირითადი საწარმოს წარმომადგენლად. შესაბამისად, ფილიალის მონაწილეობა პროცესში, ძირითადი საწარმოსაგან დამოუკიდებლად არ ხდება, თუმცა, რიგ შემთხვევაში, მისი მონაწილეობა ძირითად საწარმოსთან ერთად თანამონაწილის საპროცესო-სამართლებრივი სტატუსით შეიძლება აუცილებელიც კი იყოს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ფილიალი ხელშეკრულების მხარეა და ა.შ.[100] თუმცა, საქმეში ძირითადი საწარმოს ჩაბმა სავალდებულოა.[101]

---

97 იქვე.
98 იქვე.
99 იქვე.
100 იქვე.
101 იქვე; თბილისის სააპელაციო სასამართლო საქმის №2ბ/1762-18 (31 მაისი, 2018 წელი).

ამდენად, **<u>მართალია, ფილიალს გააჩნია გარკვეული ორგანიზაციული და ეკონომიკური დამოუკიდებლობა, თუმცა იგი სამართლებრივად დამოკიდებულია ძირითად საწარმოზე</u>**.[102]

რაც შეეხება „ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის“ დოქტრინას, კანონის მე-6 და მე-7 მუხლის მიზნებისათვის იგი გამოიყენება იმის დასადგენად, კომპანიები მოქმედებენ თუ არა როგორც ერთი სუბიექტი. „ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის“ ცნების საკანონმდებლო განმარტებას ქართული კანონმდებლობა არ იცნობს, თუმცა, მისი დეფინიცია მოცემულია ევროკავშირის კანონმდებლობაში, ასევე, ეროვნულ და საერთაშორისო პრაქტიკაში. აღნიშნულის შესაბამისად კი, განცალკევებული სამართლებრივი სტატუსის მქონე ეკონომიკური აგენტები შესაძლოა მოვიაზროთ ერთ სუბიექტად, თუკი მათ შორის არსებობს მჭიდრო ეკონომიკური კავშირი და ურთიერთზემოქმედების ის ხარისხი, რაც მათი დამოუკიდებლად განხილვის შესაძლებლობას არ იძლევა.[103]

მოკვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ შპს „თინეთთან“ დადებულ ხელშეკრულებებს ხელს აწერდა სს „მასტერქარდ იუროფის“ შესაბამისი უფლებამოსილი წარმომადგენელი, ამდენად, სწორედ სს „მასტერქარდ იუროფ“ გამოდიოდა შპს „თინეთთან“ სახელშეკრულებო ურთიერთობაში, როგორც მხარედ, ასევე უშუალოდ ხელმომწერად,[104] ფილიალს კი მხოლოდ შუამავლის როლი ჰქონდა ამ ურთიერთობაში და მოლაპარაკებების პროცესში იღებდა მონაწილეობას. იმის გათვალისწინებით, რომ ფილიალი ვერ იქნება განხილული ცალკე სამართლებრივ სხეულად, იგი სს „მასტერქარდ იუროფის“ ნაწილია და ისინი ერთიან კომპანიას შეადგენენ.

მნიშვნელოვანია, რომ ფილიალის დირექტორს ბატონ დ.ზ.-ს, სს „მასტერქარდ იუროფისაგან“ დელეგირებული აქვს ძირითადი კომპანიის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. მათ შორის, რეესტრში დაცული 2023 წლის 21 მარტის მინდობილობის მე-9 პუნქტის თანახმად, წარმომადგენლობის (ფილიალის) დირექტორი უფლებამოსილია, წარმოადგინოს კომპანია ან/და წარმომადგენლობა საქართველოს ნებისმიერ საჯარო ორგანოსთან, მათ შორის ნებისმიერ ცენტრალურ და ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოებთან. შესაბამისად, მოკვლევის ფარგლებში ფილიალის დირექტორი ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩვეულებრივ მონაწილეობს, თუმცა მხოლოდ როგორც სს ,,მასტერქარდ იუროფის“ (ბელგიური კომპანიის ნომრით RPR 0448.038.446) წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე). მსგავსი მიდგომაა აპრობირებული და გაზიარებული სხვადასხვა ქვეყნის კონკურენციის უწყებების მიერაც, მაგალითისათვის, ბულგარეთის კონკურენციის უწყება მიიჩნევს, რომ საქმეში ფილიალის ჩართვა კომუნიკაციის მიზნებისათვის მეტად

---

[102] თბილისის სააპელაციო სასამართლო საქმის №2ბ/4027-18 (10 სექტემბერი, 2018 წელი).

[103] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 29 ივნისის N04/66 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, გვ. 35.

[104] „მასტერქარდის წარმომადგენლობა საქართველოშის“ 2024 წლის 28 მარტის წერილით (სააგენტოში რეგ. N 01/1737) წარმოდგენილი ხელშეკრულებები.

სწრაფი და მოსახერხებელი საშუალებაა, მსგავსი მიდგომა აქვთ ხორვატიისა და სომხეთის კონკურენციის უწყებებსაც.[105]

შუალედური დასკვნა

სააგენტო აღნიშნავს, რომ მოკვლევის ფარგლებში შესაფასებელი ქმედება განხორციელებულია სათავო ოფისის მიერ, მისი ფილიალის, როგორც ადგილობრივი შუამავლის მეშვეობით. სააგენტოს მიერ წარმოებული მოკვლევის მთელი პერიოდის განმავლობაში, ეფექტური კორესპონდენციის მიზნებისთვის, შესაბამისი მიმოწერა ხორციელდებოდა ფილიალთან, რომელსაც ხსენებული უფლებამოსილება გააჩნია სათავო ოფისის მიერ გაცემული შეზღუდული მინდობილობის საფუძველზე. მიუხედავად ამისა, ცხადია, რომ შესაფასებელი ქმედება შეერაცხება სათავო ოფისს, როგორც იურიდიულ პირს და არა მის ფილიალს, რომელიც საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად, არ არის იურიდიული პირი.

3. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვის ელემენტები

კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, აკრძალულია, ეკონომიკურ აგენტებს შორის ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში დაიდოს ისეთი ხელშეკრულება, მიღებულ იქნეს ისეთი გადაწყვეტილება ან განხორციელდეს ისეთი შეთანხმებული ქმედება, რომლის მიზანია ან შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა (შემდგომში – „შეთანხმება“). დასახელებული მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი (წარმოების, ბაზრის, ტექნოლოგიური განვითარების ან ინვესტიციების შეზღუდვა) მე-7 მუხლით აკრძალულ ერთ-ერთ ქმედებას მიეკუთვნება.

იმისათვის, რომ დადგინდეს ეკონომიკური აგენტების ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დარღვევის ფაქტი, საჭიროა შემდეგი ელემენტების/პირობების/გარემოებების ერთობლივად არსებობა:

ა) ეკონომიკური აგენტები ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია;

ბ) ეკონომიკურ აგენტებს შორის ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში დადებული ხელშეკრულება, მიღებული გადაწყვეტილება ან განხორციელებული შეთანხმებული ქმედება;

გ) დადებული ხელშეკრულების, მიღებული გადაწყვეტილების ან განხორციელებული შეთანხმებული ქმედების მიზანი ან შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა.

[105] RCC Informal Request for Information (RFI) - ხორვატია (თარიღი: 05.06.2024); RCC Informal Request for Information (RFI) - სომხეთი (თარიღი: 17.05.2024).

3.1. ეკონომიკური აგენტები ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია

კანონის მე-7 მუხლის შემადგენლობის სხვა ელემენტების განხილვამდე, აუცილებელია დადგინდეს, რამდენად არიან მოპასუხედ დასახელებული კომპანიები კანონის მე-7 მუხლის სუბიექტები ანუ რამდენად ექცევიან ისინი ეკონომიკური აგენტის კონკურენციის სამართლებრივ განმარტებაში.

კანონის მე-7 მუხლის დღეს მოქმედი რედაქციის შესაბამისად, მუხლის სუბიექტები არიან ეკონომიკური აგენტები ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია.

აღსანიშნავია, რომ კონკურენციის სამართალში გამოყენებულ ეკონომიკური აგენტის ცნებას ანალოგი სამართლის სხვა დარგებში არ აქვს.[106]

ევროკავშირის სამართალში ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევა „ნებისმიერი პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, მიუხედავად მისი სამართლებრივი სტატუსისა და დაფინანსების გზისა.“ ეკონომიკური საქმიანობა კი განმარტებულია, როგორც „ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც მოიცავს ბაზარზე საქონლის და მომსახურების შეთავაზებას“. ამასთან, გენერალური ადვოკატი ჯეიკობსი ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით დამატებით განმარტავს - „როდესაც მსგავსი საქმიანობა კერძო პირის მიერ, სულ მცირე, თეორიულად, მოგების მიღების მიზნით შეიძლება განხორციელდეს“.[107]

მოქმედი კონკურენციის ეროვნული კანონმდებლობაც ეკონომიკური აგენტის ცნებას ევროკავშირის კონკურენციის სამართალში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად განმარტავს. კერძოდ, კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ეკონომიკური აგენტი არის ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, სხვა გაერთიანება ან ასოციაცია, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, განურჩევლად რეზიდენტობისა, იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმისა. კანონი არ განმარტავს „ეკონომიკური საქმიანობის“ ცნებას. თუმცა, საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, მიუხედავად ასეთი საქმიანობის შედეგებისა, თუ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მოკვლევის ფარგლებში, მოპასუხე კომპანიებია: შპს ,,თინეთი“ (ს/ნ: 402116474) და სს ,,მასტერქარდ იუროფი“ (ბელგიური კომპანიის ნომრით RPR 0448.038.446). ორივე სუბიექტი წარმოადგენს საწარმოს. შესაბამისად, საწარმო, რომლის სამეწარმეო/ეკონომიკური საქმიანობა ხორციელდება მოგების მიღების მიზნით მოცულია კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეკონომიკური აგენტის ცნებით. შესაბამისად, ორივე მოპასუხე როგორც იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას, განურჩევლად

---

[106] *ზუკაკიშვილი ქ., ჯაფარიძე ლ.,* ავტორთა კოლექტივი, საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, გვ. 178.

[107] იქვე, გვ. 179.

რეზიდენტობისა და მათი სამართლებრივი ფორმისა, განეკუთვნებიან ეკონომიკური აგენტის კატეგორიას.

ა) ერთზე მეტი ეკონომიკური აგენტი

კანონის მე-7 მუხლის ერთ-ერთი წინაპირობაა შეთანხმება ერთზე მეტ ეკონომიკურ აგენტს შორის. ამასთან, კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 06 ივლისის N04/166 ბრძანებით დამტკიცებულ გადაწყვეტილებაში („სიტროენ ჯორჯია“ „სტრადა მოტორსისა“ და სხვათა წინააღმდეგ), სააგენტო განმარტავს, რომ „კანონის მე-7 მუხლის დარღვევის დასადგენად არსებითია მე-7 მუხლით აკრძალულ ქმედებებს ადგილი ჰქონდეს რეალურ კონკურენტებს შორის“[108], ამასთან, „ამა თუ იმ სუბიექტზე კანონის მე-7 მუხლის გავრცელებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს შეთანხმების არსებობა ერთზე მეტ ეკონომიკურ აგენტს შორის.“[109]

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტომ შეაფასა - შესაძლებელია თუ არა ჩამოთვლილი მოპასუხე ეკონომიკური აგენტები განხილულ იქნან, როგორც ერთზე მეტი ეკონომიკური აგენტი კანონის მე-7 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე.

ბ) „ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის“ დოქტრინა

„ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის“ დოქტრინა კანონის მე-7 მუხლის მიზნებისათვის გამოიყენება, იმის დასადგენად მოპასუხე კომპანიები, მოქმედებდნენ თუ არა როგორც ერთი სუბიექტი. სააგენტოს მიერ გამოკვლეულ იქნა ფილიალის[110] და შპს ,,თინეთის“ (ს/ნ 402116474) ორგანიზაციული სტრუქტურა იმ მიზნით, რომ შემოწმებულიყო არიან თუ არა მოპასუხე ეკონომიკური აგენტები ურთიერთდამოკიდებული პირები კანონის მე-3 მუხლის ,,ლ“ პუნქტის შესაბამისად.

ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე დადგინდა, რომ მოპასუხე ეკონომიკური აგენტები არ წარმოადგენენ ურთიერთდამოკიდებულ პირებს. შესაბამისად, კომპანიებს შორის ურთიერთდამოკიდებულების არქონა უფრო მეტად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ისინი ვერ იქნებიან განხილულნი ერთიანი ეკონომიკური აგენტის კონტექსტის ფარგლებში, ვიდრე საწინააღმდეგოზე. თავის მხრივ, აღსანიშნავია, რომ ურთიერთდამოკიდებულების არსებობის შემთხვევაშიც, ეს უკანასკნელი გარემოება არ არის საკმარისი, ისევე როგორც აუცილებელი წინაპირობა განსახილველი კომპანიების მიმართ ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დოქტრინის გამოყენებისათვის.

---

[108] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 6 ივლისის N04/166 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, გვ.15.

[109] იქვე, გვ. 13.

[110] ფილიალის სამართლებრივი ბუნებისა და ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დოქტრინასთან მისი მიმართების თაობაზე იხ., წინამდებარე გადაწყვეტილების თავი IV, ნაწილი 2.

სააგენტო მიუთითებს, რომ მოკვლევის ფარგლებში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მან მიზანშეწონილად არ მიიჩნია ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დოქტრინის სავარაუდო გამოყენების მიზნებისათვის, დამატებით გამოეკვლია სხვა გარემოებები.

3.2. ხელშეკრულების დადება, გადაწყვეტილების მიღება ან შეთანხმებული ქმედების განხორციელება

კანონის მე-7 მუხლის შემადგენლობის მეორე კომპონენტს წარმოადგენს ეკონომიკურ აგენტებს შორის ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში ხელშეკრულების დადება, გადაწყვეტილების მიღება ან შეთანხმებული ქმედების განხორციელება, რომლის მიზანი ან შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა.

ა) ხელშეკრულების დადება ან გადაწყვეტილების მიღება

ხელშეკრულების არსი კონკურენციის სამართლის მიზნებისათვის ფართოდ განიმარტება. იმისათვის, რომ არსებობდეს ხელშეკრულება (შეთანხმება) „საკმარისია, თუ ეკონომიკურმა აგენტებმა გამოხატეს რამენაირი ერთობლივი ინტერესი მოქცეულიყვნენ შესაბამისად“.[111] იმისათვის, რომ კონკრეტული ქმედება კანონის მე-7 მუხლის მიზნებისათვის ხელშეკრულებად დაკვალიფიცირდეს, საჭიროა არსებობდეს სულ მცირე ორი ნების გამოვლენა, ანუ ნება მინიმუმ ორი დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის მიერ იქნას გაცხადებული. შესაბამისად, თითოეული ეკონომიკური აგენტის განცალკევებული ინდივიდუალური ქმედებები არ ექცევა კანონის მე-7 მუხლით დაცულ სფეროში. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ნების გამოვლენის ფორმას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, პრაქტიკაში იგი შესაძლოა იყოს როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი, ხელმოწერილი თუ ხელმოწერის გარეშე.[112] ნების გამოვლენად ჩაითვლება როგორც ე.წ. ჯენტლმენური შეთანხმება,[113] მარტივი მემორანდუმი, ასოციაციის გადაწყვეტილება, თუ მბოჭავი ხასიათის მქონე მარკეტინგული სახელმძღვანელო დოკუმენტები.

ვერტიკალური შეთანხმების ფარგლებში, რომელიც მოთხოვნისა და მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე ოპერირებად ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმებას გულისხმობს, ექსკლუზიური შეთანხმებები, ზოგადად, მეტი ზიანის მომტანია კონკურენციისთვის, ვიდრე არაექსკლუზიური შეთანხმებები. ექსკლუზიური გარიგება ხელშეკრულების ძალით ან მისი პრაქტიკული ეფექტით, ერთ მხარეს აიძულებს შეასრულოს მეორე მხარისგან ყველა ან პრაქტიკულად ყველა მოთხოვნა.[114]

---

[111] Case T-7/89 SA Hercules Chemicals v Commission {1991} ECR II-1711, პარაგრაფი 2.

[112] Case 28/77 Tepea v Commission {1978} ECR 1391.

[113] Case 41/69 ACF Chemiefarma v Commission {1970} ECR 661.

[114] COMMISSION NOTICE Guidelines on Vertical Restraints, პარაგრაფი 103, ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/competition/antitrust/legislation/guidelines_vertical_en.pdf

ბ) შეთანხმებული ქმედება

შეთანხმებული ქმედება ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ განმარტებულია, როგორც ქმედება, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ არ მიუღწევია ფორმალურ შეთანხმებამდე, მაინც გამიზნულად ახდენს კონკურენციული რისკების პრაქტიკული თანამშრომლობით ჩანაცვლებას.[115] ევროკავშირის მიერ შეთანხმებული ქმედების ფართოდ განმარტების მიზანი არის ის, რომ ეკონომიკური აგენტები, რომლებიც ერთმანეთს გამიზნულად არ უწევენ კონკურენციას, მაგრამ მათ ქცევას აკლია შეთანხმება, არ დარჩნენ რეგულირების გარეთ.[116] ეკონომიკური აგენტების ქმედების შეთანხმებულ ქმედებად კვალიფიცირებისათვის, საჭიროა დადგინდეს, ქმედება თანამშრომლობის გამოხატულებაა, თუ ბაზარზე დამოუკიდებელ მოქმედებას წარმოადგენს.[117] თუ პარალელური ქმედება მიიღწევა ეკონომიკურ აგენტთა მიერ მათი სამომავლო სამეწარმეო სვლების კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისთვის გაზიარების პრაქტიკით, იქნება ეს პირდაპირი, თუ არაპირდაპირი კონტაქტების მეშვეობით, სახეზეა კონკურენციის სამართლით დასჯადი პარალელიზმი.[118]

3.3. კონკურენციის საწინააღმდეგო მიზნის ან/და შედეგის არსებობა

კანონის მე-7 მუხლის შემადგენლობის სავალდებულო კომპონენტია, ორ ან მეტ ეკონომიკურ აგენტს შორის, ან ასოციაციის ფარგლებში მიღწეული შეთანხმების მიზანი ან შედეგი იყოს კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა. კონკურენციის შეზღუდვის დასადგენად აუცილებელ წინაპირობას არ წარმოადგენს, რომ ქმედება ჩადენილი იყოს კონკურენციის შეზღუდვის განზრახვით თუ ცოდნით.[119]

კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მატარებელია შეთანხმება (Restrictions by object), რომელსაც, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, აქვს პოტენციალი, შეზღუდოს კონკურენცია. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, თუ კონკურენციის საწინააღმდეგო მიზანი სახეზეა, აღარ არის საჭირო მხედველობაში იქნას მიღებული შეთანხმების კონკრეტული ეფექტი.[120]

იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკურ აგენტთა შეთანხმებას არ გააჩნია კონკურენციის შემზღუდველი მიზანი, მაშინ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო შეეცდება დაადგინოს გააჩნია თუ არა ამავე შეთანხმებას ნეგატიური ეფექტი შესაბამის ბაზარზე არსებულ კონკურენციაზე (Restrictions by effect). კონკურენციის შემზღუდველი შედეგის

---

[115] Case 48/69 ICI v Commission {1972} ECR 619, პარაგრაფი 64.

[116] *Faull J., Nikpay A.,* The EU Law of Competition, third edition, Oxford University Press, 2014, გვ. 218.

[117] *Jones A., Sufrin B.,* EU Competition Law: Text, Cases and Materials, 5th ed, Oxford University Press, 2014, გვ. 710.

[118] Joined Cases 40-48, 50, 54-56, 111, 113-4/73, Re the European Sugar Cartel; Coöperative Vereniging "Suiker Unie" UA v CommissioN [1975] ECR 1663, ECLI:EU:C:1975:174, აბზ. 174.

[119] Case 19/77, Miller International Schallplatten GmbH v Commission [1978] ECR 131, ECLI:EU:C:1978:19.

[120] Joined Cases C-501/06 P, GlaxoSmithKline para 55, Beef Industry Development Society amd Barry Brothers (Carrigmore) Meats), para 16, case C-8/08 T-Mobile Netherland and others {2009} ECR I-4529, პარაგრაფი 29.

ანალიზი მოიცავს შესაბამისი ბაზრის ღრმა ფაქტობრივ კვლევას და შეთანხმების ეკონომიკური შედეგების იდენტიფიცირებას.[121]

3.4. კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა

კანონის მე-7 მუხლის შემადგენლობის საკვანძო პუნქტი არის მოცემულობა, რომ განხორციელებული ხელშეკრულება, გადაწყვეტილება თუ ქმედება უნდა იყოს იმგვარი მიზნის ან შედეგის მატარებელი, რომ ზღუდავდეს, არ უშვებდეს ან/და კრძალავდეს კონკურენციას.

კონკურენციის შეზღუდვა შეიძლება სხვადასხვა ქმედებაში გამოიხატოს, რაც მოცემულია კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა-ე“ ქვეპუნქტებში. „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონკურენციის შემზღუდველ ქმედებად შესაძლოა დაკვალიფიცირდეს წარმოების, ბაზრის, ტექნოლოგიური განვითარების ან ინვესტიციების შეზღუდვა. პრაქტიკაში წარმოების, ბაზრების, ტექნოლოგიური განვითარებისა და ინვესტიციების შეზღუდვა, როგორც წესი, გამიზნულია ან/და იწვევს არსებულ პროდუქტზე/მომსახურებაზე გეოგრაფიულ არეალში ფასების ზრდას ან/და სხვა კონკურენციის შემზღუდველ შედეგებს, რაც ხელსაყრელია ეკონომიკური აგენტებისთვის, თუმცა, აზარალებს მომხმარებელს. შესაბამისად, მსგავსი შეზღუდვა დარღვევის ერთ-ერთ სერიოზულ სახედაა მიჩნეული.[122]

4. კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმება

4.1. სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის მიმართება კონკურენციის საწინააღმდეგო ხელშეკრულებებისადმი

კანონის მე-7 მუხლის ანალიზისა და სადავო ქმედებების შეფასებამდე, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გამახვილდეს სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებული სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის მიმართებაზე კონკურენციის საწინააღმდეგო ხელშეკრულებებისადმი. ამდენად, მნიშვნელოვანია, ზუსტად განისაზღვროს, თუ რა ადგილი შეიძლება ჰქონდეს სახელშეკრულებო თავისუფლების კერძოსამართლებრივ პრინციპს კონკურენციის საწინააღმდეგო ხელშეკრულებების/შეთანხმებების შეფასების პროცესში.

ხელშეკრულების დადების თავისუფლება სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია. ხელშეკრულების თავისუფლების სამართლებრივ საფუძველს

---

[121] *Craig P., Búrca G.,* EU Law: Text, Cases and Materials, (5th ed. 2011), 977-978.

[122] გზამკვლევი დოკუმენტი „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის რიგი დებულებების განმარტება ევროკავშირის აღმასრულებელი და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, საქართველოს კონკურენციის სააგენტო, 2018 წლის ივნისი, ხელმისაწვდომია: https://gcca.gov.ge/uploads_script/legislation/tmp/php0WoSiH.pdf

წარმოადგენს სსკ-ის 319-ე მუხლი.[123] კერძოდ, სსკ-ის 319-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ, კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი.“ აღნიშნული ნორმა ასახავს სამოქალაქო სამართლით აღიარებული ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს, რომელიც ხელშეკრულების დადების თავისუფლებასთან ერთად მოიცავს ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლებას. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ ხელშეკრულების შინაარსი.[124] ხელშეკრულების დადების თავისუფლება პირის უმოქმედობასაც მოიცავს - უფლებას არ დადოს ხელშეკრულება. ამიტომ, მას ხელშეკრულების დადების ნეგატიურ თავისუფლებასაც უწოდებენ.[125] ამასთან, სახელშეკრულებო თავისუფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ სამართლებრივ კატეგორიას[126] და იგი არსებობს დადგენილი წესრიგის ფარგლებში.[127] ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა ვრცელდება არა მხოლოდ სამოქალაქო სამართლებრივ, არამედ მთლიანად კერძოსამართლებრივ ურთიერთობებზე.[128] შეზღუდვა შესაძლოა ვრცელდებოდეს, როგორც შინაარსის განსაზღვრის, ასევე კონტრაჰენტის არჩევის თავისუფლებაზე და ა.შ.

თუმცა, სამოქალაქო სამართალი ნების ავტონომიისა და ხელშეკრულების თავისუფლების აღიარებით უზრუნველყოფს პირის უფლებას, საკუთარი ინტერესის შესაბამისად მიაღწიოს დასახულ მიზანს, აღნიშნულ საკითხს გააჩნია ერთი გამონაკლისი, მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს,[129] რაც სახელშეკრულებო თავისუფლებას, როგორც პირის შეზღუდულ უფლებას განაპირობებს.[130]

მხარეთა შეუზღუდავი თავისუფლება საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს ინტერესებს. სწორედ ამიტომ აუცილებელია ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა, რომლის მიზანია საჯარო ინტერესის დაცვა, სუსტი მხარის მინიმალური დაცვა, თავისუფალი საქმიანობის სტაბილური და უსაფრთხო უზრუნველყოფა, სახელშეკრულებო სამართლიანობის მიღწევა.[131]

მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში, ეკონომიკური აგენტების სადავო ქმედებებს სააგენტო აფასებს სწორედ მე-7 მუხლის პირველ პუნქტში მოცემულ ქმედებებთან მიმართებაში. ამდენად, აუცილებელია განისაზღვროს, თუ რამდენად ემთხვევა აღნიშნული სადავო

---

[123] საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა, გადაწყვეტილება Nას-664-635-2016.
[124] საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება Nას-1300-1320-2011.
[125] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 17.10.2017, წიგნი III, კარი I, თავი I, მუხლი 319-ე.
[126] სახელშეკრულებო სამართალი, რედ, ჯუღელი, *ცერცვაძე,* გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2014, გვ. 56.
[127] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 17.10.2017, წიგნი III, კარი I, თავი I, მუხლი 319-ე.
[128] იქვე.
[129] *Harry N.,* Schreiber the state and freedom of contract, 1998, 1; მითითებულია - *შენგელია ი.,* სახელშეკრულებო თავისუფლება, როგორც სამოქალაქო სამართლის პრინციპი, არსი და მნიშვნელობა, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, #4(23)09, თბილისი, 2009, 45.
[130] *ჯორბენაძე ს.,* ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, 2017, გვ.168.
[131] იქვე, გვ. 167-168.

ქმედებები კანონის მე-7 მუხლის პირველ პუნქტში მოცემულ ქმედებათა რომელიმე შემადგენლობას.

სააგენტო აღნიშნავს, რომ კანონის მე-7 მუხლის პირველ პუნქტში მოცემულ ქმედებათა შემადგენლობის განმარტება და მათი ზუსტი შინაარსის განსაზღვრა უნდა მოხდეს კონკურენციის კანონმდებლობის ამოცანების, დასახელებული ნორმის მიზნებისა და ამ ნორმით დაცული სამართლებრივი სიკეთეების გათვალისწინებით. ამდენად, აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს ერთი მხრივ, მთლიანად კანონითა და მეორე მხრივ, კანონის მე-7 მუხლით დაცული სამართლებრივი სიკეთეები.

დასახელებული ნორმის განმარტებისა და შესაბამისი სამართლებრივი სიკეთეების იდენტიფიცირების პროცესში, სააგენტო, უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელობს მეწარმეობის თავისუფლებასა და კონკურენციასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განვითარებული მნიშვნელოვანი პრაქტიკით. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით „მეწარმეობის თავისუფლება წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლების მნიშვნელოვან გამოვლინებას, ეკონომიკური მართლწესრიგის, ჯანსაღი და სიცოცხლისუნარიანი საბაზრო ურთიერთობების საფუძველს. აღნიშნული ვალდებულებით სახელმწიფო მხარს უჭერს თავისუფალი ეკონომიკის პრინციპს, რომელშიც არა მარტო მეწარმეობის ასპარეზია თავისუფალი ნებისმიერი ქმედუნარიანი სუბიექტისათვის, არამედ თავად მეწარმეობაა თავისუფალი. მხოლოდ თავისუფალი მეწარმეობის დროსაა შესაძლებელი, მეწარმე სუბიექტი გახდეს კომერციული ურთიერთობების სრულფასოვანი თანამონაწილე და შეძლოს თავისი საქმიანი უნარ-ჩვევების სრულყოფილი გამოვლინება.“ თავისუფალი მეწარმეობის დაცვა და კონკურენციის განვითარება უზრუნველყოფს ბაზარზე სიცოცხლისუნარიანი ეკონომიკური აგენტების საქმიანობას, რაც თავისუფალი ბაზრის ჩამოყალიბების არსებითი წინაპირობაა. აღნიშნულის მისაღწევად სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას სათანადო საკანონმდებლო მოწესრიგება.[132] საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს, რომ მეწარმეობისადმი სახელმწიფოს მხარდაჭერა არ გულისხმობს მხოლოდ ინსტიტუციურად ამ საქმიანობის თავისუფლების ნორმატიულ აღიარებას. სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ისეთი ნორმატიული გარემო, რომელიც წაახალისებს და ბაზრიდან არ განდევნის სიცოცხლისუნარიან სუბიექტებს.[133]

სააგენტო განმარტავს, რომ სახელმწიფოს სწორედ აღნიშნული ვალდებულების შესრულება წარმოადგენს კანონის ერთ-ერთ (მაგრამ არა ერთადერთ) მიზანს.[134] კანონი ადგენს თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან

---

[132] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N2/11/747 გადაწყვეტილება გვ. 6, § 1 და შემდგომი.

[133] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის N1/2/411 გადაწყვეტილება, გვ.11-12, § 2-3.

[134] სააგენტოს თავმჯდომარის 7 აგვისტოს N04/216 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება „სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ საჩივრის საფუძველზე განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე, გვ. 27-28.

დაცვის პრინციპებს, რაც თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია (კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი). მის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა, ეკონომიკური აგენტების ბაზარზე დაშვებისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა და ა.შ. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ასევე ის ფაქტი, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თავისუფალი კონკურენცია ორგანულადაა დაკავშირებული მეწარმეობის თავისუფლებასთან.[135] [136]

ჯანსაღი და თავისუფალი კონკურენციის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს ეკონომიკური აგენტების მიერ საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სამეწარმეო საქმიანობის კონკურენტულ გარემოში თავისუფლად და დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობა. სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლებისა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ერთ-ერთ ელემენტსა და გამოხატულებას კი, ნედლეულისა და გასაღების ბაზრებზე თავისუფალი წვდომისა და დაშვების შესაძლებლობა წარმოადგენს.

სწორედ ნედლეულისა და გასაღების ბაზრებზე თავისუფალი დაშვების შესაძლებლობა, როგორც ჯანსაღი კონკურენტული გარემოს განმაპირობებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, წარმოადგენს კანონის მე-7 მუხლით დაცულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეს იმდენად, რამდენადაც იგი იცავს ბაზარს კონკრეტული ეკონომიკური აგენტების შეთანხმებული ქმედებით კონკურენციის საწინააღმდეგო შეზღუდვისაგან. მსგავსი ეფექტისა თუ შედეგის ქმედება კი შესაძლოა გამოიხატებოდეს კონკურენციის შემზღუდველი სახელშეკრულებო დათქმის/ხელშეკრულების დადებაში, რაც უდავოდ ზღუდავს კონკრეტული სუბიექტების სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლებას და საფრთხეს უქმნის ჯანსაღ კონკურენტულ გარემოს. შესაბამისად, თუ კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებით ხდება შესაბამის ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის რაიმე ფორმით შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა იგი უდავოდ უნდა შეფასდეს კანონის მე-7 მუხლთან მიმართებაში.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალში არსებული სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი არ არის აბსოლუტური და აღნიშნული თავისუფლების ერთ-ერთ ზღვარს წარმოადგენს კანონის მე-7 მუხლი, რომელიც კონკურენციის საწინააღმდეგო ნებისმიერი ხელშეკრულების, გადაწყვეტილებისა თუ შეთანხმეული ქმედებისათვის აწესებს აკრძალვებს. ამდენად, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი არ წარმოადგენს კონკურენციის საწინააღმდეგო ხელშეკრულების დადების გამამართლებელ საფუძველს, ვინაიდან **კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა**

---

[135] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის N1/2/411 გადაწყვეტილება, გვ. 12, § 5

[136] იხ.საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 19 თებერვლის N04/44 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 19 აპრილის N04/111 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ“ (შპს „ჯევერს დეველოპმენტის“ საქმე“).

ან/და აკრძალვა არის სწორედ ის ზღვარი, რომელზეც გადის სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლები. შესაბამისად, სააგენტო განმარტავს, რომ კონკურენციის საწინააღმდეგო შეთახმებების შეფასებისას არარელევანტურია ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპზე, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებაზე აპელირება.

სააგენტო დამატებით განმარტავს, რომ თავისთავად ექსკლუზიური თანამშრომლობის თაობაზე ხელშეკრულების დადება აპრიორი არ წარმოადგენს კანონით აკრძალულ ქმედებას, თუმცა, ამგვარმა შეთანხმებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ბაზრის კონკურენტუნარიანობაზე. შესაბამისად, სააგენტო ყოველი „ექსკლუზიური დათქმის" შემცველი ხელშეკრულების შეფასებისას კანონის მე-7 მუხლთან მიმართებით, აფასებს თუ რამდენად ქმნის საქმეში მოცემული ფაქტობრივი გარემოებები მომჩივანი ეკონომიკური აგენტისა ან/და ბაზარზე მოქმედი/პოტენციური ეკონომიკური აგენტების საბაზრო ინტერესების იმგვარი დაზარალების საფრთხეს, რასაც მიზნად აქვს ან გამოიწვევს ბაზრის შეზღუდვას ან ბაზარზე კონკურენციის მნიშვნელოვნად შემცირებას, ბაზრის მონაწილე ეკონომიკური აგენტებისათვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენებას, მომხმარებლის ინტერესების დაზიანებასა და სხვა.

4.2. „ექსკლუზიური დათქმის" შემცველი მომსახურების/მიწოდების ხელშეკრულებები

კანონის მე-7 მუხლის პირველ პუნქტში მოცემული ქმედების შემადგენლობათა ჩამონათვალი სრულ თანხვედრაშია ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში - „TFEU") 101-ე მუხლში მოცემულ ქმედებათა ნუსხასთან.[137] ამდენად, კანონის მე-7 მუხლის პირველ პუნქტში მოცემულ აკრძალულ ქმედებათა შემადგენლობების განმარტებისას, ქართული კანონმდებლობისა და პრაქტიკის გათვალისწინებით, სააგენტო ხელმძღვანელობს TFEU 101-ე მუხლთან მიმართებაში ევროკავშირის შესაბამისი ორგანოების მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკითა და მიდგომებით. ამასთან, კანონის მე-7 მუხლის პირველ პუნქტში მოცემულ ქმედებათა შემადგენლობის განმარტება და მათი ზუსტი შინაარსის განსაზღვრა უნდა მოხდეს საქართველოს

[137] TFEU 101 (ex Article 81 TEC): The following shall be prohibited as incompatible with the internal market: all agreements between undertakings, decisions by associations of undertakings and concerted practices which may affect trade between Member States and which have as their object or effect the prevention, restriction or distortion of competition within the internal market, and in particular those which: (a) directly or indirectly fix purchase or selling prices or any other trading conditions; (b) limit or control production, markets, technical development, or investment; (c) share markets or sources of supply; (d) apply dissimilar conditions to equivalent transactions with other trading parties, thereby placing them at acompetitive disadvantage; (e) make the conclusion of contracts subject to acceptance by the other parties of supplementary obligations which, by their nature or according to commercial usage, have no connection with the subject of such contracts. 130 Communication from the Commission Commission notice Guidelines on vertical restraints 2022/C 248/01, §321

კონკურენციის კანონმდებლობის ამოცანების, დასახელებული ნორმის მიზნებისა და ამ ნორმით დაცული სამართლებრივი სიკეთეების გათვალისწინებით.

როგორც კანონის მე-7, ასევე TFEU 101-ე მუხლი პირდაპირ მითითებას არ შეიცავენ კანონსაწინააღმდეგო ექსკლუზიური მიწოდების/მომსახურების ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, თუმცა, დასახელებულ ნორმებში პირდაპირი მითითებაა ბაზარზე შესვლის შეზღუდვის აკრძალვასთან დაკავშირებით. კერძოდ, კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და TFEU 101-ე მუხლის პირველი პუნქტის “ხ” ქვეპუნქტების მიხედვით, აკრძალულია „წარმოების, ბაზრის, ტექნოლოგიური განვითარების ან ინვესტიციების შეზღუდვა“.

კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებით ბაზრის შეზღუდვა შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ქმედებებისა თუ მეთოდების საშუალებით. ბაზრის შეზღუდვის ერთ-ერთ საშუალებას კი წარმოადგენს ისეთი ექსკლუზიური ხელშეკრულების დადება, რომელსაც კონკურენციის საწინააღმდეგო შედეგი ან მიზანი გააჩნია - ე.წ. “Exclusive dealing”. ექსკლუზიური ხელშეკრულების დადება შეიძლება სხვადასხვა ფორმით იყოს გამოხატული.

როგორც წესი, ცალკეული პროდუქტისა თუ მომსახურების მოთხოვნა/მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობა კერძო სამართლებრივი ხელშეკრულების მეშვეობით ყალიბდება. ასეთი ხელშეკრულების ის ნაწილი თუ პუნქტი, რომელიც ექსკლუზიური მიწოდების ან მომსახურების ვალდებულებას ადგენს და მასთან დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებს, ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის სახელით არის ცნობილი.

კონკურენციის შემზღუდველი ექსკლუზიური ვერტიკალური კოორდინაციის მიღწევა ცალკეულ სუბიექტებს შორის შესაძლებელია როგორც ხელშეკრულების, ასევე შეთანხმებული ქმედებისა და ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის გადაწყვეტილების საშუალებით. აქედან გამომდინარე, ცალკეული ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციისათვის (სხვა კანონით გათვალისწინებულ წინაპირობებთან ერთად) საკმარისია სახეზე იყოს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ კოორდინაციის ფორმათაგან (ხელშეკრულება, შეთანხმებული ქმედება, ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის გადაწყვეტილება) ერთ-ერთი მაინც.

მიუხედავად იმისა, რომ ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ერთ-ერთი გამოვლინებაა, თავად ამ ურთიერთობის ფარგლებშიც არის შესაძლებელი სხვადასხვა ფორმისა თუ შინაარსის კოორდინაციაზე საუბარი. პრაქტიკაში, როგორც წესი, ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობა ცალკეული პროდუქტის/მომსახურების მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის იდება, რომელთა საბაზრო მოთხოვნილებები, მიზნები და ამოცანები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებულია. კომერციული ურთიერთობების სწორედ ასეთი მრავალფეროვნება განაპირობებს ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობის რამდენიმე სპეციალური ფორმის არსებობას. ამ მრავალფეროვნების შედეგია ასევე ის, რომ ექსკლუზიური ვერტიკალური კოორდინაციის ფორმების სრულად იდენტიფიცირება და შესაბამისი ამომწურავი ჩამონათვალის გაკეთება პრაქტიკულად შეუძლებელია. თუმცა

ვერტიკალური ექსკლუზიური დათქმის, როგორც სავარაუდო კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ანალიზისათვის, პირველ რიგში აუცილებელია, დაკონკრეტდეს ექსკლუზიური ურთიერთობის სახე. ევროკავშირის სამართალი და პრაქტიკა გამოჰყოფს ექსკლუზიური ვერტიკალური შეთანხმებების შემდეგ სახეებს: ექსკლუზიური მიწოდება („Exclusive supply"), ექსკლუზიური დისტრიბუცია („Exclusive distribution"), შერჩევითი დისტრიბუცია („Selective distribution"), მომხმარებლის ექსკლუზიური განაწილება („Exclusive customer allocation") და სხვა. ამასთან, კომისიის შეტყობინებაც ვერტიკალური შეზღუდვების სახელმძღვანელოს შესახებ,[138] კონკურენციის შემზღუდველი ვერტიკალური სახის ერთ-ერთ შეთანხმებად სხვა ფორმებთან ერთად მოიაზრებს „ექსკლუზიური მიწოდების" შეთანხმებას („Exclusive supply").

ექსკლუზიური მიწოდების ცნებაში მოიაზრება ის შეთანხმებები, რომელთა ძირითადი ელემენტია ის, რომ მიმწოდებელი ვალდებულია ან იძულებულია კონტრაქტით გათვალისწინებული პროდუქტები/მომსახურება მხოლოდ ერთ ან ძირითადად ერთ მყიდველს მიყიდოს ზოგადი ან კონკრეტული გამოყენებისთვის. ეს შეიძლება იყოს ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულების ფორმა, რომელიც ზღუდავს მიმწოდებელს მიყიდოს მხოლოდ ერთ მყიდველს ხელახალი გაყიდვის ან კონკრეტული გამოყენების მიზნით.[139] უფრო ზუსტად, ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულება გულისხმობს მიმწოდებლისთვის (მწარმოებელი, დისტრიბუტორი და ა. შ.) დაკისრებულ ნებისმიერი სახის პირდაპირ ან არაპირდაპირ ვალდებულებას, შესაბამისი შეთანხმებით გათვალისწინებული საქონელი ან მომსახურება მიაწოდოს მხოლოდ ერთ შემძენს.[140] ექსკლუზიურ მიწოდებაზე დაფუძნებული ურთიერთობა ეკონომიკურ აგენტებს შორის მიღწეულ შეთანხმებაში სხვადასხვა შინაარსითა თუ ფორმით შეიძლება იყოს ჩამოყალიბებული და, შესაბამისად, განსხვავებულია მათი ეფექტიც შესაბამისი ბაზრის კონკურენტულ გარემოზე. ასეთ შემთხვევაში არ არის აუცილებელი რაიმე სახის სამართლებრივი ბოჭვის ვალდებულების არსებობა. კანონის მე-7 მუხლისთვის რელევანტური ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულებაზე დაფუძნებული ვერტიკალური ურთიერთობის არსებობისათვის საკმარისი შეიძლება აღმოჩნდეს ისეთი შემთხვევა, როდესაც მიმწოდებელი საკუთარი პროდუქციისა თუ მომსახურების რეალიზებისას კონცენტრირებას პრაქტიკულად მხოლოდ ერთ შემძენზე აკეთებს.

ხშირად, პრაქტიკაში, ექსკლუზიურ ვერტიკალურ ურთიერთობასთან დაკავშირებული დათქმები, ნორმები თუ შეთანხმებები არსებობს არა განყენებულად, არამედ ცალკეულ ხელშეკრულებასა თუ გადაწყვეტილებაში არის ინკორპორირებული. ასეთი ხელშეკრულება და გადაწყვეტილება, როგორც წესი, ცალკეულ კომერციულ ურთიერთობასთან დაკავშირებულ არაერთ საკითხს აწესრიგებს. ასეთ შემთხვევაში კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად მიიჩნევა არა მთლიანი ხელშეკრულება ან გადაწყვეტილება, არამედ მხოლოდ ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობის მომწესრიგებელი დათქმები და ნორმები.

---

[138] Guidelines on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46, იხ. https://eur-lex.europa.eu/legalcontent/EN/TXT/?uri=CELEX%3A52010XC0519%2804%29

[139] Guidelines on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46, § 192.

შესაბამისად, ცალკეულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული კონკურენციის შემზღუდველი ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმა მთლიან ხელშეკრულებას არ აქცევს კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად, არამედ, ამ შემთხვევაში უშუალოდ ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმა ქმნის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ფაქტობრივ მოცემულობას. ამდენად, ბაზრის შეზღუდვისა და კანონის მე-7 მუხლის დარღვევის დადგენისათვის, აუცილებელია შესაბამის ხელშეკრულებებში „ექსკლუზიური დათქმის" პირობის ფორმით ადგილი ჰქონდეს კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებას.

აქედან გამომდინარე, ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესი გულისხმობს არა მთლიანი გადაწყვეტილების, ხელშეკრულებისა თუ შეთანხმებული ქმედების შინაარსის კანონის მე-7 მუხლის ფარგლებში შეფასებას, არამედ ასეთ დროს კონკურენციის კანონმდებლობის ფარგლებში ფასდება მხოლოდ ის ნორმები და დათქმები, რომლებიც ექსკლუზიურ ვერტიკალურ ურთიერთობებს ქმნიან, თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს სხვა მუხლებისა თუ დათქმების (მათ შორის, იმ პირობების, რომლებიც „ექსკლუზივთან" დაკავშირებულ უფლება-მოვალეობებს აწესრიგებენ) სრულ იგნორირებას, რადგან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სხვადასხვა რელევანტური გარემოებების კონტექსტუალური შეფასება, შესაძლოა, მნიშვნელოვანი გარემობების გამოკვეთისათვის ხელშემწყობი აღმოჩნდეს.

4.3. სახელშეკრულებო ურთიერთობები სასტუმროებისა და განთავსების ობიექტებით ონლაინ ვაჭრობის სფეროში

როგორც უკვე აღინიშნა, მასტერქარდი წარმოადგენს საერთაშორისო საბარათე სქემის მეშვეობით მომსახურების გამწევ სუბიექტს, რომელიც სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობს არაერთ კომპანიასთან.

ჩვეულებრივ, მარკეტინგული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება არეგულირებს ურთიერთობებს სხვადასხვა კომპანიასა და საგადახდო სქემის მეშვეობით მომსახურების გამწევ სუბიექტს შორის, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული გადახდის სერვისების მიწოდებას. თავის მხრივ, საგადახდო სქემის მეშვეობით მომსახურების გამწევი სუბიექტის კონტრაჰენტს - მერჩანტს, ამ ურთიერთობის შედეგად შესაძლებლობა ეძლევა, გაყიდოს თავისი პროდუქტები ან/და მომსახურება ელექტრონული საგადახდო ტრანზაქციების მეთოდების გამოყენებით.

განსახილველ შემთხვევაში როგორც გამოიკვეთა, მასტერქარდისა და შესაბამისი სუბიექტების ურთიერთობა სტანდარტულად დარეგულირებულია კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებებით. უფრო ზუსტად კი, მოკვლევის ფარგლებში შესასწავლი მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებები წარმოადგენს მერჩანტის მარკეტინგული მომსახურების ხელშეკრულებებს (Merchant Marketing Agreement), რომლებიც ემსახურება მარკეტინგული კამპანიების ჩატარებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ განსაზღვრავს მომსახურების ხელშეკრულების ლეგალურ დეფინიციას და კონკრეტულად არ აწესრიგებს ამგვარ ურთიერთობებს. აღნიშნული გამომდინარეობს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპიდან, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსი უფრო ფართოდ განსაზღვრავს მხარეთა შესაძლებლობის ფარგლებს და სახელშეკრულებო თავისუფლების ერთ-ერთ პრინციპად კანონით აუკრძალავი სახის ნებისმიერი ხელშეკრულების გაფორმებას მიიჩნევს. შესაბამისად, მხარეები სარგებლობენ რა შინაარსის თავისუფლებით, აფორმებენ ხელშეკრულებას, რომელიც თავისი შინაარსისა და ბუნების გათვალისწინებით შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც მომსახურების ხელშეკრულება. თუმცა, რადგანაც კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პირდაპირ ჩანაწერს მომსახურების ხელშეკრულების დეფინიციისა და სამართლებრივი პირობების შესახებ, ხშირად პრობლემატური ხდება მომსახურების ხელშეკრულების კვალიფიკაციის საკითხი. პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც მომსახურების ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ნარდობის მომწესრიგებელი ცალკეული ნორმები, რადგანაც იგი თავისი არსით ყველაზე ახლოს დგას ნარდობის ხელშეკრულებასთან და გარდა ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნორმებისა, მასზე რიგ შემთხვევებში ვრცელდება ასევე ნარდობის ხელშეკრულების მარეგულირებელი სპეციალური ნორმებიც (სამოქალაქო კოდექსის 629-656-ე მუხლები).

ამდენად, მომსახურების ხელშეკრულება ყველაზე ახლოს დგას ნარდობის ხელშეკრულებასთან, რომლითაც ერთი მხარე მომსახურებას უწევს მეორე მხარეს სათანადო ანაზღაურების მიღებით.[141] ამგვარ მიდგომას ადასტურებს ის პრაქტიკაც, რომლითაც მომსახურების ხელშეკრულებაზე სააპელაციო და უზენაესმა სასამართლოებმა გაავრცელეს ნარდობის მარეგულირებელი ნორმები, როგორც ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები.[142]

განსხვავება ამ ორ ხელშეკრულებას შორის მდგომარეობს შემდეგში: ნარდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგი (რეზულტატი). მაშასადამე, ნარდობის ხელშეკრულება აგებულია შემდეგი ფორმულით: თუ არ არის სახეზე შესრულებული შედეგი, მაშინ ადგილი აქვს სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობას. რაც შეეხება მომსახურების ხელშეკრულებას, მისი შედეგი ატარებს არამატერიალურ ხასიათს. მომსახურების ხელშეკრულებებს მიეკუთვნება კავშირგაბმულობის, სამედიცინო, აუდიტის, საკონსულტაციო, საინფორმაციო, საშუამავლო, მიბარება, ტურისტული მომსახურება და სხვა მსგავსი ხელშეკრულებები.[143]

მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში ერთი მხარე (შემსრულებელი) ასრულებს გარკვეულ სამუშაოს, რომელსაც არ აქვს მატერიალური შედეგი, ხოლო მეორე მხარე (შემკვეთი) იხდის შესაბამის ანაზღაურებას. მათ შორის ურთიერთობა წესრიგდება, როგორც ზოგადი ვალდებულებითი სამართლის ნორმებით, ასევე ნარდობის სპეციალური ნორმებით, თუმცა ამავდროულად აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სპეციალური ნორმა თავისი

---

[141] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება N ას-307-291-2011.
[142] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 01 ნოემბრის განჩინება N ას-223-215-2013.
[143] *ძლიერიშვილი ზ.,* ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, გვ. 39.

საგამონაკლისო ბუნებიდან გამომდინარე, მხოლოდ ნარდობის შემთხვევაში შეიძლება იქნეს გამოყენებული, სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე, მაგ: სამოქალაქო კოდექსის 634-ე და 635-ე მუხლები.

მარკეტინგული მომსახურების ფარგლებში სასტუმროებისა და განთავსების ობიექტებით ონლაინ ვაჭრობის სფეროში შპს ,,რეშენალ სოლუშენსსა“ და სს ,,მასტერქარდ იუროფს“, ისევე როგორც სს ,,მასტერქარდ იუროფსა“ და შპს „თინეთს“ შორის არსებული ურთიერთობები მათ შორის წერილობითი ფორმით დადებული მერჩანტის მარკეტინგული მომსახურების ხელშეკრულებებითაა მოწესრიგებული. მხარეთა შორის სასტუმროებისა და განთავსების ობიექტების სფეროში დადებული ხელშეკრულებები სააგენტოსთან წარმოებული კორესპონდენციის ფარგლებში წარმოდგენილ იქნა მხარეთა მიერ, კერძოდ, „მასტერქარდის“ მიერ წარმოდგენილ იქნა [redacted], როგორც შპს „თინეთთან“, ასევე შპს „რეშენალ სოლუშენსთან“ დადებული ხელშეკრულებები, ხოლო, თავის მხრივ, შპს „თინეთმაც“ წარმოადგინა მასსა და სს „მასტერქარდ იუროფს“ შორის დადებული ხელშეკრულებები.

სააგენტოში წარმოდგენილ იქნა სს ,,მასტერქარდ იუროფსა“ და შპს „თინეთს“ შორის [redacted] სხვადასხვა დროის მონაკვეთში დადებული [redacted] მარკეტინგული მომსახურების ხელშეკრულება, რომლებიც შეეხება სხვადასხვა სფეროს და ისინი ხელმოწერილია, ერთი მხრივ, სს „მასტერქარდ იუროფისა“ და, მეორეს მხრივ, შპს „თინეთის“ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების მიერ. აღნიშნული ხელშეკრულებებიდან მხოლოდ [redacted] შეეხება სასტუმროებისა და განთავსების ობიექტების სფეროში დამატებით ფასდაკლებებს და ისინი დადებულია [redacted] რაც შეეხება შპს ,,რეშენალ სოლუშენსსა“ და სს ,,მასტერქარდ იუროფს“ შორის დადებულ ხელშეკრულებებს, მასტერქარდმა წარმოადგინა [redacted] სასტუმროებისა და განთავსების ობიექტებით ონლაინ ვაჭრობის სფეროში დადებული [redacted] ხელშეკრულება [redacted]

გარდა ამისა, ,,მასტერქარდის“ მიერ მოწოდებულ იქნა ინფორმაცია[144] შპს ,,რეშენალ სოლუშენსსა“ და სს ,,მასტერქარდ იუროფს“ შორის [redacted] დადებულ [redacted] ხელშეკრულებაზე (ხელშეკრულების დადების თარიღის, მოქმედების ვადისა და შეთანხმებული თანხების მითითებით), რომელიც მისივე განმარტებით სასტუმროებისა და განთავსების ობიექტების სფეროსთან ირიბადაა დაკავშირებული.

სააგენტომ მოკვლევის ფარგლებში დეტალურად შეისწავლა მხარეთა მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულებები და გააანალიზა მათი პირობები. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, რომ როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტოში წარმოდგენილი ყველა ხელშეკრულება, მათ შორის როგორც შპს „თინეთთან“, ასევე შპს „რეშენალ სოლუშენსთან“ დადებული ხელშეკრულებები [redacted]. ისინი უკავშირდება დროის სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა სახის მარკეტინგული კამპანიის

[144] სააგენტოს 2024 წლის 08 მაისის N01/2572 წერილი.

ჩატარებას „Mastercard“ ბარათის მფლობელებისათვის. ამგვარი კამპანიის ჩატარების ვალდებულებას იღებს მერჩანტი (რომელიც ცალკეულ შემთხვევებში არის შპს „თინეთი“ ან შპს „რეშენალ სოლუშენსი“), ხოლო მასტერქარდი უზრუნველყოფს კამპანიის ფინანსურ მხარდაჭერას [redacted]

სააგენტოს მიერ ასევე იდენტიფიცირებულ იქნა ხელშეკრულების ის ნორმები, რომლებიც მხარეთა შორის სავარაუდო ექსკლუზიური შეთანხმების შესწავლის კონტექსტში ყველაზე მიმსგავსებული შეიძლება ყოფილიყო ასეთ დათქმასთან. [redacted]

[redacted]

<u>ამდენად, სააგენტოში წარმოდგენილ ხელშეკრულებათა შესწავლისა და დებულებების შინაარსობრივი ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ შპს „თინეთსა“ და სს „მასტერქარდ იუროფს“ შორის დადებულ ხელშეკრულებებში „ექსკლუზიური დათქმა“ არ არის გათვალისწინებული.</u>

ამასთან, საგულისხმოა, რომ როგორც გამოიკვეთა სს „მასტერქარდ იუროფი“ არ თანამშრომლობდა მხოლოდ შპს „თინეთთან“, მას მსგავსი სახელშეკრულებო ურთიერთობები სხვადასხვა პერიოდში აკავშირებდა შპს „რეშენალ სოლუშენსთანაც“, რის დასტურადაც მასტერქარდის მხრიდან სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ხელშეკრულებები, რომლებიც ხელმოწერილია შესაბამის მხარეთა წარმომადგენლების მიერ. კერძოდ, შპს „რეშენალ სოლუშენსთან“ მასტერქარდს სასტუმროებისა და განთავსების ობიექტებით ონლაინ ვაჭრობის სფეროში [redacted] დადებული აქვს [redacted] ხელშეკრულება, რომელთა მიზანიც

იყო მომხმარებელთა და შესყიდვების გაზრდა-გააქტიურება პლატფორმაზე, ხოლო შპს „თინეთთან“ დადებული ხელშეკრულებებიდან ამ სფეროს უკავშირდება მხოლოდ [redacted] დადებული [redacted] შეთანხმება. გარდა ამისა, შპს „რეშენალ სოლუშენსთან“ [redacted] მასტერქარდს დადებული აქვს [redacted] ხელშეკრულებაც, რომლებიც მხარის შეფასებით ირიბადაა დაკავშირებული სასტუმროებისა და განთავსების ობიექტებით ონლაინ ვაჭრობის სფეროსთან და რომლებიც შეეხება [redacted] ფასდაკლებებს Hotsale-ისა და Mastercard-ის თანამშრომლობის ფარგლებში. ამასთან, როგორც „მასტერქარდის“ წარმომადგენელმა განაცხადა სააგენტოში გამართულ ახსნა-განმარტებით შეხვედრაზე, მასტერქარდი შპს „რეშენალ სოლუშენსის“ მიერ ადმინისტრირებულ Hotsale-ის პლატფორმასთან დღემდე თანამშრომლობს სხვადასხვა, მათ შორის, სასტუმროებისა და განთავსების ობიექტებით ონლაინ ვაჭრობასთან დაკავშირებულ სფეროებში (მაგ. [redacted]), „მასტერქარდის“ სტრატეგიის შესაბამისად განსაზღვრული პრიორიტეტებისა და ინტერესების შესაბამისად.

ამდენად, მხარეთა სახელშეკრულებო ურთიერთობების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ „მასტერქარდი“ კონცენტრირებული არ არის მხოლოდ ერთ პლატფორმაზე და იგი სხვადასხვა მოცულობით თანამშრომლობს როგორც შპს „თინეთის“, ასევე შპს „რეშენალ სოლუშენსის“ პლატფორმებთან. ამასთან, ხელშეკრულებათა სამართლებრივი ექსპერტიზის შედეგად არ გამოიკვეთა ისეთი ნორმის არსებობა, რომელიც ექსკლუზიური დათქმის შინაარსის შემცველი იქნებოდა.

4.4. შპს „რეშენალ სოლუშენსსა“ და მასტერქარდს შორის არსებული წერილობითი კორესპონდენცია

სააგენტო, აღნიშნული მოკვლევის ფარგლებში, მიზანშეწონილად მიიჩნევს იმსჯელოს და გამოიკვლიოს შპს „რეშენალ სოლუშენსსა“ და მასტერქარდს შორის განხორციელებული წერილობითი კორესპონდენცია, როგორც მასტერქარდსა და „თინეთს“ შორის ***კონკურენციის საწინააღმდეგო სავარაუდო შეთანხმების დამადასტურებელი ირიბი მტკიცებულება.*** საქმეში არსებულ მასალებზე დაყრდნობით, შესაძლებელია იმის თქმა, რომ შპს „რეშენალ სოლუშენსსა“ და „მასტერქარდს“ შორის დადასტურებულ წერილობით კორესპონდენციას ადგილი ჰქონდა [redacted] აღნიშნული კორესპონდენცია გულისხმობს, შპს „რეშენალ სოლუშენსის“ მხრიდან „მასტერქარდთან“ ურთიერთობის დამყარების შესახებ ნების გამოვლენასა და კონკურენტთან „მასტერქარდის“ სავარაუდო ექსკლუზიური ურთიერთობის შესახებ წუხილს. მასტერქარდი, თავის მხრივ, გარკვეული მიზეზების დასახელებით, უარს ამბობს აღნიშნულ ეკონომიკურ აგენტთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლაზე.

საკასაციო სასამართლომ საქმეზე №ს-595-592(კ-17) განმარტა, რომ **პირდაპირი მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში, აუცილებელია სახეზე იყოს არაპირდაპირ მტკიცებულებათა ისეთი ერთობლიობა, რომელიც სარწმუნოდ დაადასტურებს**

შეთანხმებული ქმედების არსებობას. სანამ არსებობს ეკონომიკური აგენტების ქმედებების დამაჯერებელი, ალტერნატიული ახსნა-განმარტებები, კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების არსებობა დადგენილად ვერ იქნება მიჩნეული (A. Ahlström Osakeyhtiö and others v Commission, 27.09.1988).[145] ასევე, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს არა დაშვებებსა და ვარაუდებს, არამედ წარმოების ფარგლებში მოპოვებულ საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობას, დამაჯერებელ დასკვნებს, რადგან სათანადო მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში ეჭვი კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში უნდა გადაწყდეს სავარაუდო სამართალდამრღვევის სასარგებლოდ.[146] **ამასთანავე, არ გამოირიცხება ორგანოს შესაძლებლობა მის ხელთ არსებული ფრაგმენტული და ცალკეული მტკიცებულებები შეავსოს გარკვეული ვარაუდებით, თუმცა ასეთ პირობებში, კონკურენციის შემზღუდავი ქმედების/შეთანხმების არსებობა შესაძლოა დადგინდეს მხოლოდ სხვა ალტერნატიული ახსნის არარსებობის შემთხვევაში** (Aragonesas Industrias y Energia, SAU v. Commission, T-348/08, 25.10.2011).[147]

რაც შეეხება უცხოურ პრაქტიკას, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედება ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ განმარტებულია, როგორც ქმედება, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ არ მიუღწევია ფორმალურ შეთანხმებამდე, მაინც გამიზნულად ახდენს კონკურენციული რისკების პრაქტიკული თანამშრომლობით ჩანაცვლებას.[148] შესაბამისად, მთავარია დადგინდეს, გარკვეული ქმედება პრაქტიკული თანამშრომლობის გამოხატულებაა, თუ ბაზარზე დამოუკიდებელ ქმედებას წარმოადგენს.[149] ამასთანავე, ევროკავშირის სასამართლო პრაქტიკაში აღიარებულია, რომ შესაძლოა სახეზე იყოს „ერთიანი შეთანხმება“, რომლის მხარეებს შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროთ მთლიანად შეთანხმებულ ქმედებაში მონაწილეობის გამო, მიუხედავად იმისა, რომ მათ მონაწილეობა მიიღეს კონკურენციის შემზღუდველ მხოლოდ ცალკეულ ქმედებებში.

შეთანხმებისა და შეთანხმებული ქმედების არსებობა შესაძლოა, დასტურდებოდეს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მტკიცებულებების ერთობლიობით. პირდაპირი მტკიცებულება შეიძლება იყოს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი: მონაწილე ეკონომიკური აგენტების ზეპირი განცხადებები (მათ შორის საჯარო); კარტელში მონაწილეობის ზეპირი აღიარება; სატელეფონო საუბრების ჩანაწერები; წერილობითი შეთანხმება; მიმოწერა ელექტრონული ფოსტით; საერთო სტრატეგიების აღმწერი დოკუმენტების, შეხვედრის ოქმები და ა.შ.[150] ლიტერატურაში[151] და ევროკავშირის სასამართლო პრაქტიკით[152] აღიარებულია, რომ ვინაიდან საყოველთაოდ ცნობილია კონკურენციის შემზღუდავი შეთანხმებების კანონსაწინააღმდეგო ხასიათი, შესაბამის უწყებას ყოველთვის არ ექნება შეთანხმების არსებობის დამადასტურებელი პირდაპირი დოკუმენტური მტკიცებულებები და

---

[145] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N ბს-595-592(კ-17).
[146] Eturas" UAB and Others v Lietuvos Respublikos konkurencijos taryba, C-74/14, 21.01.2016.
[147] იქვე.
[148] ICI v Commission (Dyestuffs) [1972] ECR 619, ECLI:EU:C:1972:70.
[149] ჯონსი, სუფრინი, ევროკავშირის კონკურენციის სამართალი: ტექსტი, გადაწყვეტილებები და მასალები, გვ. 710.
[150] „საქართველოს კონკურენციის სამართალი“, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019, გვ. 306.
[151] Richard Whish, David Bailey, Competition Law, 7th ed, Oxford University Press, 2012; გვ. 514.
[152] Case T-348/08, Aragonesas Industrias y Energía, SAU v Commission, 25 October 2011.

შესაბამისად, რიგ შემთხვევებში მოუწევს მისი მტკიცება არაპირდაპირი მტკიცებულებებით. „სამართლებრივი და ტექნოლოგიური განვითარებების პარალელურად, იხვეწება კარტელის შექმნისა და მასში მონაწილეობის ფორმებიც. შესაბამისად, მათი არსებობისა და მასშტაბების დადგენა საკმაოდ რთული და შრომატევადი პროცესია ნებისმიერი აღმასრულებლისთვის."[153]

პრაქტიკაში გაზიარებულია მიდგომა, რომლის მიხედვით, არაპირდაპირი მტკიცებულების მტკიცებულებითი ძალა არ ფასდება დამოუკიდებლად, არამედ ეფუძნება მტკიცებულებათა ერთობლიობით შექმნილი სურათის თანამიმდევრულობას და დამაჯერებლობას.[154] შესაბამისად, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ ,,კანონსაწინააღმდეგო შეთანხმების ან პრაქტიკის არსებობა შეიძლება გამომდინარეობდეს არაპირდაპირი მტკიცებულებების ერთობლიობიდან, რომელიც ისეთ დამთხვევებსა და ნიშნებს შეიცავს, რომელსაც სხვა ალტერნატიული გონივრული ახსნა, გარდა შეთანხმებული ქმედებისა, ვერ ექნება."[155]

ევროკავშირში დამკვიდრებული მიდგომით, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 101-ე მუხლის (კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებები) დადასტურება შესაძლებელია არაპირდაპირი მტკიცებულებით, განსაკუთრებით შეთანხმებული ქმედების შემთხვევაში, როდესაც მიუწვდომელია პირდაპირი მტკიცებულებები.[156] აღნიშნული აზრი რამდენიმე საქმეზე დაადასტურა მართლმსაჯულების სასამართლომაც. მაგ. ***სიმენსის*** საქმეზე სასამართლომ აღნიშნა, რომ „კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებები აკრძალულია და შესაბამისად მათი იმპლემენტაცია ხდება ფარულად, კომისიას ვერ მოვთხოვთ ისეთი ტიპის ზუსტი მტკიცებულებების წარმოდგენას, რომელიც პირდაპირ მიუთითებდა ეკონომიკური აგენტებს შორის კონტაქტსა და მის შინაარსზე. ის ფრაგმენტული და სპორადული მტკიცებულებები, რომელიც კომისიისთვის ხელმისაწვდომია, ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა შეივსოს დასკვნებით, რომელიც ხელს შეუწყობს შესაბამისი გარემოებების რეკონსტრუქციას. შესაბამისად, კონკურენციის საწინააღმდეგო პრაქტიკის ან შეთანხმების არსებობა შესაძლებელია დადასტურდეს სხვადასხვა შემთხვევითობებითა და მაჩვენებლებით, რომლებიც ერთად, სხვა გონივრული ახსნის არ არსებობის შემთხვევაში, შექმნიან კონკურენციის წესების დარღვევის მტკიცებულებას."[157]

საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან, დოკუმენტაციისა და მტკიცებულებებიდან გამომდინარე, დადგინდა, რომ ერთი მხრივ, მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს შორის დადებული ხელშეკრულებები არ შეიცავდა ექსკლუზიური

---

[153] Whish, Richard and Bailey, David, "Competition Law", 9th ed., Oxford University Press, 2018, გვ. 526.

[154] OECD Roundtable on Prosecuting Cartels without direct evidence, DAF/COMP/GF(2006)7; ხელმისაწვდომია: https://www.oecd.org/daf/competition/prosecutionandlawenforcement/37391162.pdf

[155] Case T-44/02 OP Dresden Bank v Commission [2006] ECR II-3567, აბზ. 65.

[156] Heike Schweitzer, Judicial review in EU competition law, (Research Handbook on European Competition Law), გვ. 502.

[157] იხ. Case T-110/07, Siemens AG [2011] ECR-477, 48-ე აბზაცი: https://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=80216&doclang=EN ასევე მსგავსი მსჯელობა იხ. შემდეგ გადაწყვეტილებებში: Aalborg Portland and Others v Commission, n. 11, paras 55–57; C-403/04 P and C-404/04 P, Sumitomo Metal Industries and Nippon Steel v Commission, EU:C:2007:52, para. 51; T-54/03, Lafarge v Commission, EU:T:2008:255, para. 452; T-110/07, Solvay Solexis v Commission, EU:T:2011:280, para. 67.

მიწოდების/მომსახურების პირობებს, ხოლო მეორე მხრივ, არ არსებობს სხვა პირდაპირი თუ ირიბი მტკიცებულება, რომელიც დამატებით მიუთითებდა „მასტერქარდისა“ და „თინეთის“ კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებასა ან, თუნდაც, რაიმე სახით გამიზნულ კოორდინაციაზე. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს პოზიციით, მხოლოდ ის ფაქტი, რომ ერთი ეკონომიკური აგენტი მეორე ეკონომიკურ აგენტს უარს ეუბნება სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლაზე, სხვა, დამაჯერებული პირდაპირი ან ირიბი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში, ვერ იქნება კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების/შეთანხმებული ქმედების ან კოორდინაციის ინდიკატორი.**

შესაბამისად, სააგენტო მიიჩნევს, რომ ე.წ შემავსებელი ფაქტორების არარსებობის პირობებში, ირიბი მტკიცებულება, მართალია შესაძლებელია წარმოადგენდეს გონივრული ეჭვის საფუძველს, თუმცა, მასში ანტიკონკურენტული ნიშნების არარსებობისა და სხვა დამატებითი ირიბი/ეკონომიკური ან გარემოებრივი მტკიცებულებების ერთობლიობის არარსებობის შემთხვევაში, ერთეულ არაპირდაპირ მტკიცებულებაზე დაყრდნობით, სააგენტო მოკლებული იქნება შესაძლებლობას, დაუკავშიროს აღნიშნული მტკიცებულება კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების არსებობას.

4.5. ვებ-გვერდ www.Swoop.ge-ზე კომერციული აქციის განთავსებისა და მისი აღების ფაქტები

როგორც უკვე აღიშნა, სააგენტოში საქმის მოკვლევა დაიწყო „მასტერქარდსა“ და შპს „თინეთს“ შორის სავარაუდო ექსკლუზიური თანამშრომლობის ფაქტის შესწავლის მიზნით. აღნიშნული თანამშრომლობა, როგორც დახარვეზებულ საჩივარში შპს „რეშენალ სოლუშენსი“ მიუთითებდა, გამოიხატა „მასტერქარდის“ მიერ შპს „თინეთის“ კუთვნილ და ოპერირებად პლატფორმაზე (www.Swoop.ge) ექსკლუზიური ხასიათის დამატებითი ფასდაკლებების განთავსებაში. კერძოდ, „მასტერქარდი“ აწარმოებდა მარკეტინგულ კამპანიას ტურიზმის მიმართულებით, რომელიც მომხმარებელს სთავაზობდა პლატფორმაზე განთავსებულ შეთავაზებებზე დამატებით 25%-იან ფასდაკლებას. აღნიშნული გავლენას ახდენს შპს „თინეთის“ კონკურენტებზე, ვინაიდან Hotsale და Swoop პლატფორმები მთლიანად აგებულია ,,ფასდაკლებების ბიზნესზე”. შესაბამისად, „მასტერქარდისგან“ სუბსიდირების დამატება მხოლოდ ერთი კონკრეტული ეკონომიკური აგენტისთვის (ამ შემთხვევაში Swoop-ისთვის) იწვევს სხვა ეკონომიკური აგენტის (ამ შემთხვევაში Hotsale-ის) კონკურენტუნარიანობის შემცირებას, რადგან მომხმარებელთა ნაკადი ეჩვევა იმ კონკრეტულ პლატფორმას, სადაც მეტ თანხას დაზოგავს.

[redacted]

შპს „რეშენალ სოლუშენსმა“ დახარვეზებულ საჩივარში მიუთითა კონკრეტული კამპანიის შესახებ, რომელიც გულისხმობდა სასტუმროებისა და განთავსების ობიექტების მიმართულებით დამატებით 25%-იან ფასდაკლებას და სააგენტოში საჩივართან ერთად წარმოადგინა ე.წ. სქრინი,[158] რომლითაც დასტურდება შესაბამის პერიოდში აღნიშნული აქციის განთავსების ფაქტი. მოგვიანებით, შპს „რეშენალ სოლუშენსმა“ სააგენტოში წერილობით წარმოადგინა ინფორმაცია,[159] სადაც აღნიშნავს, რომ უცხოური საწარმოს ფილიალმა ,,მასტერქარდის წარმომადგენლობამ საქართველოში“ ვებ-გვერდ Swoop-იდან ყველა აქცია აიღო (მათ შორის, ზემოთ მითითებული აქცია), რის გამოც ამავე კომპანიამ სააგენტოში მის მიერ დახარვეზებული საჩივრის შევსებაზე უარი განაცხადა. სააგენტოს მიერ ინფორმაციის მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული წერილის წარმოდგენის მომენტში (2024 წლის 11 იანვარი) Swoop-ზე ნამდვილად აღარ იძებნებოდა ტურიზმის მიმართულებით 25%-იანი დამატებითი ფასდაკლების შეთავაზება.[160]

სააგენტოში გამართულ საკონსულტაციო შეხვედრაზე შპს „რეშენალ სოლუშენსმა“ მიუთითა, რომ იგი არ ფლობს ზუსტ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რატომ მოხდა შპს „თინეთის“ მიერ განსახილველი დამატებითი ფასდაკლების აღება ვებ-გვერდიდან, თუმცა სავარაუდოა, რომ აღნიშნულის მიზეზი შპს „რეშენალ სოლუშენსის“ მიერ სააგენტოში საჩივრის შეტანა გახდა, რაზეც ინფორმაცია შპს „თინეთმა“ სავარაუდოდ „მასტერქარდისგან“ მიიღო.

Swoop-ზე დამატებითი ფასდაკლების აქციის აღებასთან დაკავშირებით სააგენტოს „მასტერქარდმა“ განუცხადა შემდეგი, რომ მართალია იგი დაზუსტებით არ ფლობს ინფორმაციას აღნიშნულთან დაკავშირებით, თუმცა კამპანიის შეწყვეტის მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო ან მასსა და შპს „თინეთს“ შორის არსებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის დასრულება, ან კამპანიისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის ამოწურვა.

აღნიშნული აქციის პლატფორმიდან აღების თაობაზე უშუალოდ შპს „თინეთის“ მიერ სააგენტოში წერილობით წარმოდგენილი ინფორმაციის[161] თანახმად, ზემოთ აღნიშნული აქციის განთავსება მოხდა მასსა და „მასტერქარდს“ შორის დადებული მარკეტინგული მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში, ხოლო აქციის პლატფორმიდან აღება განპირობებული იყო მისი ვადის დასრულებით, რომლის პერიოდიც შემდეგ თარიღებს შეადგენდა: 20.12.2023-07.01.2024. ზოგადად, Swoop-ზე აქციის განთავსება ხდება აქციის ბანერის ბმულზე, რომელზე დაწკაპუნების შემთხვევაში მომხმარებელი დეტალურად ეცნობა აქციის პირობებს. აღნიშნული პირობების „სქრინით“, რომელიც მხარემ წარმოუდგინა სააგენტოს,[162] დასტურდება, რომ აქცია ნამდვილად მთავრდებოდა 07.01.2024 თარიღში. შესაბამისად, მიზეზი იმისა, თუ რატომ არ იძებნებოდა აღნიშნული კამპანია ვებ-გვერდზე

[158] დახარვეზებული საჩივრის (რეგ: N01/107) დანართი N1.
[159] სააგენტოში შემოსული N01/143 წერილი (11.01.2024).
[160] 2024 წლის 22 თებერვლის N03/206 მოხსენებითი ბარათი.
[161] სააგენტოში შემოსული N01/2945 წერილი (04.06.2024).
[162] სააგენტოს 2024 წლის 04 ივნისის N01/2945 წერილი.

2024 წლის იანვრის თვის შუა რიცხვებში, არის ის, რომ ამ პერიოდისთვის აქცია უკვე დასრულებული იყო და აღებულ იქნა პლატფორმიდან.

მოცემულ შემთხვევაში სააგენტოს მიერ გამოსაკვლევ გარემოებას წარმოადგენდა, თუ რის საფუძველზე მოხდა დამატებითი ფასდაკლების აღება პლატფორმიდან. როგორც მოკვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, ზოგადად, მარკეტინგული მომსახურების ხელშეკრულებებში, რომელიც ფორმდება მხარეთა მიერ, აქციის პერიოდი განსაზღვრულია კონკრეტული თარიღებით. როგორც წესი, ეს არის მოკლე ვადები და ხელშეკრულება არ მოიცავს გრძელვადიან კამპანიას. აღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველი აქციის მოკლე ვადაში დასრულება არ წარმოადგენდა დამკვიდრებული კომერციული პრაქტიკისგან განსხვავებულ შემთხვევას და მისი დასრულებისას, დამატებითი ფასდაკლების შესახებ ინფორმაციაც აღებულ იქნა შესაბამისი პლატფორმიდან. ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე სააგენტო ადგენს, რომ *აქციის აღების მიზეზი არ სცილდება შპს ,,თინეთსა" და „მასტერქარდს" შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებს, რადგან მისი აღება უკავშირდება მხარეთა შორის შეთანხმებული კამპანიის ვადის დასრულებას.*

4.6. მომხმარებლის ქცევა, როგორც სავარაუდო კანონდარღვევის ერთ-ერთი მტკიცებულება

საქმის მოკვლევის საგანია სს „მასტერქარდ იუროფსა" და შპს „თინეთს" შორის სავარაუდო ექსკლუზიური თანამშრომლობის არსებობა. როგორც სააგენტოში წარმოდგენილ და სააგენტოს მიერ დახარვეზებულ საჩივარში შპს „რეშენალ სოლუშენსმა" მიუთითა, ამგვარი თანამშრომლობა გამოხატულია მასტერქარდთან თანამშრომლობით შპს „თინეთის" კუთვნილ პლატფორმაზე www.swoop.ge ექსკლუზიური ხასიათის დამატებითი ფასდაკლებების განთავსებაში. კერძოდ, როგორც შპს „რეშენალ სოლუშენსმა" (რომელსაც ეკუთვნის და მის მიერ ხდება ოპერირება პლატფორმისა www.hotsales.ge) მიუთითა, რომ „მასტერქარდი" სასტუმროებისა და განთავსების ობიექტების ნაწილში აწარმოებდა მარკეტინგულ კამპანიას, რომლის ფარგლებშიც ექსკლუზიურად თანამშრომლობდა შპს „თინეთთან" და პლატფორმაზე www.swoop.ge განთავსებულ შეთავაზებებზე „მასტერქარდის" ბარათით გადახდისას ვრცელდებოდა დამატებითი ფასდაკლებები. შპს „რეშენალ სოლუშენსის" განცხადებით, ვინაიდან, Hotsale.ge და Swoop.ge პლატფორმები მთლიანად აგებულია ,,ფასდაკლებების ბიზნესზე", მსგავსი შეთავაზებები გავლენას ახდენს მომხმარებლის ქცევასა და, შესაბამისად, ბაზარზე არსებულ კონკურენციაზე - ამცირებს რა იმ ეკონომიკური აგენტის კონკურენტუნარიანობას, რომელთანაც არ თანამშრომლობს „მასტერქარდი". შპს „რეშენალ სოლუშენსის" მიერ ასევე მითითებულ იქნა, რომ მსგავსი პრინციპით აგებულ ბაზარზე მომხმარებელთა ნაკადი ეჩვევა და შემდგომში სარგებლობს მხოლოდ იმ კონკრეტული პლატფორმით, სადაც მეტ თანხას დაზოგავს, ამდენად, თუკი მასტერქარდი მხოლოდ Swoop.ge-ის პლატფორმასთან ითანამშრომლებს, ეს Hotsale.ge-ზე პირდაპირპროპორციულად აისახება და იგი დაკარგავს კლიენტებს.

[redacted] თუმცა, სააგენტოში არ იქნა წარმოდგენილი ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა, რომ შპს „თინეთსა“ და სს „მასტერქარდ იუროფს“ შორის არსებულმა სავარაუდო ექსკლუზივმა გავლენა მოახდინა მომხმარებლის ქცევაზე და [redacted] მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წინამდებარე მოკვლევის ფარგლებში არ დგინდება მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების არსებობა, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს ჰიპოთეტური შეთანხმების კონკურენციის შემზღუდველი შედეგის ან/და მომხმარებლის ქცევაზე მისი შესაძლო გავლენის გამოკვლევის/დადგენის საჭიროებას.

დასკვნა

როგორც უკვე აღინიშნა, კანონის მე-7 მუხლის გამოყენების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ორ ან მეტ ეკონომიკურ აგენტს შორის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების არსებობა.

სააგენტოს მხრიდან, მოცემულ საქმეში, სავარაუდო ექსკლუზიური შეთანხმების დადგენისას შეფასებულ იქნა მის ხელთ არსებული ყველა ფაქტობრივი გარემოება. სააგენტოს მიერ დადგენილ იქნა, რომ საქმეში არსებული რაიმე სახის მტკიცებულებით/მტკიცებულებებით არ დასტურდება ექსკლუზიური შეთანხმების არსებობის ფაქტი მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს შორის.

ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სააგენტო მიუთითებს შემდეგზე: კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წინაპირობებიდან არ არის დაკმაყოფილებული ერთ-ერთი მათგანი - კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების არსებობა. შესაბამისად, ნებისმიერი ეჭვი, რომელიც მოკვლევის ფარგლებში ვერ იქნება დადასტურებული, უნდა გადაწყდეს სავარაუდო სამართალდამრღვევი ეკონომიკური აგენტის/აგენტების სასარგებლოდ.[163]

სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის, 17^1 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და $ზ^2$ ქვეპუნქტების, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის

[163] Case T-442/08, International Confederation of Societies of Authors and Composers (CISAC) v Commission, [2013], პარაგრაფი 91.

სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და 29-ე მუხლის შესაბამისად, სააგენტომ

გადაწყვიტა:

1. არ დადასტურდეს შპს ,,თინეთის“ (ს/ნ: 402116474) და სს ,,მასტერქარდ იუროფის“ (ბელგიური კომპანიის ნომრით RPR 0448.038.446) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დარღვევის ფაქტი.

2. ყველა იმ ეკონომიკური აგენტის მიმართ, რომელიც ოპერირებს საერთაშორისო საბარათე სქემების მეშვეობით განხორციელებული მომსახურების ბაზარზე, გაიცეს განსახილველად სავალდებულო რეკომენდაცია.

3. ყველა იმ ეკონომიკური აგენტის მიმართ, რომელიც ოპერირებს ლოიალობაზე დაფუძნებული სასტუმროებისა და განთავსების ობიექტებით მომსახურების ონლაინ მიწოდების ბაზარზე გაიცეს განსახილველად სავალდებულო რეკომენდაცია.

რეკომენდაცია

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო, როგორც საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანო, მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების მიზნებისათვის, მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გამახვილდეს ქვეყნის სასაქონლო და მომსახურების ბაზრებზე თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის უზრუნველყოფაში სახელშეკრულებო ურთიერთობების ფარგლებზე, კონკურენციის საწინააღმდეგო რისკების შემცველ დებულებებსა და ქმედებებზე, რომელთაც გააჩნიათ რეალური ან პოტენციური შესაძლებლობა შეზღუდოს ჯანსაღი კონკურენცია ბაზარზე. სააგენტო კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა არის სწორედ ის ზღვარი, რომელზეც გადის სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლები. თავისთავად ექსკლუზიური თანამშრომლობის თაობაზე ხელშეკრულების დადება აპრიორი არ წარმოადგენს კანონით აკრძალულ ქმედებას, თუმცა, ამგვარმა შეთანხმებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ბაზრის კონკურენტუნარიანობაზე. შესაბამისად, სააგენტო ყოველი პოტენციური ექსკლუზიური შეთანხმების განხილვისას აფასებს თუ რამდენად ქმნის საქმეში მოცემული ფაქტობრივი გარემოებები მომჩივანი ეკონომიკური აგენტისა ან/და ბაზარზე მოქმედი/პოტენციური ეკონომიკური აგენტების საბაზრო ინტერესების იმგვარი დაზარალების საფრთხეს, რასაც მიზნად აქვს ან იწვევს ბაზრის შეზღუდვას ან ბაზარზე კონკურენციის მნიშვნელოვნად შემცირებას, ბაზრის მონაწილე ეკონომიკური აგენტებისათვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენებას, მომხმარებლის ინტერესების დაზიანებასა და სხვა. მართალია კანონის მე-7 მუხლი არ ითვალისწინებს პირდაპირ

მითითებას კანონსაწინააღმდეგო ექსკლუზიური მიწოდების/მომსახურების ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, თუმცა, ამავე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი შეიცავს პირდაპირ აკრძალვას ბაზარზე შესვლის შეზღუდვასთან დაკავშირებით, რაც ეკონომიკურ აგენტებს შორის ექსკლუზიური შეთანხმების მიღწევის პროცესში აუცილებლად გასათვალისწინებელი გარემოებაა, კანონის მე-8 და მე-9 მუხლებთან ერთობლიობაში.

ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების მიზნით, რომელიც ხელს შეუწყობს შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფასა და ამ სფეროში ოპერირებადი ან პოტენციური ეკონომიკური აგენტების კანონიერი ინტერესების დაცვას, აგრეთვე, კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებების პრევენციისა და კონკურენციის შემზღუდველი ვერტიკალური და ჰორიზონტალური კოორდინაციის თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად, სააგენტო უფლებამოსილია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ზ[2]“ ქვეპუნქტის მიხედვით, „ეკონომიკურ აგენტს წარუდგინოს განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციები“.

რეკომენდაციის გაცემით გზით სააგენტო უზრუნველყოფს ერთგვარი სახელმძღვანელო მითითებების მიწოდებას ბაზარზე მოქმედი და პოტენციური ეკონომიკური აგენტებისათვის, ბაზარზე კონკრეტული ქმედების განხორციელებამდე განსაზღვრონ და შეაფასონ კონკურენციის შემზღუდავი აქტიური თუ პოტენციური რისკები, რამაც, საბოლოო ჯამში, უნდა უზურნველყოს ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის თავიდან აცილება.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ კონკურენციის საწინააღმდეგო პოტენციური შეთანხმებების გამოვლენა-შეფასებების პროცესში, რელევანტური არ არის შეთანხმება - წერილობით, ხელშეკრულების სახით არის დადებული თუ ზეპირი შეთანხმების საფუძველზე მიღწეული. ასევე არარელევანტურია, ხელშეკრულებაში ცალკე მუხლის/დებულების სახით არის გამოყოფილი „ექსკლუზიური მიწოდების“ პირობა თუ მიუხედავად ხელშეკრულებაში „ექსკლუზიური მიწოდების“ ვალდებულების არარსებობისა, ბაზარზე რეალიზაცია პრაქტიკული ექსკლუზიური კოორდინაციის საფუძველზე ხორციელდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს წარდგენილ იქნეს განსახილველად სავალდებულო შემდეგი რეკომენდაციები:

I. საერთაშორისო საბარათე სქემების მეშვეობით მომსახურების გამწევი სუბიექტების/ლოიალობაზე დაფუძნებული სასტუმროებისა და განთავსების ობიექტებით მომსახურების ონლაინ მიწოდების ბაზრის მონაწილეების მიერ სახელშეკრულებო, საბაზრო-პარტნიორულ ურთიერთობებში შესვლისა და შესაბამისი მომსახურების გაწევაზე უარის თქმის მიზეზები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს

ჯანსაღი და სამართლიანი კონკურენციის წესებს, რომლებიც გამომდინარეობენ კონკურენციის კანონმდებლობიდან. აღსანიშნავია, რომ მომსახურების გაწევაზე უარის თქმის მიზეზი/მიზეზები, გონივრული ეჭვის წარმოშობის შემთხვევაში, შესაძლოა, საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველი გახდეს.

II. საერთაშორისო საბარათე სქემების მეშვეობით მომსახურების გამწევმა სუბიექტებმა/ლოიალობაზე დაფუძნებული სასტუმროებისა და განთავსების ობიექტებით მომსახურების ონლაინ მიწოდების ბაზრის მონაწილეებმა სახელშეკრულებო ურთიერთობები აწარმოონ იმგვარად, რომ ისინი არ აწესებდნენ გაუმართლებელ ბარიერს ბაზარზე შესასვლელად, არ ზღუდავდნენ ეკონომიკური აგენტების მონაწილეობას სასტუმროებისა და განთავსების ობიექტებით მომსახურების ონლაინ ბაზარზე, ხოლო „ექსკლუზიური მიწოდების“ პირობის გამოყენებისას, აღნიშნული დასაბუთებული უნდა იყოს შესაბამისი გარემოებებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, გონივრული ეჭვის საფუძველზე დაყრდნობით, სააგენტო უფლებამოსილია შესაბამისი საქმის მოკვლევა დაიწყოს.